ცისკარი

1885

№ VI, ივნისი

თბილისი.
ეძვთიმე ხელაძის სტამბა.
1885

შინაარსი:

I. ასული ფარაონისა (ისტორიული რომანი) გეორგ ებერსისა, ნაწილი მეორე 5

II. რძალ-მული (სურათი ჩვენის ცხოვრებიდან) ან. თუმანიშვილისა 19

III. პოლუმბი და მისი ღვაწლი, (დასასრული) წერილი გ. წულუკიძისა. 83

IV. სახალხო ლექსები 104

V. სიმღერა (ლექსი) ი. დ-სა 106

VI. შინაური მიმოხილვა ჯეროვანად გაცხრილული 107

VII განცხადებანი. 116

VIII დამატება: მასალა ისტორიისათვის.

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
აშვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1885

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Мая 1885 г.

ასული ფარაონისა

ისტორიული რომანი

(გაგრძელება *)

VIII

მეორე დღეს ნიტეტისი გადავიდა დაკიდებულ ბაღების სადგომში და დაიწყო იქ განმარტებული, მაგრამ საქმიანი ცხოვრება. ყოველ დღე იგი მიჰყვებოდა დაფარებულის ტრანსტეკვნით კასანდანასა და ატოსასთან.

უსინათლო დედოფალი მალე შეიქმნა მისთვის საყვარელ დედად და მხიარული, ცელქი ატოსა თავის და ტახტად, რომელიც დასტოვა მან ნიღოსის ნაპირებთან. ნიტეტისი იმაზედ უკეთესს მოსაუბრეს და გამრთობს ვერავის იშოვიდა, როგორიცაიყო ატოსა, რომელიც სულ იმას ცდილობდა, რომ ნიტეტისს საშშობლოზედ მუმუნვარება არ დაეწყო.

კრეზიცა და კასანდანაც მადლიერი იყვნენ ნიტეტისისა მოგვი ორიოპასტი ყოველ-დღე უქებდა ნიტეტისის ჭკვა-გონებასა და ბეჯითობა; იგი განსაკუთრებით ძალიან კარგად სწავლობ-

---

*) «ივერია» № 4, 1885 წ.

და სპარსულს ენას; მეფე მიდიოდა თავის დედასთან მხოლოდ მარშინ, როდესაც იმედი ჰქონდა, რომ აქ ნახავდა ეგვიპტელს ქალს, რომელსაც ყოველ-დღე ასაჩუქრებდა სხვა და სხვა ძვირფასის ნივთებით და ტანისამოსით. ნიტეტის კამბიზი იმით უმტკიცებდა თავის პატივის-ცემას, რომ არას დროს იმას საფიქრალში არ მიდიოდა. ამისთვნა ქცევით ისი აგებინებდა, რომ მას განზრახვა ჰქონდა ნიტეტისი თავის კანონიერ ცოლების რიცხვში ჩაეთვალა.

მშვენიერს, ჭკუა-დამჯდარს ქალს მოშორებოდა ძალა ჰქონდა მრისხანე მეფეზედ. საკმაო იყო ეს ქალი დაენახა მეფეს, რომ მრისხანე გული დამშვიდებოდა. ყოველ-დღე განუწყვეტლად უყურებდა ბუერთის თამაშობას და სტკბებოდა ეგვიპტელის ქალის სიბრძნითა. ერთხელ, როდესაც ბუერთი წყალში ჩავარდა, კამბიზი თავის ძვირფასის ტანისამოსით გაიქცა და გამოიტანა იგი. ნიტეტისმა ხმა-მაღლა შეჰყვირა, როდესაც მეფემ განიზრახა მისთვის თავზანობა გაეწია; კამბიზმა კი ღიმილით მისცა ბუერთი, რომელსაც წუწკლები გასდიოდა და უთხრა: «გაფრთხილდი, თორემ მე ხშირად მოგიხდება შენი შეშინება!» ამასთანავე მან მოიხსნა გულიდამ ოქროს, ძვირფასის თვლებით მოჭედილი, ძეწკვი და აჩუქა აწითლებულს ქალს, რომელმაც ერთის შეხედვით გადაუხადა მადლობა. ნიტეტისის თვალებში გამოიხატა ყოველივე, რასაც კი იმის გული გრძნობდა.

გრეზმა, კასანდანამ და ატოსამ მაღე შენიშნეს, რომ ნიტეტისს მეფე უყვარდა. მას ეგონა, რომ, რა დროსაც კამბიზს ჯერ ნახავდა, მაშინვე მოკვდებოდა. მას მეფე ისე დიდებულად და ყოველად შემძლებელად ჩვენდა წარმოდგენილი, როგორც რომელიმე ღვთაება, და სურვილს დაეჩქმია მისთვის თავის

საკუთრება — ცოდვად სთვლიდა; ამ სურვილის აღსრულებას უფრო ბედნიერებად ჩასთვლიდა, სიბამ სამშობლოში დაბრუნებას და მათს ნახვას, რომელნიც ჯერ კვნდლამდის განსაკუთრებით უყვარდა.

იგი თვითონაც ვერ ამჯობინებდა თავისთავს ანგარიშს ამ გრძნობაში და ცდილობდა დაეწმუნებინა თავის თავი, რომ მას კაბიზის მხოლოდ ეშინოდა და იმის დანახვაზედ თრთოდა ანა მლეკვარების, ანამედ შიშის გამო. კრეზმა მალე გაუგო მას ასეთი მდგომარეობა და ანა ერთხელ გაუწითლა იგი, როდესაც უმლერა ახალი სიმღერა ანაკრეონისა, რომელიც სასში იგიგასგან ასწავლა.

ქურანი ცხენის ნიშანი
ცეცხლით დამწვარი დალია,
პარფიანელის საცნობი
ქუდი და ბარალია.
მე რა ვნახავ მოტრფიალეთ,
ერთად ტკბილად მოლუღუნეთ,
მსწრაფლ შეკვტეობ თუ მათ გული
ტრფობით ვრის შემსწავლული.

ამ ნაირად, შრომასა და თამაშობაში, ხუმრობასა და ერთი-ერთის საყვარულში მიმდინარეობდენ დღენი, კვირენი, თვენი. კაბიზის სიტყვები: «შენ ჩვენი ქმეყანა მოგეწონებოდ» ანდგილად გამართლდენ და როდესაც მესოპოტამის გაზაფხული გავიდა (ანკარი, თებერვალი და მარტი), როდესაც გაზაფხულის ბუნიობის დრო აზიელთა მცხოვრებთა ბრწყინავდე დღესასწაული გადაიხადეს—ახალი წელიწადი, როდესაც მაისის მზემ დაგზნო, მაშინ ნიტეტისი სრულიად შეეჩვია ბაბილონს და ყველა სპარსელებმა გაიგეს, რომ ეგვიპტელმა

ქალმა თემიდა მეფეს გულიდამ ალმოფხვრა და იმედი აქვს გახდეს კამბიზის პირველი საყვარელი ცოლი.

საჭურისთ უხუცესი დღე და დღე ჭკვრეკავდა მნიშვნელობას, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ მეფე ჭარამხაში ალარ შედიოდა და საჭურისთ უხუცესს გავლენა ჭქონდა მხოლოდ ქალების წყალობით, რომელთაც უნდა ეთხოვნათ კამბიზისათვის ყოველისფერი, რაც კი მას სურდა თავისა და თავის მეგობრებისათვის. უკმაყოფილო ბოგესი ყოველ-დღე თათბირობდა თემიდასთან, თუ როგორ დაელუპათ ეგვიპტელი ქალი; მაგრამ კამბიზის სიყვარული და ნიტეტისის გულ-წრფელი ქცევა ისე ძლიერი იყო, რომ მათმა მანქანებამ და ვერაგობამ ვერა ავნო-რა.

მოუთმენელი და ჯავრის ამოყრის მოყვარული თემიდა ეჩქარებდა ფრთხილს ბოგესს დროით დაეწყოთ გაბედვით მოქმედება, მაგრამ ეს უკანასკნელი მოთმინებას ურჩევდა.

ბოლოს, რამდენიმე კვირის შემდეგ, ბოგესი მივიდა თემიდასთან ძალიან გახარებული და უთხრა:

— როგორც კი ბარტია დაბრუნდება, ჩემო კარგო, მაშინ იქნება მოქმედების დრო. მე მოვიგონე ხერხი, რომლითაც ეგვიპტელს ქალს კისერს მოვუგრეხავთ და ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ მე ბოგესს ვეძახიან.

ამ სიტყვების შემდეგ მარად მომღიმარე საჭურისთ უხუცესმა მოიფშვნიტა ხელები და ისე მხიარულად იცქირებოდა, თითქოს გეთიდი საქმე რამ გაერიგებინოსო. მაგრამ მან მაინც არ გააგებინა თემიდას თავის ბლანი და იმის დაკითხვაზედ უპასუხებდა ხოლმე:

— ჩემს თავს უფრო მალე ჩავუდებ ლომს პირში, სანამ ჩემს საიდუმლოებას ქალს შევატყობინებ. მე მრწამს შენი სიმამაცე, მაგრამ ისიც გახსოვდეს, რომ კაცის სიმამაცე საქმე-

ში ჩნდება და ქალისა კი—მარჩიელებაში. ამისათვის ის გაკვეთე, რაც გითხრა და მოთმინებით ელოდე, თუ მომავალი რითი გაგახარებს.

თვალის ექიმი ნებენსარი, ჩვეულებისამებრ, კასანდანას სწამლობდა და სპარსელებთან დაახლოებას ერიდებოდა. დღე კასანდანას ოთახში იმყოფებოდა, ღამე კი ბაბილონის უმაღლეს კოშკზედ ადიოდა და ვარსკვლავებს ადევნებდა თვალს. ნიტეტისი ძალიან ალერსიანად ეჭცეოდა, მაგრამ იგი მასაც არავითარს ყურადღებას არ აქცევდა და თითქოს კიდეც ცდილობდა არ შეხვედროდა ხოლმე. ერთხელ როდესაც ნიტეტისმა ჰკითხა:

— ცუდს ხომ არაფერს ხედავ ჩემში, ნებენზარი, ან ხომ არაფერით გაგაჯავრე? მან მიუგო:

— შენ უცხო ხარ ჩემთვის: მე ჩემს მეგობრად არ ვიწამებ იმას, ვინც სიამოვნებით ულალატა თავის ღმერთებს, ჩვეულებათა და სამშობლო ქვეყანას.

საჭურისთ უხუცესმა ბოგესმა მალე შეიტყო, რომ თვალის ექიმი გაჯავრებული იყო მეფის მომავალს ცოლზედ; ამისათვის განიზრახა თავის მოკავშირედ გაეხადა; მაგრამ ნებენსარიმ ლირსეულად უარ-ყო მისი ენა-მლიქნელობა, სიჩუქრები და ალერსიანობა.

ბოლოს დადგა სანატრელი დრო, მოვიდა ამბავი, რომ აჯანყებული ხალხი ცეკვად დაამშვიდეს და ბარტია მალე დაბრუნდებოდა.

გაიარა სამმა კვირამ. შიგრიგები ერთი მეორეზედ მოდიოდენ და მოუტანდათ ამბავი გამარჯვებული ბარტიას მოახლოებისა; ქალაქის ქუჩები კვალად მორთეს; ჯარი ბაბილონში შემოვიდა; ბარტიამ მადლობა გადუხადა გამხიარულებულს ხალხს და გაეშურა დედის მოსახვევნად.

კამბიზმაც გულ-წრფელის სიხარულით მიიღო თავის ძმა და განგებ წაიყვანა კასანდანასთან, რაკი იცოდა, რომ ნიტეტისაც იქ იქნებოდა.

მეფემ გული დაკარგა, რომ ნიტეტისს უყვარდა იგი. მას უნდოდა დაენახვებინა ბარტალასათვის, რომ ერწმუნება მას და წინანდელს თავის ეჭვიანობას შეცდომად სთვლის.

მეფე საყვარულისგან მშვიდი და ალერსიანი შეიქმნა; მისი ხელი უხვად სცემდა სახუქრებს, მრისხანებას ეძინა გულში და ბაბილონის ყორნები შიმშილისგან ჩხავილით დასტრიალებდენ იმ ადგილს, სადაც წინად უხვად იყო საგვდილით დასეკილთა თავები.

ამ დროს ბაბილონში მოეყარათ თავი სამეფოს ყველა დიდებულთ, რომ ხელმწიფის დაბადების დღე ედღესასწაულნათ. ყველა ქალაქებიდამ მოდიოდენ წარმომადგენელნი, რომ მეფისთვის მოერთმათ სახუქრები, ესურვათ მისთვის კეთილ-დღეობა და მონაწილეობა მიელოთ დღესასწაულში, რომელსაც უხვად იგვლოდენ ცხენები, ირმები, ხარები და ვირები.

ამ დღეს ყველა სპარსელს სახუქარი ეძლეოდა და ყველას შეეძლო მეფისთვის რამ ეთხოვნა ან იშვიათად მოხდებოდა რომ თხოვნა არ შესრულებულიყო; ხალხს ამ დღეს მეფის ხარჯზედ აჭმევდენ პურს. კამბიზმა გადაწყვიტა, რომ დღესასწაულის შემდეგ რვა დღე რომ გავიდოდა, ქორწილი უნდა მომხდარიყო, რომელზედაც სამეფოს ყველა დიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

მეფე ძალიან მხიარულად იყო, ამპარტავნება დაიკმაყოფილა და დაცარიელებული მისი გული ნიტეტისის სიყვარულით ავიგსო. კამბიზს ეგონა, რომ თავის სიცოცხლეში მას პირველად შეუძლიან თავის თავი ბედნიერად ჩარაცხოს და უხვად სცემდა სახუქრებს არა იმისთვის, რომ სპარსეთის მეფემ ესათუოდ

უნდა გასცეს, არამედ იმისთვის, რომ ეგი საიმოვნებას გრძნობდა.

სარდალს მეღვინეს სიტყვით ვერ გამოეხატა ომში ბარტის და მის მეგობრების ვაჟკაცობა და მამაცობა. კამბიზი გადაესვია ახალგაზდა გმირებს, აჩუქა მათ ოქროს ძეწკვები და ცხენები და მოაგონა ბარტის ის თხოვნა, რომელიც უნდა ასრულებინა, თუ ომიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდა.

როდესაც ბარტამ თავი ჩაღუნა და ვერ გაბედა თავის სურვილის გამოთქმა, მეფემ გაიცინა და სთქვა:

— შეხედეთ, მეგობარნო: ჩვენი ახალგაზდა გმირი ქალისაგით წითლდება. მე მგონია კრთი საყურადღებო თხოვნის ასრულება მაძინდება, ამისათვის და ბარტამ მოითმინოს ჩემი დაბადების დღემდინ და მეჯლიშის დროს, ღვინით გამხნევებულმა, ყურში მიჩურჩულოს ის, რის თქმასაც ეხლა ვერ ბედავს. აბა, ბარტა, ვინძლო კარგი რამ მითხოვო! მე ბედნიერი კარ ვარ ამისათვის მსურს ყველა ჩემი მეგობრებიც ბედნიერნი იყვნენ.

ბარტამ პასუხი ღიმილით მიუგო და ჩაიდა დედასთან, რომ პირველად გაეცხადებინა მისთვის თავის გულის წადილი.

მას ეშინოდა, რომ წინააღმდეგობას გაუწევდენ; მაგრამ კრეზმა წინადვე მოაწყო საქმე და უსინათლო დედოფალს იმედი კარგი რამ ელაპარაკა საფოზედ, მის ღირსებასა და სიტურფეზედ, ისე შეუქო მისი გონიერება და განათლება, რომ ახალგაზდა ქალებს ეგონათ როდოპისის ქალს კრეზი მოეკვადოვებინა და ამისათვის კასანდანაც დათანხმდა ბარტას თხოვნაზედ.

— ელინელი ქალი—მეფის შვილის კანონიერი ცოლი! შეუფერა უსინათლომ. ეს ხომ თავის დღეში არ მომხდარა! რას იტყვის კამბიზი? ის როგორ დავითანხმოთ?

— მაგაზედ შენ ნუ სწუხარ, დედა, უთხრა ბარტალამ.— მე ისე დარწმუნებული ვარ კაბიზის დათანხმებაზედ, როგორც ამაზედ, რომ სათო ჩვენი სახლის დამამშვენებელი იქნება.

— კრეზმა ბევრი კარგი რამ მითხრა იმ ქალზედ და მე ძალიან გმაყოფილი ვარ, რომ შენ გაბედე ცოლის შერთვა; მაგრამ მე მგონია, რომ ამისთანა ცოლის შერთვა კირის შვილს არ შეშვენის. ან ითქრეს ამაზედ, რომ კლიბულის ქალისაგან წაშობს შვილს, ახეენიდები თავის მეფედ არ იცნობენ, თუ ვინიცობაა კაბიზს შვილი არ მიეცემა.

— მე არაფრისა არ მეშინიან, რადგანაც სამეფოს გვირგვინზედ არა ვფიქრობ. მაგრამ იმასაც ნუ დაიგიწყებ, რომ არა ერთი სპარსეთის მეფე უფრო უბრალო ჩაძოძაულობის ქალის შვილი იყო, სინამ სათო არის. მე ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ნათესავები არ გამეცალვენ, როდესაც ვიჩვენებ მათ სიუნჯეს, რომელიც ნილოსის ნაპირზედ ვიპოვე.

— ოღონდ სათო ჩვენს ნიტეტისა ჭკვადეს და მეტი არ ქინდა! მე იგი მიყვარს, როგორც ჩემი ნამდვილი შვილი და ვლოცავ იმ დღეს, როდესაც იგი ჩვენს ქვეყანაში მოვიდა. ამან თვისის ნაბნარის და ალეფსიანის ქცევით დაამშვიდა შენი ძმის მრისხანე გული; მისი გულ-კეთილობა და მშვიდობიანობა მანუგეშებენ მე და ატკბობენ ჩემს მოხუცებულობას; მისმა წყნარმა ქცევამ დაანგვიანა შენი ცელქი და გიჟ-მაჟი და ატოსა. ახლა დაუძახე ჩვენს ქალებს, რომელნიც ქვეით ბაღში თამაშობენ და შეკვეტობიანოთ, რომ იგინი შენის მეოხებით მალე ახალს მეგობარს იშოვნიან.

— გთხოვ დედა ჩემო, უთხრა ბარტალამ,— ნუ შეკვეტობინებ ამ საქმეს ჩემს დას იქამდის, სინამ მეფე არ დაკითანხმოთ.

— მართალს ამბობ, შვილო. ჩვენ ეს ამბავი ქალებს არ უნდა შევატყობინოთ, თუნდა იმისთვის, რომ შემდეგ სანანებელი არ გაუხდეთ. სასაამოვნო იმედის გაცრუება უფრო ძნელია, სანამ მოულოდნელი მწუხარება; ამისათვის ჯერ შენი ძმის თანხმობას მოვუცადოთ. ღმერთები იყვნენ შენი მფარველნი.

დილით ადრე, მეფის დაბადების დღეს, სპარსელები არა ერთს მსხვერპლსა ჩვლაკდენ ეფრატის ნაპირებზედ. განგებ გაკეთებულს გორაზედ იდგა ვერცხლის უზარმაზარი ტრაპეზი, რომელზედაც ცეცხლის ალი მოჩანდა და დაკმეული სურნელების ბოლი ცაში ადიოდა. თეთრის ტანისამოსით დართულნი მოგვნი უკეთებდენ ცეცხლს სანდლის შეშას. მოგვთ პირი აკრული ჩქოანდათ, რომ წმინდა ცეცხლს მათი უწმინდური სული არ მისდენოდა. მდინარის ახლოს მდელოზედ ხოცავდენ მსხვერპლებს; მათს ხორცს ნაჭერ-ნაჭრებად სჭრიდენ, მარილს აყრიდენ და აწყობდენ მწვანე ბალახში და ირანჯაზედ, მირტის ყვავილებსა და დაფნის ხის ფოთლებზედ იმისთვის, რომ ალურამაზდის მშვენიერი ქალის თვეხი საასლით მოსვრილს დედამიწას არ შეხებოდა.

შემდეგ მოგვთ უხუცესი ორროპასტი მიეიდა ცეცხლთან და ჩაჯდა შიგ კარაქის გუნდა. ცეცხლის ალი მაღლა ავიდა. ყველა სპარსელებმა დაიჩოქეს და პირი-სახე დაიფარეს, რადგანაც ფიქრობდენ, რომ ალი ეგებება წინ თავის მამას, უდიდეს ღმერთასა. მერე მოგვმა ამვანდასტაში წმინდა მცენარის ლაომის ფოთლები ჩანაყო და მისი წითელი წვენი ცეცხლში ჩააესხა, რომელსაც ღმერთების საჭმელად სთვლიდენ.

ბოლოს მან განაპურო ზეცისადმი ხელები და დაიწყო სამლოთო წიგნებიდამ დიდი ლოცვის გალობა, დანარჩენი მოგ-

ვნი კი ხშირად აგდებდენ ცეცხლში კარაქს, რომ უფრო გა-
ძლიერებულიყო. ამ ლოცვით მოგვი სთხოვდა ღმერთებს ეკუნ-
თხებინათ ყოველივე წმინდა და კეთილი, და ყველაზედ უწინარეს
ხელმწიფე და სამეფო.

მსხვერპლის შეწირვა მეფისათვის ლოცვით დააასრულეს.
მდიდრულის ტანისამოსით მოსილი კამბიზი მდიდრულსაც
ეტლში ჩაჯდა, რომელშიც ოთხი თეთრი ცხენი ება და წავიდა
დიდ დარბაზში, სადაც სამეფოს დიდებულნი და მაზრების წარ-
მომადგენელნი იყვნენ შეკრებილნი.

როგორც მოგვი ლოცულობდა, ისევე უნდა ელოცნა ყვე-
ლა სპარსელს. მარტო თავისთვის თხოვნით არ უნდა შეეწე-
ხებინა ღმერთები. პირიქით, ყველა სპარსელს უნდა ეთხოვა
ღვთისათვის ბედნიერება ყველა სპარსელისათვის და განსაკუთ-
რებით მეფისათვის. სპარსელები არც ერთს უცხო ერს არ
უშლიდენ თავიანთ ღმერთების ლოცვას. ამისათვის ბაბილონ-
ში მოსულთ უცხო ტომის ტრაპეზების გვერდით თავიანთ
ტრაპეზებიც ედგათ და ევედრებოდენ თავიანთ ქვეყნის ღმერ-
თებს.

მეურტის და ბზის ტოტებით, ვარდებით და ალთაბრის
ყვავილებით მოფენილი იყო მთლად ქუჩები. ათას ნაირი სუნ-
ნელება იგრძნობოდა და ზავდებოდა ჭაერი, ყველა სახლებიდან
დროშები და ხალიჩები იყვნენ გადმოფენილნი. ხალხი მხიარუ-
ლობდა და მღეროდა.

მეფე თავის ამალით სასახლეს უახლოვდებოდა, რომლის
უმთავრესი დარბაზი ენით გამოუთქმელის სიმდიდრით ბრწყი-
ნავდა და მნახველს თვალებს სჭრიდა.

ამ დარბაზის სიღრმეში ექვსი სოფეხურიანი კიბე იყო და
ყველა სოფეხურს ორი ოქროს ძაღლი ჭყარაულობდა, ეს კიბე

ოდა სამეფო ტახტზე ასასვლელად. ტახტის უკან მარადების დამჭერნი იდგნენ; აქეთ-იქით კი მეფის ნათესავნი და მეგობრები, სამეფოს დიდებულნი, ქურუმნი და საჭურისთ უხუცესნი. დარბაზის ჭერს ოქრო ჭქონდა გადაკრული, ასტაკზედ კი მალალ საოცარნი სალიხები ეკრა.

კამბიზი სან ალერსიანად და სან მრისხანედ ლაპარაკობდა, ამისი მიხედვით თუ როგორ კმაყოფილი იყო მოორთმეულის საჩუქრებით და ქალაქების მცხოვრებთა ქვეშევრდომობით. ბოლოს მის ტახტს იუდიელთა წარმომადგენელნი მიუახლოვდენ, რომელთაც წინ ორი გრძელი წკერიანი კაცი, მოუძღოდა. პირველს მათგანს ბაბილონურად ეცვა და მეორეს, როგორც ებრაელის მღვდელ-მთავართ.

— შენი ნახვა მესიამოვნება, ვეფხვარ, უთხრა კამბიზმა იმ კაცს, რომელსაც ბაბილონურად ეცვა.—მამა ჩემის სიკვდილის შემდეგ შენ ჩემი სახლის კარებზედ ალარ გაგიგია.

კისაც ეს სიტყვები უთხრა, იმან მდაბლად თავი დაუკრა და მიუგო:

— ჩემის მპყრობელის მოწყალება შენს მოხას აბედნიერებს. თუ გსურს, რომ შენი მოწყალების მზე გამოაბრწყინდეს, შესრულდე თხოვნა ჩემის საწყალის ხალხისა, რომელსაც შენმა დიდმა მამამ ნება მისცა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ. ეს მოხუცი, რომელიც ჩემს გვერდით სდგას, იესოა, ჩვენი ღმერთის მღვდელ-მთავარი, არ დაერიდა შორს გზას და წამოვიდა, რომ ეს თხოვნა მოგახსენოს. ღმერთა ქნას, რომ ამის ლაპარაკი შენი უფრისათვის სასიამოვნო იყოს და შენს გულზედ დათესილმა ამის სიტყვებმა ნაყოფი გამოიღონ.

— მე ესლაკვ ვიცი, რაც გინდათ მითხოვოთ, უთხრა მეფემ.

ვანა მართალია, ქურუმო, რომ შენი ლაპარაკი შენს სამშობლოში ტაძრის აშენებას შეეხება?

— არავითარი საიდუმლოება არა სუფევს ჩვენის ბატონისათვის, მიუგო მღვდელ-მთავარმა დაბლა თავის დაკვრით. იერუსალიმში მოთვ შენს მოხებს სწყურიანთ იხილონ სახე თავიანთის მბრძანებელისა და ჩემის პირით გეუბნებიან ნახო მათი მამა-პაპათა ქვეყანა, რომ მათ მიიღონ თქვენგან ნება განაგრძონ ტაძრის შენება.

მეფემ გაიღიმა და უთხრა:

— შენ მოახერხებ შენის თხოვნის ისეთი კილოთი გამოთქმას, რომელიც შენი სალხის თვისებას შეადგენს და ამისათვის ამოგირჩევია შესაფერი სიტყვები და მოხერხებული დრო! ჩემი დაბადების დღეს ძნელად რომ ჩემს ერთგულს ქვეშევრდომს ხალხს თხოვნა არ შეეუსრულო; ამისათვის გპირდები, რომ მალე ვნახავ მშვენიერს ქალაქ იერუსალიმს და შენთან მამა-პაპათა ქვეყანას.»

— შენ დიდად გაბედნიერებ მოანათა შენთან, მიუგო მღვდელ-მთავარმა. ჩვენი ვაზები და ზეთის ხილის ხეები უფრო კარგს ნაყოფს გამოიღებენ შენის იქ მოსვლით, ჩვენი ქალაქის კარები უურთამდის გაიღებიან შენს მისალებად და ისრაელი იმხიარულებს და ერთი-ორად გაბედნიერდება, როდესაც იგი თავის ბატონს თავის ქალაქში მისულს დაინახავს.

— მოითმინე, ქურუმო, მოითმინე! დაუძახა კამბიზმა. თქვენი პირველი თხოვნა, როგორც გითხარ, აუსრულებელი არ დარჩება, რადგანაც დიდი ხანია განზრახვა მაქვს გავიცნო მდიდარი ტაძარი, ოქროს სიდიანი და შენი იერუსალიმი, თავის ცრუ-მორწმუნეობით; მაგრამ ეხლა რომ ნება მოგცეთ ტაძრის აშენების განგრძობისა, მეორე წელიწადს რადა გიწყალობოთ.

— მონანი შენნი მოგვგებებიან საჩუქრებით და არ შეგაწუხებენ თხოვნით, მიუგო ქურუმმა: — ესლა კი წარმოსთქვი ძლიერი სიტყვა და მოგვეც ნება აღვაშენოთ სახლი ჩვენთა მამა-პაპათა ღმერთისათვის.

— საკვირველი სახსია, ეს პაღესტინელები! სთქვა კამბიზმა. — მე კამიგია, რომ თქვენ ერთი ღვთაება გწამთ, რომლის გამოხატვაც არ შეიძლება, რადგანაც იგი სული ყოფილა. ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ეს ჭაერის არსება სახლსა საკრავებს. თქვენი დიდი სული სწორედ რომ საცოდავი და უძლური უნდა იყოს, თუ რომ იგი საკრავებს სახლს, რომ ქარს, აგდრის, წვიმის და საცხის დროს თავი შეაფაროს, თუმცა ყოველგვე ესენი მისგანვე არიან შექმნილნი. თუ რომ თქვენი ღვთაება, ჩვენ ღვთაებასავით, ყველგან მყოფი არსებაა, მაშ მუხლი მოუყარეთ მას და ილოცეთ იგი ისე, როგორც ჩვენ, ყოველ ალაგას და, იმედია, რომ იგი თქვენს თხოვნას ყველგან გაიგებს.

— ღმერთი ისრაელთა ყოველი მხრიდამ ყურს უგდებს თავის ხალხს, ღალად-ჭყო, მღვდელ-მთავარმა. — მან შეისმინა ჩვენი ლოცვა, როდესაც ჩვენს საძოლოს მოშორებულნი ფარაონის ტყვეობის ქვეშ ვიტანჯებოდით; მან გვისმინა ჩვენ, როდესაც ვტირიოდით ბაბილონისა მდინარისა კიდეზედ; მან აღირჩია მამა თქვენი ჩვენი განთავისუფლების იარაღად, აგრეთვე დღესაც შეისმენს ჩემს ვედრებას და მოალბობს თქვენს გულს. ოჰ, დიდებულო მეფეო, ინებე და მიანიჭე მონათა შენთა საზოგადო ადგილი მსხვერპლის შესაწირავად, სადაც შეძლოთ თავი მოიყარონ თორმეტ მუხლად გაყოფილმა ისრაელის ერმა; მიანიჭე ტრაპეზი, რომლის წინაშეც მათ შეეძლოთ შენთვის ლოცვა; ნება უბოძეთ აღაშენონ სახლი, სადაც მათ

ყველას კრთად შეეძლოთ თავიანთ დღესასწაულნი იდღესასწაულონ! ამ დიდის მოწყალებისათვის განუწყვეტლივ შევთხოვთ ღმერთს მოიღოს შენზედ კურთხევა და შენი მტრების დამარცხება!

— ჩემს მოძმეთ დარეკეთ ნება ტაძრის აშენებისა! სთხოვა აგრეთვე ვეფლისარმა, რომელიც ბაბილონში დარჩენილ ურიათა შორის მდიდარი და გავლენიანი კაცი იყო, მას კიდეც დიდს ფიცრებსა სცემდა და არა კრთხულ მიუმართავს მისი რჩევისათვის.

— და განა თქვენ დამშვიდდებით, თხოვნა რომ აგისრულოთ? ჰკითხა მეფემ.—მაშა ჩემმა ნება მოგცათ ეს საქმე დაგეწყოთ და საშუალებაც აღმოგიჩინათ. ყველანი კრთად ბედნიერნი წახვედით ბაბილონიდამ თქვენს ქვეყანაში; მაგრამ ტაძრის აშენების დროს თქვენ შორის ჩხუბი და უთანხმოება გამოვიდა. საერიელებისაგან მრავალი თხოვნა მოუვიდა მაშა ჩემს შეეყენებინა ტაძრის შენება, ამას წინად თქვენმა თანამემამულე სარიელებმაც მეც ესვე მითხოვეს. ამისათვის ვეფლრეთ ღმერთსა თქვენსა როგორც და სადაც გინდოდეთ: თქვენი ვეთანხმის მსურველი ვარ, მაგრამ ტაძრის აშენების ნებას კი ალარ მოგცემთ, რადგანაც თქვენში ეს უთანხმოებას აგდებს.

— ნუ თუ დღევანდელს დღეს უკან წაიღებთ მოწყალებას, რომელიც მაშა თქვენმა მოგვცა თავის მეფურის სიგელით? ჰკითხა ვეფლისარმა.

— სიგელითა?

— დიახ, ეს დღევანდლამდისაც შენახული უნდა იყოს თქვენი სამეფოს არხივში.

— როგორც კი იპოვით მას და წარმოიდგენთ, მიუგო მეფემ:—მაშინ. არამც თუ დავთანხმდები ტაძრის აშენებაზედ,

არამედ თვითონ მეც ამოგიჩენთ შემწეობას. მამი ჩემის ნება ჩემთვის ისეთივე წმინდაა, როგორც ღმერთების ბრძანება!

— ნებას მიბოძებთ, ჰკითხა ვეფსარმა:—განკარგულება მოვსდინო, რომ თქვენმა მწერლებმა გაჩხრიკონ ეგვიპტის არხიები, სადაც უნდა იყოს აგდარი?

— ნებას გაძლევ; მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ვერასფერი იპოვო. ქურუმო, გამოუგზავნე შენს თანამემამულეთ, რომ მე კმაყოფილი ვარ იმ მხედრთა შეიარაღებით, რომელნიც სპარსეთში გამოგზავნეს მასაგეტებთან სალაშქროდ. ჩემი სარდალი მელბიზი ძალიან აქებს. სასურველია, რომ მათ ისე იბრძოლონ, როგორც მამი ჩემის დროს! შენ ვეფსარო, გპატიობ ჩემს ქორწილში და გაგლებ შეატყობინო შენს თანამემამულეთ მესახს და აგე-ნაგოს, რომელნიც ბაბილონში შენს შემდეგ პატივის-ცემის ღირსნი არიან, რომ დღეს სალამოზე მოველი მათ მეჯლისში.

— უფალმა ღმერთმა ისრაილისამ გაკურთხოს და გაგბედნიეროს, მიუგო ვეფსარმა და მდაბლად თავი დაუკრა.

— მაგ შენს სურვილს ვკისრულობ, უთხრა მეფემ:—რაც-განაც მე თქვენს ღმერთს სუსტ არსებად ვთვლი, თუმცა თქვენ დიდს სასწაულებს აწერთ. ამასთანავე, ვეფსარ, რამდენიმე ებრაელნი ლანძღვით იხსენიებდენ ბაბილონელთ ღმერთებს და ამისათვის დაისაჯნენ. გაითვალისწინე შენი თანამემამულენი. იგინი ყველას აძულებენ თავს თავიანთის ცრუ-მორწმუნეობით და კიდევ იმით, რომ ყველას არწმუნებენ, ვითომც მარტო თქვენი ღმერთი იყოს ჭეშმარიტი ღმერთი! მაგალითი ჩვენგან იღეთ: ჩვენ კმაყოფილნი ვართ ჩვენის სარწმუნოებით და სხვის სარწმუნოებას არ ვეხებით. თქვენს თავს სხვა ხალხებზედ უმეტესებად ნუ ჩასთვლით, მე თქვენთვის კეთილი მინდა, რა-

განაც თავის ღირსების შეგნებისაგან წარმოშდგარი ამპარტავნება ძალიან მაძწოხს; მაგრამ გაფრთხილდით, რომ ეს ამპარტავნება თქვენს საკნებულ თავხედობად არ გადაიქცეს. მშვიდობით და დარწმუნებულნი იყვით ჩემს მოწყალებაში.

ურიები გულ.მოკლულნი წავიდენ, მაგრამ იმედი კი არ დაუკარგავთ, რადგანაც ვეელსარმა ნამდვილად იცოდა, რომ იერუსალიმის ტაძრის აშენების შესახები სიგელი ეგბატანის არხივში იქნებოდა.

ებრაელების შემდეგ საერიელებისა და ირანიელი ბერძნების ელჩები წარდგენ მეფის წინაშე. ყველაზედ ბოლოს მივიდენ ნადირის ტუკვებში გახვეული ველური ხალხი. მათი ათრადი თუმცა ოქროსი იყო, მაგრამ ტლანქად გაკეთებული. მათ სპარსულად ჩაცმული კაცი მიუძღოდა წინ, მაგრამ სახეზედ ეტყობოდა, რომ ისიც იმათი მოდგმისა იყო, რომელნიც უკან მისდევდენ.

მეფემ გაკვირვებით შეხედა ელჩებს, რომელნიც მის ტახტს უახლოვდებოდენ. მას შუბლი შეეკმუხვნა და, ანიშნა, რა ხელით კაცს, რომელსაც იგინი მოჰყვადა, ხმა მაღლა დაიძახა:

— რა უნდათ ჩემგან ამ ხალხს? თუ რომ არა ვცდები, ესენი იმ მასაგეტების რიცხვს ეკუთვნიან, რომელთაც მალე მიეყენებ რისხვასა ჩემსა. უთხარ მათ, გობრიას, რომ კარგად შეიარაღებული ჯარი მზადა სდგას მიდიის ველზედ დასასჯელად.

გობრიასმა თავი დაუკრა და მოახსენა:

— ეს ხალხი დღეს დიდით მოვიდა ბაბილონში, მსხვერპლის შეწირვის დროს და თან მოიტანეს მრავალი წმინდა ოქრო, რომ მიიღონ თქვენგან პატივება. როდესაც მათ გაიგეს, რომ შენის პატივ-საცემლად დიდი დღესასწაული იმარ-

თება, ალარ მისვენებდენ და მთხოვდენ გამეხადნა იგინი ლირსნი თქვენის ნახვისა, რომ მოგახსენონ, თუ რისთვის არიან გამოგზავნილი თავიანთ თანამემამულეთაგან.

მოჯმუხვნილი შუბლი გაეხსნა მეფეს. მან დაკვირვებით ათვალ-ჩათვალიერა გრძელ წვერიანი მსაგეტები და სთქვა:

— დაე მოვიდნენ ახლო! მე ძალიან მინდა გავიგო, რის თქმას გამიბედავენ მამი ჩემის მტკლელნი.

გობრიასმა ანიშნა მათ; მათგან უკელაზედ დიდის ტანისა და უკელაზედ უფროსი, სპარსულად ჩაცმულის წინამძღოლობით, მივიდა მეფის ტახტთან ახლო და თავის ენაზედ ხმა მაღლა დაიწყო ლაპარაკი. მისმა მეზობელმა, მსაგეტმა, კირის ტუკემ, რომელსაც სპარსული ენა ესწავლა, სიტყვა-სიტყვით გადასცა ოროტოროს ნალაპარაკევი.

— ჩვენ ვიცით, დაიწყო მან, რომ შენ, დიდი მბრძანებელი, ურისხდები მსაგეტებს მისთვის, რომ მამა თქვენი მათთან ბრძოლაში დაიღუპა; ეს ომი თვითონ მან დაგვიწყო, თუმცა ჩვენ მისთვის ამის მიზეზი არ მიგვიცია.

— მამა ჩემს სრული უფლება ჰქონდა თქვენ დაესაჯეთ, გაწყვეტინა მეფემ სიტყვა ოროტოროს, რადგანაც თქვენმა დედოფალმა თიმირისამ ურის თქმა გაუბედა, რომელსაც მან ცოლობა სთხოვა იმას.

— ნუ ჯავრობ, ჭკვიანი მეფეო, მიუგო მსაგეტმა; მე არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ დედოფლის ურის თქმამ მთელი ხალხი გააძხოვა. ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ მოხუცებულს კირს უნდოდა ჩვენი დედოფალი მიეძალებინა თავის ცოლებისათვის მხოლოდ იმისათვის, რომ მას, ქვეყნების დაპყრობით გაუძალარს, უნდოდა დედოფალთან ერთად მისი სამეფოც ხელში ჩაეგდო.

კამბიზი ჩუმად იყო, ელჩმა კი განაგრძო.

— კირმა უბრძანა ხიდი გაედოთ მდინარე არაქსზედ, რომელიც ჩვენი საძოვარი არის. ჩვენ არავინ გვეშინოდა; ამისთვის თომირისამ უბრძანა ეთქვათ მისთვის, რომ მას ხიდი ტყუილად არ გაეკეთებინა, რადგანაც ჩვენ მზად ვართ ან მოვუცადოთ მის შემოსვლას ჩვენს საშობლოში, ან არა და მის წინააღმდეგ იმისავე საშეფოში წავალთო. კირს განეზრახა, როგორც შემდეგ ტყვეებმა გვაამბეს, ლიდიის გადაყენებული მეფის კრეზის რჩევით, წამოსულიყო ჩვენს ქვეყანაში და დაეღუპეთ ჩვენ მანქანების შემწეობით. მან გამოგზავნა ჩვენს წინაშე მცირე ნაწილი ჯარისა, მოიცადა იქამდის სანამ ეს ჯარი ზოგი არ გაეწყვიტეთ და ზოგი ტყვედ არ დაეჭირეთ. ჩვენ გვეგონა, რომ გაამარჯვეთ უძლეველს მეფეზედ და წარმოუდგენელი თქვენი საერსათით ქმეობა დაეწყეთ. როდესაც ჩვენ დავითვალეთ იმ სასმელით, რომელსაც თქვენ ღვინოს ეძახით და რომლის გემოც თავის დღეში არ გვენახა, მაშინ უეცრად თავს დაგვესხა თქვენი ჯარი და მომეტებული ნაწილი ჩვენის ჯარებისა დაიღუპა. ბევრი ტყვედ ჩაგვიყარდათ ხელში და მათ შორის დედოფლის ასაოგზდა შვილი სპარგაპისი. როდესაც სპარგაპისმა გაიგო, რომ იმის დედა მზა იყო მოგრიგებოდათ, ოღონდ კი მისი შვილი განგეთავისუფლებინათ, მაშინ ასაოგზარდა გმირმა გთხოვათ ბორკილი აგეხსნათ. როგორც კი ხელები გაინთავისუფლა, მან სტაცა ხმალს ხელი ლ ამ სიტყვების შემდეგ გაიგმირა გული: «მე ჩემს თავს მსხვერპლად ვსწირავ ჩემი საღხის თავისუფლებას!» როგორც კი ყველასგან საყვარელი ყმაწვილი კაცის სიკვდილი გაიგეთ, მაშინვე შეკრებულიყვეთ ყველა ჩვენი ჯარები. ბავშვები და მოხუცებულებიც კი ადიჭურვენ, რომ მამიშენისათვის სპარაგაპისის სიკვდილის სამა-

გიერო გადასვლით. საქმე ბრძოლამდის მიგიდა. თქვენ დამარცხდით. კირი მოიკლა, თომირისამ აბოკა მისი გვამი, რომელიც სასხლში სცურავდა და სთქვა: «უბედურო, ეხლა ხომ მაინც არის გაძესი სასხლით!» იმ თქვენმა მხედრებმა, რომელთაც თქვენ უგვდავებას ეძახით, ჩვენ უკან დაგვწიეს და მამა შენის გვამი უკან წაგვართვეს. თვით შენ იყავ იმ მხედრით უფრესი და ლომისავით იბრძოდი. მე გიცნობ შენ! იცოდე, რომ ამ ხმლით, რომელიც ეხლა თანა მაქვს, დაგჭერი მე შენ და ეს ჭრილობა ეხლა შენს ვაჟ-კაცურს სახეს ამშვენებს.

მსმენელნი შეირყნენ, რადგანაც შიშობდენ იმის სიცოცხლის გამო, რომელიც ასე გაბედვით ლაპარაკობდა; მაგრამ კამბიზმა, განრისხების მაგივრად, მოწონების ნიშნად, თავი დაუქნია და უთხრა:

— ეხლა მეც გიცნობ შენ! იმ დღეს შენ ჩალის თვრეს ცხენზედ იჯექი, რომელსაც ოქროს მორთულობა ჰქონდა, ჩვენ სპარსელები, როგორც თვითონ შენ გამოსცდიდი შენს თავზედ, ვაჟ-კაცობას და სიმამაცეს პატივსა ვცემთ. ჩემო მეგობარნო, მე ისე მჭრელი ხმალი და ისე დაულალავი ხელი თავის დღეში არ მინახავს, როგორც ამ კაცისა; მოიხარეთ მის წინაშე თავი, რადგანაც გმირი კაცი პატივის ცემის ღირსია, ვინც უნდა იყოს იგი: მტერი თუ მოყვარე. შენ კი მასაგეთელო, გირჩევ მალე დაბრუნდე შენს ქვეყანაში და სამორად მოემზადო, რადგანაც შენი გმირობის მოგონებაზედ, შენთან ბრძოლა მოვინდა. გეფიცები მირცს, რომ შენისთანა ძლიერი მტრები ჩემთვის უფრო ძვირფასნი არიან, სანამ უხეირო მეგობრები! მე შენ უკნებლად გაგისტუმრებ შენს სამშობლოში, მაგრამ ჩემს ახლო დიდ ხანს დარჩენას კი არ გირჩევ, რად-

გაც მამი ჩემის სიკვდილის სამაგიროს გადახდა მსურს და კაი თუ კელარ მოკითმინო.

მასაგეთმა მწარედ გაიღიმა და მოახსენა მეფეს:

— ჩვენ, მასაგეთები, ვფიქრობთ, რომ მამი თქვენის სულმა საშინელი კმაყოფილება მიიღო. სამაგიროდ ჩვენი დედოფლის შვილმა მოიკლა თავი, რომელიც ჩვენი ხალხის ამპარტავნება იყო და არც კირზედ ნაკლები. ამას გარდა თქვენ სხვა თარადაც ამოიყარეთ ჩვენი ჯაკრი; ჩვენი დედოფალი თომირისისა გადაიცვალა!

— თომირისისა გადაიცვალა? შეჯყვირა კამბიზმა. ნუ თუ ჩვენ, სპარსელებმა, ქალი მოკვალით? რა მოხდა თქვენი დედოფლის თავს? მიპასუხე!

— ათი თვის წინად დედოფალი თომირისისა თავის ერთად ერთს შვილზედ დარდით გადაიცვალა, ამისათვის გაკბედე მოგახსენებინა, რომ ისიც თქვენი ომების მსხვერპლი გახდა და მამი შენის სასხლი სასხლითვე დაიბანა.

— დიდი ქალი იყო ისა, სთქვა ჩუმად კამბიზმა. მერე ხმა მაღლა განაგრძო: მე მგონია, მასაგეთელებო, რომ თვით ღმერთებსა გადაგიხადეს მამი ჩემის მოკვლის სამაგიროო. რამდენიც უნდა მძიმე იყოს თქვენი დანაკლისი, მაინც სპარსეთის მეფის და განსაკუთრებით კირის სასხლს ვერ გამოისყიდის.

— ჩვენს ქვეყანაში, მიუგო მასაგეთელმა, სიკვდილი ყველას ათანასწორებს და სხეულს მოშორებული მეფის სული მოანის სულის თანასწორია. მამა თქვენი დიდი კაცი იყო, მაგრამ ის მწუხარება უფრო დიდია, რომელიც ამის გამო ჩვენ მოგვევლინა. თომირისისის სიკვდილის შემდეგ ჩვენ შორის არეულობა ატყდა. ორს კაცს ვგონია, რომ დაცლილს სამეფო ტახტზედ თანასწორი უფლება აქვთ. ნახევარი ხალხი ერთისთვის

ებრძოდა, ნახევარი მეფისთვის. ამ შინაურმა ომებმა ჩვენი ჯარები თითქმის გაანახევრა. შენ რომ განიზრახო ჩვენთან ომი, წინააღმდეგობას ვერ გაგიწევთ, ამისათვის მოგიგებს გთხოვთ, რისათვისაც ოქროთი სავსე ტომრებს მოგართმევთ.

— მაშ ხმის ამოუღებლად გინდათ დამმორჩილდეთ? ჰკითხა კამბიზმა. მიდიას ველზედ დაბანაკებული ჩემი ჯარების სამრავლე დაგარწმუნებთ, რომ მე თქვენგან დიდს წინააღმდეგობას მოველოდი. მაგრამ თუ მტრები არა გვყავს, ჩვენ ბრძოლა არ შეგვიძლიან. მე დავითხოვ ჯარს და მთავარ-მმართებელს გამოგიგზავნით. მოგესალმებით თქვენ, როგორც ჩემს ახალს ქვეშევრდომებს.

მეფის სიტყვებზედ მასაგეთელს სახე აენთო და მიუგო მან მთრთოლვარე ხმით:

— შენა სცდები, მეფე, თუ გგონია, რომ ჩვენ მამცობა დავიიწყეთ და ან შენი დამონება განვიზრახეთ. ჩვენ კარგად ვიცით შენი ძლიერება და ვიცით, რომ ჩვენი მცირე ჯარი შენს უმრავლეს ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ჩვენ პატიოსნურად, მასაგეთურად, ვალვიარებთ ჩვენს სისუსტეს; მაგრამ ამასთან გიცხადებთ, რომ სპარსეთის მმართებლის ბრძანებას არასოდეს არ დავემორჩილებით. შენ მრისხანედ მიყურებ, მაგრამ ამ მრისხანებას გაგუძლებ და გიმეორებ, ჩემს თხოვნას.

— მე კი, უთხრა კამბიზმა, აი რას გეტყვი შენა: თქვენ ორში ერთი უნდა ამოირჩიოთ: ან ჩემს სკიპტრას უნდა დაემორჩილოთ, შემოუერთდეთ ჩემს სამეფოს და მიიღოთ ჩემი გამოგზავნილი მმართველი, ან არა და ბრძოლით უნდა დაგიმორჩილოთ და მიგვლებინოთ ჩემი პირობები. დღეს თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიანთ კეთილი მეფე იშოვოთ, თორემ შემ-

დეგ მე თქვენი დამმარცხებელი და ჯავრის ამომყრელი შეკიქნები. ჯერ სინამ პასუხს მაძცემდეთ, ამაზედ კარგად იფიქრეთ.

— ჩვენ წინადვე მოვითქიქრეთ ყოველისფერი, მიუგო მხედარმა, და დავრწმუნდით, რომ ჩვენ მთების შვილნი ვართ და მზადა ვართ ეერრო მაღე დავიხოცოთ, სინამ მოანება მიგილოთ. მომისმინე ის, რაც ჩვენმა უფროსებმა დამავალეს თქვენ გადმოგცეთ: «ჩვენ, მასაგეთელები, ჩვენმა ღმერთებმა დაგვსაჯეს და ისე დაგვაუძლურეს, რომ თქვენ, სპარსელებს, წინააღმდეგობას ვერ გაგიწევთ. ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენთან საბრძოლად ბევრს ჯარსა ჭეზავნით, ამისთვის განვიზრახეთ შეგისეიდოთ თქვენგან მშვიდობა და თავისუფლება ყოველ-წლივ დიდის სარჯის გადახდით. მაგრამ იცოდეთ კი, რომ თუ თქვენ ანრაღით განიზრახავთ ჩვენს დაპყრობას, ამით თქვენს თავსაც დიდს ზარალს მისცემთ. როგორც კი თქვენი ჯარი არაქს მოუახლოვდება, ჩვენ ყველანი, ცოლიან-შვილიანთ ავდგებით და წავალთ ახალი სამშობლოს მოსაძებნელად, რადგანაც ჩვენ თქვენსავით ქალაქებში და სახლებში ცხოვრებას ჩვეულნი არა ვართ, ჩვენ უფრო ცხენებზედ ვსხედვართ და კარვების ქვეშ ვცხოვრობთ. ჩვენ წავიღებთ თან ოქროს და მიწას წაკაურით ორმოებს, რომლებშიაც ბევრს საუნჯეს იპოვიდით. ჩვენ ვიცით ოქრო-ვეცხლის ყველა მადნები და მზადა ვართ ბევრიც მოგიტანოთ, თუ რომ მშვიდობას და თავისუფლებას მოგვანიჭებთ; ამასთანავე თუ სპარსეთის სამეფოს რამე განსაცდელი მიადგება, ყოველთვის მზად ვიქნებით იმის მტერს ვებრძოლოთ.»

ელჩი დაჩუმდა. კამბიზმა ძირს დაუშტერა თვალები და დიდ ხანს პასუხს არ აძლევდა, ბოლოს თავის ტახტიდამ წამოდგა და უთხრა:

— დღეს მეჯლისის დროს მოგიდავშირავებთ და ხვალ შეგატყობინებთ, რა პასუხი უნდა წაუღოთ თქვენს ხალხს. გობარიას, განკარგულება მოახდინე, რომ ამ ხალხს კარგად დაუხვდენ, იმ მასაგეთოლს კი, რომელმაც მე დამკრა, ჩემი საკუთარი სუფრის მონარჩენი მიართვით.

IV

ამ ამბების დროს ნიტეტისი მარტოდ-მარტო ატარებდა დროს თავის სახლში. ამ დღეს მეფის ცოლებთან ერთად დაესწრო მსხვერპლის შეწირვას და აღგზნებული ტრაპეზის წინაშე, მისთვის გაუგებარ ლოცვების გალობის დროს, ცდილობდა ელოცნა თავის ახალი ღმერთები.

სამეფო ჭარების მცხოვრებთა მომეტებულმა ნაწილმა პირველად ნახეს ეგვიპტელი ქალი ამ დღესასწაულზედ და, ნაცვლად იმისა, რომ ღვთისადმი მიემართათ თვალნი, იგინი უცხოელს ქალს არ აშორებდენ თვალს.

ნიტეტისი, შეწუხებული მეფის ცოლების მტრულის ცქერით, ძალიან სწუხდა, იგონებდა რა იმ დროს, როდესაც თავის დედით და დით მიდიოდა ხოლმე თავის სამშობლოს უზარ-მაზარს ტაძრებში და ეკედრებოდა თავის ემაწვილობის ღმერთებს; ეხლა, თუმცა ძალიან უნდოდა ელოცნა თავის საყვარელი მეფისათვის, მაგრამ მისი გული არ უდგებოდა უცხოერის ღმერთებს.

კასანდანა და ატოსა ნიტეტისთან ერთად დაჩოქილნი იყვნენ და ბანს აძლევდენ მოგვების გალობას, რომელიც ეგვიპტელი ქალისთვის უბრალო ხმაურობა იყო. ნიტეტისი მიანცა

და მაინც ცდილობდა გარეგნად მაინც ეჩვენებინა, რომ იგი მსურვალედ ლოცულობდა. ლოცვას განსაკუთრებით ის გარემოება უშლიდა, რომ რამდენიმე წამის წინად მსხვერპლის შეწირვის დაწყობამდის მას მიელო ეგვიპტიდამ პირველი წერილი. იგი ჯერ ისევ წაუკითხავი იდო მის სტოლზედ და, როგორც კი სალოცავად მოემზადებოდა, მაშინვე ამას გაიფიქრებდა ხოლმე: რა ამბები სწერია წერილში? რას აკეთებენ მისი მშობელნი? როგორ მოინელა მისმა დამ ბარტიას განშორება?

მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, იგი მსურვალედ გადაეხვია კასანდანას და ატოსას. მერე უბრძანა სახლში წაეყვანათ და, როგორც კი მიიდა შინ, მაშინვე სტოლისაკენ გაექანა, რომელზედაც წერილი იდო. უპირველესი მოახლე,—ის, რომელმაც სპარსული ტანისამოსი პირველად ჩაცვა, — ნიტეტისს ცბიერის ღიმილით დახვდა და ეს ღიმილი შემდეგ გაგვირვებად გადაიქცა, როდესაც მისმა ქალ-ბატონმა ერთხელაც არ შეხედა სტოლზედ დაწყობილს მდიდრულს ტანისამოსს და პირველადვე წერილს მიეკრდა. წერილი საჩქაროდ გახსნა და ის იყო წასაკითხად ემზადებოდა, რომ მოახლე მასთან ახლო მიეიდა და მოახსენა:

— გეფიცებით მირტას, ჩემო ქალ-ბატონო, რომ თქვენ უქმეიფოდ უნდა იყოთ! ან იქნება ეგ წერილი მოჯადოებულია და ამისათვის ეურადღება არ მიაქცია მშვენიერს საძაულს, რომელიც დიდებულმა მეფემ გამოგიგზავნათ მაშინ, როდესაც თქვენ მსხვერპლის შეწირვაზედ იყავით? აბა შეხედე ამ მშვენიერს მოროთულობას! განა არ იცით, რომ ამისთანა საჩუქარს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს? კამბიზმა მიბრძანა გითხოვოთ, რომ ეს მშვენიერი ტანისამოსი დღევანდელს დღესასწაულს დღეს ჩაიცვათ. რა ნაირ გაბრაზდება ფეადიმა! რა ნაირ

დაგიწყებენ ცქერას სხვა ქალები, რომელთაც ამისთანა საჩუქარი თავის დღეში არ მიუღიათ! გეთაყვა, ქალ-ბატონო, ნება მიბრძეთ ეს საუცხოო ნივთები გაგიგეთოთ, რა მშვენიერი იქნები და რა ნაირის მოშურნე თვალით დაგიწყებენ სხვანი ცქერას! ახ, მე რომ იმ დროს იქ ვიყო, როდესაც შენ ზალაში შეხვალ; წავიდეთ, ჩემო ქალ-ბატონო, ნება მიბრძეთ უბრალო ტანისამოსი გაგახადოთ და მდიდრული ჩაგაცვათ.

ნიტეტისი ჩუმად იყო და ებედს მოახლეს ეურს უგდებდა, თანაც იდუმალის ღიმილით სიხარულს საჩუქარს. მას იმდენად ქალური თვისება ჰქონდა, რომ ეს საჩუქარი უოუოდ გაახარებდა; იგი ხომ გამოგზავნილი იყო იმ კაცისაგან, რომელიც მას თავის სიცოცხლეზედ ძლიერ უყვარდა; ეს საჩუქარი კუბნებოდა მის გულს, რომ იგი მეფისთვის უფრო ძვირფასია, სანამ ყველა სხვა ცოლები. მას წერილი ხელიდამ გავარდა, დაუჯერა მოახლის თხოვნას და მეფის გამოგზავნილი ტანისამოსით მოირთო. ახალს ტანისამოსში ისე დამშვენდა, რომ მოახლეც კი გაჩუმებულა და მის წინ მუხლი მოიდრეკა.

დიდ ხანს არ უყურებდა ნიტეტისი თავის წინაშე დახოქილს მოახლეს; იგი სირცხვილით გაწითლდა, მშვენიერი თავი გაიქნია, წამოაყენა მოახლე და შუბლზედ ალერსიანად აკოცა; მაშინვე აჩუქა მას ოქროს სამაჯე და სთხოვა მოშორებოდა. მოახლე მაშინვე გაიქცა, რომ ქალ-ბატონისაგან ნაჩუქარი ნივთი თავის მეგობრებისათვის ეჩვენებინა. ნიტეტისი კი სიხარულით ცრემლ-მორეული და ალელვებული, მიესვენა სპილოს ძვლის სელზედ, თავის ქვეყნის სიტურფეის ღმერთს შეეკედრა. მერე წერილი გულში ჩაიკრა და სთქვა თავისთავად:

— რა ბედნიერი და კმაყოფილი ვარ! საწყალო წერილო!

მან, ვინც შენ გწერავდა, იქნება არც კი იცოდა, რომ ნახვკარს საათს წაუკითხველი იდებოდი.

ხარბად დაიწყო კითხვა, სახეზედ საამოვნება დაეტყო; მაგრამ ლიმილი მალე თვიქრად გადაქცა და, როდესაც წერილი ბოლომდის ჩაიკითხა, კვალად ხელიდამ გავარდა. თვალებში ცრემლები მოერია, თავი სტოლზედ დაყრდნო, გადმოცვინული ცრემლები მარგალიტსა და ბრილიანტებში ერეოდენ.

წერილში შემდეგი ეწერა:

„ლადისა, მეუღლე ამაზისისა და დედოფალი ქვემო და ზემო ეგვიპტისა, სწერს თავის ქალს, ნიტეტისს, სპარსეთის მეფის მეუღლეს.

„თუ რომ, საყვარელო შვილო ჩემო, ამდენ ხანს შენს საშობლოდამ ამბავი არ მოგდიოდა, ამაში დამნაშავე ჩვენ არა ვართ. ტრიერა, რომელსაც უნდა მიეტანა ეგვიპტეში შენთან გამოგზავნილი წერილები, საძალელს საძხედრო გემებს დაეჭირა და ასტიპალეის ნავთსადგურში წაეყვანა.

„თავხედობა პოლიკრატისა, რომელსაც ყოველივე საქმე კარგად მოსდის, რაც უნდა განიზრახოს, თან და თან უფრო მატულობს. არც ერთი გემი მის საყაჩაღო გემებს ხელიდამ არ მისდით მას აქეთ, რაც მან დაამარცხა ლეზბოსელები და მილეთელები, რომელთაც უნდოდათ ამისთანა საასაძაგლისთვის ბოლო მოეღოთ.

„განსვენებული პიზისტრატის შვილები,—მისი მეგობრები არიან. ლიღდამისი ძალიან დავალებულია მისგან და საძოსელების დახმარებაში საჭიროებს, რომ კუნძულს ნაკრიზედ თავისუფლება დაიცვას. მისი გემებისაგან დატანჯულნი არიან ყველა ხალხები, როაელნიც ზღვით დადიან. საძოსი

ერთს მდიდარ ქალაქად გახდება და პოლიგრატიც ძალიან გაძლიერდება, თუ, როგორც მამა შენი ამბობს, ღმერთებმა არ შეიშურეს მისი სრული ბედნიერება და განსაცდელი რამ არ მოუმზადეს.

«რომ ღმერთების რისხვა განეშორებინა, ამაზისმა ურჩია თავის მეგობარს პოლიკრატს დაეთმო რამ ძვირფასი ნივთი ისე, რომ შემდეგ ველარ დაებრუნებინა. პოლიკრატმა დაუჯერა მამა შენს და თავის ცხიდამ გადაგდო ზღვაში ერთი უძვირფასესი თავის ბეჭედთაგანი. მაგრამ ექვსი დღის შემდეგ მისმა მზარეულებმა ეს ბეჭედი თევზის მუცელში იპოვეს; პოლიკრატმა მაშინვე შეგვატყობინა ეს საკვირველი ამბავი; იმის მაგივრად რომ გახარებოდა, მამა შენმა მწუხარედ გაიქნია თავი და სთქვა, რომ ძნელია იმის აცილება, რაც ბედისაგან განწესებულია. იმავე დღეს მამა შენმა გამოუცხადა პოლიკრატს, რომ სპობს მასთან ყოველსავე მეგობრობას, რადგან არ მინდა ჩემი საყვარელი კაცის უბედურება ვნახოდეთ. პოლიკრატს ძალიან გაუცინია ამ ამბავზედ და გამოგზავნა ჩვენთან ის წერილები, რომელნიც იმის ზღვის ყიჩალებს წაერთმიათ ჩვენი ტრიერისათვის. ამას იქით წერილებს სიფრთის გზით გამოგიგზავნით.

«რომ მკითხო, რისთვის გიამბობ იმისთანა ამბებს, რომელნიც შენს გულს არ ასიამოვნებენ, მე მოგიგებ: იმისთვის მოთქი, რომ მოგამზადო იმ მდგომარეობის გასაგებად, რა მდგომარეობაშიაც მამა შენი იმყოფება. განა შეგიძლიან-ლა იცნო მსიარული, ალერსიანი და უდარდელი ამაზისი იმ საუბების შემდეგ, რომელნიც მან საძულელი მეგობრის შესახებ წარმოსთქვა?

«საუბედუროდ, ჩემს ქმარს საკმაო მიზეზი აქვს აწუხოს და დედა შენის თვალებზედაც ცრემლი არ შემშრალა მას აქეთ,

რაც შენ სპარსეთში წახვედი. ხან ავად-მყოფს შენს დას ვუ-ფიცარ გვერდით და ხან მამა შენს, რომ ნუგეში ვცე და გა-ვამხნეო.

„რომ ეს სტრიქონები მოგწერო, მთელი ღამეები უნდა გავტეხო, თუმცა ძილი ჩემთვის საჭიროა.

„ეს არის გამაწყვეტინეს წერა გამდლებმა, რომელთაც მითხრეს ტახტი გეძახისო. რა ნაირის საამოვნებით იგო-ნებს საბრალო ქალი შენს სახელს ავად-მყოფობის დროსაც და რა ნაირ უფრთხილდება შენს სახთილის სურათს, რომელიც ძალიანა გგავს შენა.

„ახლა, ჩემო შვილო, ლონე მოიკრიბე და მე ვეცდები გიამბო დაწვრილებით ყოველისფერი, რაც კი ღმერთებმა მო-გვიელინეს.

„შენი წასვლის შემდეგ ტახტს სამი დღის განმავლო-ბაში თვალებზედ ცრემლი არ შეშრობია. ყველა ჩვენმა ნუგე-შის ცემამ, დარიგებამ და ლოცვამ საბრალო ქალს მწუხარება არ შეუმცირეს და არ გაართეს. მეოთხე დღეს ცრემლი გაუშრა. იგი თითქოს შეურიგდა თავის ბედს და, თუ რამეს ვკითხავ-დით, პასუხს გვაძლევდა; მაგრამ უფრო ბევრს ხანს ჩუმად იყო და ჯარას უკვდა გვერდით, მაგრამ უწინდებურად კი ველარ არ-თავდა, ძაფებს ძალ-ძალ სწყვეტდა. ის, რომელიც წინად მამის ხუმრობაზედ გულით სარხარობდა ხოლმე, ახლა გულ-გრილად უყურებს ყოველს ხუმრობას. როდესაც მე მას შუბლზედ ვა-კოცებდი და ვთხოვდი თავი დაეკმარა, იგი წამოხტებოდა ხოლ-მე და სამანლად გაწითლებული გულში მეკრობდა, მერე ისევ ჯარას მოუკვდებოდა ხოლმე; ნახევარ საათის შემდეგ ველად ჩაფიქრდებოდა, ხელებს მუხლებზედ იწყობდა და ერთს რო-მელსამე ადგილს აშტერდებოდა.

„როდესაც იგი ბუბასტისში დიდს დღესასწაულზედ წავიყვანეთ, სადაც ეგვიპტის ხალხი იყრის თავს; როდესაც მან პირველად დაინახა მრავალი მხიარული ხალხი, იგი თითქოს გამოერკვა და დაიწყო ცრემლების ღვრა ისევე უხვად, როგორც შენი წასვლის შემდეგ. შეწუხებულებმა და მორჩენის იმედ დაკარგულებმა იგი ისევ საისში მოვიყვანეთ.

„იგი ღმერთსა ჭვავდა. თუმცა ძალიან გახდა, მაგრამ ყველას გამაღლებული გვეჩვენებოდა; მისი კანი თეთრად ბრწყინავდა და ლოყებზედ სიწითლე დაეტყო, რომელიც კოკორი ვარდის სიწითლესა ჭვავდა, ან ცისკრის პირველს სხივს. მაგრამ რადგანაც სიცხე თან და თან ემატებოდა, ამისათვის ფიქვიდამ მოვყვანეთ საისში გამოჩენილი ექიმი იმგოტეპი. ნახა თუ არა ექიმმა, თავი გააქნია და გვითხრა, რომ დიდს ავად-მყოფობას გამოიწვევსო. ამ დღიდამ მას ძალა დართვა აეკრძალა და ძალიან ცოტა უნდა ელაპარაკნა. სულ სხვა და სხვა ნაირი წამლები უნდა მიეღო. ყველა ქურუმნი მისი მორჩენისათვის ეკედრებოდენ ღმერთებს. მაგრამ არც ლოცვამ და არც წამლებმა ტახოტს არაფერი უშველეს. ნეიტოტეპმაც ალარ დაგვიალა და გვითხრა, რომ ტახოტის ვარსკვლავი მალე გაქრებაო. ამ დღეებში მემფისში წმინდა ხარი მოკვდა; ქურუმებმა მის შიგნეულობაში გული ვერ იპოვეს და გამოაცხადეს, რომ ეს ეგვიპტისთვის უბედურებას მოასწავებსო. ყველანი ამბობენ, რომ მამი შენის სამეფოს ღმერთები თავგანთ მადლს მხოლოდ მაშინ მოუვლენენ, როდესაც ყველა უცხოელთა ტაძრებს დაანგრევენ და იმითაც გარეკვენ, რომელნიც ცრუ-ღმერთებს სწირავენ მსხვერპლსაო.

„წინასწარმეტყველება გამართლდა. ტახოტი საშინლად ავად გახდა. ცხრა დღეს არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი,

ეხლაც ისე სუსტად არის, რომ ხელით ძლივს დაგვეკვეს და ხელი და თვეხი ვერ გაუძრავს.

«ბუბსტისში მოგზაურობის დროს, ამაზისს თვალების ანთება მოუვიდა, რაც ხშირად ხდება ხოლმე ეგვიპტეში. იმის მაგივრად რომ ცოტა შეესვენა, იგი ისე ძველებურად მუშობდა მზის ამოსვლიდამ შუადღემდის. იმ დროს, როდესაც შენი და აკად იყო, მამა შენი იმის ლოგინს არ მოშორებია, თუმცა ყველანი ვურჩევდით. რალა გაგიგრძელო, შვილო, თვალების ანთება უფრო გაუძლიერდა და იმ დღეს, როდესაც ბაბილონში შენი მშვიდობით მისვლის ამბავი მოგვიკიდა, ამაზისი დაუსინათლოვდა. მთელი საათობით ნეიტის ტაძარშია და ლოცულობს. იქვე, იმის თვალ-წინ, მუშები საფლავს აშენებენ იმის მუმიისათვის, ზოგი მუშებიც მემფისში დაწყობილს აპოლონის ტაძარს ანგრევენ. ამ უბედურებას ამაზისი ღმერთებისგან მოვლინებულ სასჯელად სთვლის.

«ამაზისის ნახვა მას ალარ ასიამოვნებს; იმის მაგივრად რომ მეგობრულად ელაპარაკოს საბრალო ქალს, ცდილობს დაუმტკიცოს, რომ ღმერთებმა ისიც საამრთლიანად დასაჯეს. იგი უფრო გულს უხეთქავს საწყალს ქალს, რომელსაც სიცოცხლე ძალიან უნდა.

«აი კიდევ დამიშალეს წერა. ექიმი იმგოტეპი მოვიდა ავად-მყოფის სანახავად. მას იმედი ალარა აქვს და კიდეც უკვირს, რომ ასეთი ნაზი არსება ასე დიდ ხანს ებრძვის საკვდილს. «იგი დიდი ხანია მოკვდებოდა, გვითხრა მან გუშინ, თუ რომ მას არა ჰქონდეს სიცოცხლის მტკიცე სურვილი. თუ რომ მისი სურვილი შესრულდება, შეიძლება რამდენსამე წელიწადს კიდევ იცოცხლოს.» ხომ მიხვდი რაც არის მისი სურვილი? ჩვენი ტახტი შენი ქმარის ძმამ მოხიბლა და მოა-

ვადოვა; ამით მე ამას არ ვამბობ, ვითომც მას მანქანური საშუალება ეხმაროს, რომ მის გულში სიყვარული აღვძრა. რაც სიდამაზე პარტიას აქვს, ამის ნახევარიც საკმარია, რომ შეიპყრობს უზაკვესი ქალის გული. შენს წასვლამდისკე შეკნიშნე, რომ ტასოტს სპარსელი უყვარდა. პირველად ჩვენ გვეგონა, რომ ცრემლებს შენი წასვლის გამო ღვრიდა. მაგრამ იოდესაც მან ადუმალად ჭმუნვა დაიწყო, იგიგმა, რომელიც მაშინ ჩვენსა იყო, შენიშნა, რომ მას ძლიერი გულის-თქმა მოერია.

ეკითხეო, იოდესაც იგი თავის ჯარს ჩაეიქრებული უჯდა, იგიგმა უმღერა საგოლ საყვარელი სიმღერა:

დედავ ჩქარდეს შებრალება,
დარეკავ ალარ შეძიძლიან,
შინ გული ალარ მიდგება,
ოცნებანი სხვაგან რბიან.
ძაფი მალი-მალ მიწყდება
მამდის კანკალი ხელისა...
დედავ ჩქარდეს შებრალება
მამეცი ნება წასვლისა.

«ამ სიტყვებზედ იგი გაუკვირდა და ჰკითხა; «შენ თვითონ შეთხზე ეგ ლექსი, იგიგ»?

«არა, მიუგო მან, ამ ორმოც და ათის 'წლის წინად ამ ლექსს ათვინ მღერიდა.»

«ორმოც და ათის წლის წინად... განიმეორა ტასტამ ჩაფიქრებით.»

«სიყვარული ყოველთვის უცვლელია, უთხრა პოეტმა;

«ის საუკეთესოა, რომელიც საფოს ჭქონდა, ჩვენს შემდეგაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში იქნება».

«ავად-მყოფმა გაიღიმა და მას აქეთ ჩუმად იმეორებდა ამ ლექსს, როდესაც ჯარას უკვდა ხოლმე გვერდით.

«ჩვენ მაინც ისეთს არაფერს ვეუბნებოდით, რაც კი მოაგონებდა იმას, ვინც უყვარდა. როდესაც დიდი სიცხე ჭქონდა, ბარტიას სახელი განუმეორებლად პირზედ ეკერა, როდესაც სიცხე გამონელდა ჩვენ ყოველისფერი ვუამბეთ, რაც კი სიცხის დროს თქვა.

«მაშინ იგი გამოიტყდა და ყოველისფერი მითხრა, და ასე დაამბოლოვა ლაპარაკი: «მე ვიცი, რომ იქამდის არ მოვკვდები, სანამ მას არ ვნახავო.»

«ამას წინად ჩვენ ვუბძანეთ იგი ტაძარში წაეყვანათ, რადგანაც იქ ლოცვა მიიწადინა. ლოცვის შემდეგ, როდესაც გარედ გამოვდიოდით, ტახოტმა შენიშნა პატარა ქალი, რომელიც რალასაც ალტაცებით უამბობდა თავის მეგობრებს, მან ბავშს თავისთან დაუძახა.

«რას ლაპარაკობდი შენა»?

«მე სხვებს ჩემს უფროს დაზედ ვუამბობდიო».

«არ შეიძლება შენს ლაპარაკს მეც ყური დავუგდოვო»? უთხრა ტახოტმა ისე ალერსიანად და ვედრების გილოთი, რომ პატარა ქალმა მაშინვე უამბო: «ჩემი დის საქმრო ბატუა გუშინ მოულოდნელად დაბრუნდა თვიალამ. მან მოუტანა ჩემ დას ოქროს მშვენიერი საქორწილო გვირგვინი».

«ტახოტმა აკოცა ქალს და თავის მარა ახჩუქა. როდესაც ჩვენ შინ დავბრუნდით, ტახოტმა გაიღიმა და მითხრა: «ხომ იცი საყვარელო დედა, რომ ბავშვისაგან ტაძრის ახლოს ნათქვამს სიტყვებს ოროკულის წინასწარმეტყველებად

სთელიანო. თუ რომ პატარა ქალმა მართალი სთქვა, იგი უსა-თუოდ უნდა მოკვდეს! განა შენ არ გაგეგ, რომ იგი საქორწილო გვარგვინს მოიტანს? ოჰ, დედა ჩემო, მე ნამდვილად ვიცი და დარწმუნებულიცა ვარ, რომ მას ვნახავ»!

«როდესაც გუშინ ვკითხე ტახტს, რა მიგწერო შენს მაგივრად შენს დასა მეთქი, მან მითხრა მომეწერა, რომ იგი გიგზავნის შენ ათას მადლობას და კოცნას და, როდესაც ლონეზედ მოვა, თვითონაც წერილს მოგწერს. ეხლა კი პატარა წერილი მომცა შენთან გამოსაგზავნად, რომელიც დიდის გაზრვებით დასწერა.

«ეხლა კი დრო გავათო წერილი, თორემ შიგრიკი დიდი სანია იცდის.

«გულით მინდა რამე სამხიარულო ამბავი მოგწერო, მაგრამ სამთაც კი მიგიხედავ სასაამოვნოს არაფერს ვხედავ. შენი ძმა თან და თან ქუჩუმთა გავლენის ქვეშ ვარდება და მამი შენის მაგივრად სახელმწიფო საქმეებს იგი განაგებს ნეიტოტეპის ხელმძღვანელობით.

ამაზისი სრულს თავასუფლებას აძლევს ფასმეტიხს და ამბობს, რომ ჩემთვის სულ ერთია—რამდენამე დღით ადრე დაიწყრეს სახელმწიფო ტახტს თუ გვიანო.

«ამაზისმა არ დაუშალა შენს ძმას ელინელის ქალის რიდეპისის სახლიდამ ძალის-ძალად ფანესის შვილების მოტაცება, პირიქით კიდეც მოუწონა ასეთი მოქმედება. ფასმეტიხმა ძალიან გაკვეთა ბერძნები ფანესის შვილების შესახებ ასეთის მოქმედებით, არისტომახი ემუქრებოდა, რომ ჩემის ყვრით ეგვიპტეს დაკტოვებო; მან კიდეც ითხოვა სამსახურიდამ დათხოვნა, როდესაც შენის ძმის ბრძანებით ფანესის შვილი მოკლეს. მაშინ სპარტანელი უეცრად სადღაც გაქრა და ბერძნე-

ბი კი ისევ ეგვიპტეში დარჩენენ, რადგანაც ბევრი ფული მისცეს.

«კარგად იყავ შვილო ჩემო და ნუ დაიეიწყებ შენს საბრალო დედას. შეუნდეე შენს მშობელებს, როდესაც გაიგებ მას, რასაც ვქმედის გიმბლავდით. ტანჯულისათვის ღელავ, ჩვენს მაგიერად მოგითხოვ მოახსენე ჯრეზს და ჩვენს ნაცვლად აცადე გაზდა სპარსელებს; მოახსენე მოგითხოვ აგრეთვე ბარტის შენის დის მაგიერად. ნეტავი შეიძლო და როგორმე შეატყობინო შენს დას, რომ აცადეს ბარტის იგი არ დაეიწყებია!

«იყავ კარგად და ბედნიერად შენს ცხოვლს მშვენიერს საშობლოში!»

V

როგორც დილის მოწმენდილს ცას წვიმიანი ღრუბლები მოეფარებიან, ისევე საშინაურო მოლოდინს საშეუცნობო აზრები მოსდევს ხოლმე.

ნიტეტისმა ძალიან გაიხარა ამ წერილით, რომელსაც მისი ბედნიერება უნდა მოეშალა.

ამ წერილმა ანაზდეულად გააქრო მის გულში ყოველივე მხიარულება—თავის საშობლოს მოგონება და კიდევ მათი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მის ყმაწვილურს უდარდელს ბედნიერებაში.

იმ დროს, როდესაც მდიდრულად ჩაცმული იჯდა და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა, იგი ფიქრობდა მხოლოდ თავის დედის მწუხარებაზედ, მამის უბედურებაზედ და დის ავად-ყოფობაზედ. საშინაურო მომავალი, რომელიც მას

ბედნიერებას ექვდა, ძღიერება და სიყვარული ანაზდეულად გაქრენ მის თვალთაგან. კამბიზის საცოლემ დაკარგა თავის საყვარელი ქმარი; სპარსეთის მოამავალი დედოფალი სხვაზედ ალარავერზედ ფიქრობდა, თუ არ უბედურებაზედ, რომელიც ეგვიპტის სახელმწიფოს სახლს მისდგომოდა.

შუა-დღე უკვე მოტანებული იყო, როდესაც ნიტეტისის მოახლე მანდანა ყვალად შეშფოთდა ოთახში, რომ მისი მორთვა სრულიად გაეთავებინა.

ცმა სძინავს, ითქრა მოახლემ: დაე ცოტა ხანს მოიხვენოს; ეტყობა მსხვერპლის შეწირვის დროს დაღლილა, მეჯლისში კი ისეთის ბრწყინვალებით და სიტკბოებით უნდა გაკვიდეს, რომ თავის ბრწყინვალებით ყველანი ალაბნელოს, რომელიც თავრე კარისკაცებს აბნელებს ხოლმე »

მანდანა ფეხის აკრეფით გავიდა ოთახიდან, რომლის თანჯრებიდანაც მშვენიერად მოჩანდენ დაკიდული ბალები, ქალაქი, ბაბილონის ნაყოფიერი ველი და ცის დასავალი.

მოახლემ აქეთ-იქით ალარ მიიხედა და პირ და პირ ყვავილებს დაუწყო კრეფა. იგი დაჯშტერდა ასალს ბრილიანტს, რომელზედაც მზის სხივები ბჟყვრიალებდენ და მდიდრად ჩაცმული კაცი კი ველარ შესიშნა, რომელსაც კისერი წაეგრძელებინა და იმ ოთახის თანჯარაში იყურებოდა, სადაც ნიტეტისი ტრემლით ელოდებოდა, იმ კაცმა რამეწამსაც მოახლე დაინახა, ისეთის წმინდა ხმით შეჭყვირა თითქოს ბავშვის ხმა არისო:

— მოგესალმები, მშვენიერო მანდანავ!

მოახლე შეკრთა, მაგრამ როდესაც საკურისთ უხუცესი ბოგესის ხმა იცნო — უთხრა:

— შენის მხრით ეგ კარგი არ არის, ჩემო ბატონო, რომ ასე მაშინებ საწყალს ქალს! მირტას გეფიცები, რომ უსათუოდ

გული წამაგიდოდა, თუ რომ წინად შენი სმა არ მეცნო და მერე შენ არ დამენახე. ქალის სმა მე არ შემაშინებს, მაგრამ კაცის სმა კი ამ ადგილს იშვიათად ისმის ხოლმე.

ბოგესმა გაიღიმა და მიუგო ხელების ფშვნეტით:

— რასაკვირველია. ახალგაზდა მშვენიერი ჩიტისათვის საქმიანია არ იქნება აქ განმარტოებით ცხოვრება; მაგრამ მოთმინება იქონიე ჩემო კარგო! შენი ქალ-ბატონი მალე დედოფალი გახდება და შენ ახალგაზდა ქმარს გიშოვნის, რომელთანაც უფრო საამოვნებით იცხოვრებ განმარტოებით, ვინემ შენს მშვენიერს კვიპტელს ქალთან.

— ჩემი ქალ-ბატონი იმდენად უფრო დაამაზია, რამდენადაც სხვებს უნდოდათ, მე კი ჩემთვის ქმრის შოვნა არავისთვის არ მითხოვნია, მიუგო მან მძულვარებით.—ქმარს უშენოდაც ვიშოვნი.

— მაგაზედ კინ რას ამბობს. შენი მშვენიერი სახე რომელს კაცს არ მოხიბლავს?

— მე კაცებისა გულს არა ვხიბლავ და განსაკუთრებით ისეთი კაცებისას, რომელიც შენა ხარ!

— მჯერა, მჯერა ეგა, უთხრა სიცილით საკუთარისი უსუფევამ, მაგრამ ერთი ეს მითხარ, ჩემო საუნჯეო, მე ასე სასტიკად რად მეჭვევი. განა შენთვის უსიამოვნებას რამ მოამეფნებია? განა მე შენი თანამემამულე მიდიანელი არა ვარ.

— და განა ჩვენ ორივენი ადამიანები არა ვართ? განა ჩვენ ხელებზედ ათ-ათი თითი არა გვაქვს? აქაური მცხოვრებთა ნახევარი მიდიანელები არიან; ეგენი, მარტო იმისთვის რომ ჩემი თანამემამულენი არიან, ჩემი მეგობრები იყვნენ, ხვალვე დედოფალი გავხდები. ეგვიპტელ ქალთან მოახლეობის ადგილი სრულიადაც შენ არ მიშოვნე: ეს ადგილი უმაღლესმა

ქუჩუმმა ოროპსტმა მიშოვნა. აქ ზემოდ ჩვენ შენთან საქმე არა გვაქვს!

— მაგას რას ამბობ, ჩემო კარგო? განა შენ არ იცი აქ ჩემს დაუკითხავად არც ერთი მოახლე არ ინიშნება?

— ეგ შენზედ ნაკლებ არ გიცი, მაგრამ...

— მაგრამ თქვენ ქალებმა პატივის-ცემა არ იცით, ჩვენი გულ-კეთილობის ღირსნი არა ხართ!

— ნუ გაკიწყდება, რომ შენ კარგის ოჯახის ქალს ელაპარაკები!

— კიცი, ჩემო ბატონო. მამა შენი მოგვი იყო და დედა შენიც მოგვის ქალი. ორივენი მაღე დაიხოცნენ და შენ უმაღლესი ქუჩუმის ოროპსტის მამას მიგცეს, რომელმაც თავის შვილებთან ერთად გაგზარდა. როდესაც შენ საყურეები გაგეკეთა, ოროპსტის ძმამ გაუმატა შეგიყვარა; რათა წითელდები, თუმცა გაუმატი ცხრამეტის წლისა იყო, მაგრამ შენი ცოლად შერთვა კი უნდოდა. გაუმატა და მანდანა! რა ტკბილი გამოსათქმელია ეს ორივე სახელი! მანდანა და გაუმატა! მე რომ მგოსანი ვიყო, ჩემს გმირს გაუმატას დავარქმევდი და მის საყვარელს მანდანას!

— მე გთხოვ დაცინვას თავი დანებო! უთხრა გაბრაზებულმა ქალმა და თვალი დაუბრასუნა.

— განა შენ უკმაყოფილო ხარ, რომ თქვენ სახელებს ერთი მეორის შესაფერად ვსთვლი? უფრო ამპარტავან ოროპსტზედ უნდა გაჯავრდე, რომ თავის უნცრესი ძმა რაგეში გაგზავნა და შენ შენს სასახლეში მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთი დაივიწყოთ.

— შენ ჩემს კეთილის მყოფელს ცილსა სწამებ.

— დაე გამიხმეს ენა თუ მე მართალს არ ვამბობდე. ორო-

ესლემ იმისთვის გაგაშორა თავის ძმას, რომ სხვა უფრო მდიდრის ოჯახის ქალი შერთოს. ამიტომაც ანუ მენიმე უფრო სასიამოვნო რძლები იქნებოდენ მისთვის; შენ კი, როგორც ლარიბის ოჯახის ქალს, მისი განზრახვის სრულებაში არაფერი არ შეგეძლო. ჩვენში კი დარჩეს და იმას ძალიან უნდა მასაგეტებთან ომის დროს სახელმწიფოს თვითონ განაგებდეს და კინ იცის რას არ გაიმეტებს, ოღონდ კი ახეკენიდებს დაუნათესავდეს. ის ამისთანა ხანშია, რომ ახალს ცოლებზედ თვიქრი ალარ შეშვენის; მაგრამ მას ჩვენს ახალგაზდა ლამაზი ძმა, რომელიც, როგორც ამბობენ, თურმე ბარტიასა ჩვენს...

— ეგ მართალია, უთხრა მანდანამ. წარმოიდგინე, რომ რიდესაც ბარტია პირველად ვნახე მე გაუმარტი მეგონა. იგინი გაგრილ ვაშლასავით ერთმანეთს ჩვენან და მთელს სახელმწიფოში მათზედ ლამაზი არავინ არის.

— როგორ გაწითლდი. ჩემო ვარდო! რიდესაც დღეს დილით მიგესალმე უმაღლესი ქურუმის ძმას...

— გაუმარტა აქ არის? გაწყვეტინა მანდანამ საგურისთა-უხუცესს სიტყვა. განა შენ მართალ ნახე იგი, თუ გინდა ჯერ მე მათქმევინო რამე და მერე მოამარტეუო!

— გეფიცები მირტს, ჩემო მტრედო, რომ დღეს დილით მე მას შუბლზედ ვაკოცე და ძალებული ვიყავ ბევრი რამ მეთქვა ამის საყვარელზედ; ამასთანავე მე მინდა მისთვის შეუძლებელი შესაძლო გავხადო, რადგანაც ამდენად სუსტი ვარ, რომ ამის მშვენიერს თვალებს, თავსა და ლოყებს წინააღმდეგობას ვერ გავუწევ. ჯერ სინამ ყველაფერი არ მითქვამს, ნუ გაწითლდები ჩემო ბროწეულის ლამაზო ყვავილო. ამას იქით შენ ისე სასტიკად ალარ მოექცევი საბრალო ბოგესს და დარ-

წმუნდებია, რომ მას გეთიული გული აქვს და უნდა დაეხმაროს თავის თანამემამულე მანდანას.

— მე არა მაქვარ შენი ლაპარაკი, უთხრა მანდანამ. მე წინადვე მითხრეს, რომ შენ ცბიერი ენა გაქვს და ვერ გაიგებ, თუ აგრე ალერსიანად რად მეძახიო.

— ამას იცნობ? ჭეთხა საჭურისთა-უხუცესმა და მისცა ქალს მშვენიერად ნაკერი თეთრი ლენტი.

— მე ეს სულ უკანასკნელად შევუძერე იმას საჩუქრად! უთხრა მანდანამ.

— ეს ნიშანი მე გაუმარტს გამოვაროთეი. წინადვე გიცოდი, რომ შენ მე არ დამიჯერებდი.

— დრეოთ, დრეოთ მითხარი, რასა თხოულობს ჩემგან ჩემი უფაფეილობის ამხანაგი. შეხედე, დასაგლეთისკენ ცა გადაეფარა წითლდება. ელვობა ლამდება და მე ჩემი ქალ-ბატონი მეჯლიშისათვის უნდა მოვრთო.

— ვეცდები დრო ალარ დავკარგო, უთხრა საჭურისთა-უხუცესმა და უეცრად ისეთი სახე დაიჭირა, რომ მანდანას შეეშინდა. მე მინდა შენა და გაუმარტი ერთად შეგყარო იმისთვის, რომ ბოლო მოუღო ოროპასტის ამპარტავნებას, რომელიც ცდილობს მეფეს შემაძულოს. უმაღლესი ქურუმის ჯაბრით შენ გაუმარტის ცოლად გაგსდი და ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ მე ბოგესს მეძახიან. ხვალ საღამოზედ, როდესაც ვარსკვლავი ტისტრი ამოვა, შენთან შენი საყვარელი მოვა. მაგრამ გახსოვდეს კი, რომ ერთი საათის მეტს არ დარჩება შენთან. შენი ქალ-ბატონი—როგორც ნადვილად ვიცი—კამბიზის საყვარელი ცოლი გახდება. ბოლოს ისიც დაგეხმარება გაუმარტის შერთვაში, რადგანაც ძალიან უყვარხარ შენის ერთგულებისათვის. ხვალ საღამოზედ, როდესაც ვარსკვლავი ტის-

ტრი ამოვა,—განაგრძო მან, შენი ბედნიერების მზეც ამობრწყინდება. შენ თავსა ლუნავ და ჩუმადა ხარ? პატიოსან-ცემა გიკრავს პატარა პირს? გთხოვ, ჩემო მტრედო, აგრე ჩუმი ნუ იქნები მაშინ, როდესაც შემთხვევამ ნება მოგცეს შენს ქალბატონს საწყალი ბოგესი შეაბრალო. მოვიითხო შენს მაგივრად გაუმტი? შეიძლება ვუთხრა, რომ შენ იგი არ დაგიწყებია და სიხარულით მოელი იმის ნახვას? ყოყმობ? დახე უბედურებას, ბნელდება კიდეც! მე უნდა წავიდე და დავათვალიერო, ხომ ყველა ქალები ასე არიან ჩაცმულები, როგორც ამალამ-დელს მეჯლიშს შეშვენის. ერთსაც გეტყვი: ზეგ გაუმტი ბა-ბილონსა სტოვებს; ორბასტს ეშინიან არა გნახოს და უბრ-ძანა რაგეშივე წასულიყო, როგორც კი დღესასწაული გათავ-დება. შენ მაინც ჩუმადა ხარ? კარგი; მაშ მე არც შენი და საბრალო გაუმტის შვილა არ შეიძლიან. მე ეთქვენოდაც ია-ვლწევ ჩემს გულის წადილს და ბოლოს მაინცა და მაინც ეფ-რო უმჯობესი იქნება თქვენ ერთმანეთი დაიგიწყოთ. მშვიდო-ბით!

მანდანა ებრძოდა თავის გულს. წინა გრძნობა ეუბნებო-და, რომ ბოგესს მისი ბოტეუება უნდოდა; ბოლოს იდუმალი ხმა ეუბნებოდა, რომ თავის საყვარლის ნახვაზედ უარი ეთქვა; ის იყო უნდა ეთქვა: «ეთხარით, რომ მე მას არ ვინა-ხვინებო», მაგრამ ამ დროს მან დაინახა ლენტი, რომელიც ერთხელ თავის ლამაზი საყვარლისთვის მოეჭარგა. მხიარული ყმაწვილობის დროი და მცირე ხნის აღტაცებული საყვარული მოაგონდნენ მას; საყვარულმა მოუფიქრებლობამ, საყვარელი კაცის ნახვის სურვილმა დასძლიეს მისი კეთილ-გონიერება, წი-ნად გრძნობა, სიფრთხილე და, სანამ ბოგესი ლაპარაკს გა-თავებდა, იგი შეკარდა სახლში და უნებურად წარმოსთქვა:

— მე მას მოგვლოდები!

ბოგესი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა დაკიდული ბაღების ყვავებულს ხეებებში. მაღალი შენობის ნაპირს იგი შესდგა და საფრთხილით გაიღო საიდუმლო კარები. ეს კარები იყო ერთი მიყრუებულის კიბისა, რომელიც წყლიდამ ამოდიოდა და ეტყობა ამისთვის იყო გაკეთებული, რომ წყლის ნაპირებიდამ თავის ცოლის სადგომში პირდაპირ ასულიყო. როდესაც ბოგესმა კარები გვალად მიხურა, ბეჭდებით საკეთ თითები ჩვეულებრივ მოიფშვნიტა და თავის თავად დუდუნებდა.

— ეს ჩემი განზრახვა უსათუოდ ასრულდება. მანდანა მახეში გაება, მისი საყვარელი დამიჯერებს, ამ კიბიდამ შეიძლება ასვლა, ნიტეტისა მდუღარე ცრემლებს ღვრიდა ყველასთვის სამხიარულო დღეკანდელს დღეს, ცის-თვერი ია ხვალ დამ გაიშლება... დიაღ, დიაღ, განზრახვა შემისრულდება! მშვენიერი ეგვიპტელი ქალი, ხვალ გაებმი მანქანების ბადეში, რომელსაც ესვრის შენ საბრალო საზიზღარი საჭურისთ-უხუცესი და რომელსაც შენზედ არავითარი უფლება არ აქვს.

ამ სიტყვებზედ ბოგესს თვალებმა ბოროტებით გაუელვეს.

დიდს კიბეზედ იგი შეხვდა საჭურისს ნერიგლისას, რომელიც დაკიდებული ბაღების მებაღედ იყო.

— რას შვრება ცის-თვერი ია! ჰკითხა მას ბოგესმა.

— იგი დიდებულად იშლება! უთხრა მებაღემ აღტაცებით. როგორც კი ხვალ ვარსკვლავი ტისტრი ამოვა ეს ყვავილი მშვენივრად გაიფურჩქნება. ეგვიპტეს ქალს ძალიან გაეხარდება, როდესაც მას ნახავს. გთხოვ მეფე და ახმენიდებიც მოიყვანო ამ ყვავილის სანახავად.

— შენი თხოვნა ასრულდება, უთხრა ღიმილით ბოგესმა.

მეფეს კი ტყუილად ნუ მოკლი, რადგანაც იგი სინამ არ დაკრწყილდება არ ამოვა; ანკემნიდები კი ზოგნი მოკვდენ. იქნება კრეზიც როგორმე მოკიფვანო.

— კრეზი ძალიან მადლობელი იქნება შენი, როდესაც ნახავს ყვავილს, რომელისთანაც არ მოიპოვება მეფის ბაღებში. რადესაც იგი გაშლილა, უკეთესი სანახავი არა იქნებაო, ბერმი ყვავილი...

მებაღეს კიდევ უნდოდა თავის ყვავილის შექება, მაგრამ ბოგესი გამოეთხოვა, ჩავიდა კიბეზედ, ჩაჯდა ეტლში და მეფის ნვრეთისაკენ სახეკრთოდ წავიდა.

ამ დღეს რალაც ალიაქოთი იყო კამბიზის ნვრეში. ბოგესმა უბრძანა, რომ ყველა სასახლის ქალები მეჯლისში წასულიყვნენ ბანოში წაეყვანათ; ამისათვის ბოგესი მაშინვე წავიდა იმ სახლში, სადაც ბანოები იყო გამართული.

შორიდამვე მოესმა მას ქალების კასკასი და ლაპარაკი. ბანოს დიდს ზალაში სამასზედ მეტი ქალი იყო. კაცს გვონებდა საზმარში ვხედავ ამდენს ტიტველა ქალებისაო. აქა-იქა ჯგუფ-ჯგუფად იწვნენ დიდ-მშვენიერი ქალები. ერთმა ტურფამ, რომელსაც თავის მეზობელმა ჩუსტი ესროდა, საშინლად შეჯყვირა; მეორე ისე ჩაფიქრებული იწვა, თითქოს მკვდარი ეგესო. სომხის ერქვი ქალი საარშიყო ლექსს მდეროდენ თავის დედა-კაცზედ, სპარსელი ქალები კი საბრალო ნიტეტის ჭეცსავდენ და ათას ნაირს ჭორებს უგონებდენ. მოახლე გოგოებს კიდევ ზეწრები დაეჭიმათ და ბანოდამ გამოსულს ქალებს ხურავდენ.

ნახევარ საათის შემდეგ მეფის ცოლები სულ სხვა ნაირს სურათს წარმოადგენდენ. დანამული ვარდების მსგავსად დაშშვიდებულნი იწვნენ, მაგრამ ძალით კი არ ეძინათ. ყველას

თითო მოახლე გვერდით ედგა და ტანს უმშრალებდა. მშვენიერი განსაკუთრებული ტანი აბრეშუმის ზეწრებით ჭქონდათ დაფარებული, საჭურისები კიდევ ყურს უგდებდენ, რომ რომელსაც ცოდეს ანისებსს დანარჩენი ქალების მეუდრეობა ან დაერღვიათ. მაგრამ მეუდრეობა დიდ სანს ან გაგრძელებულა: მოასმა რიდესაც რეკვა და ყველა ქალები ზეზედ წამოდგნენ, მოახლეებიც ყველა შეცვივდენ დარბაზში და თავ-თავიანთ ქალბატონს ათას-ნაირს სურნელებას ასხამდენ თავზედ და უწანავდენ თმებს, რომელშიაც ძვირფასს თვლებს ატანდენ. ყველა ქალები ისე მდიდრულად მოირთვნენ, რომ ცოგიერთ ქალის მორთულობა მთელს საბჭოს საბჭოს იყიდდა; ამ დროს ბოგესიც შემოვიდა. ყველანი მას შემოესვივნენ გარშემო და ეკითხებოდენ, რა უნდოდა მას ეთხოვნა მეფისათვის. ბოლოს ყველა ქალები ორ რიგად დადგნენ და ბოგესმა იგინი დათვალიერა; ზოგის მორთულობა მოასონა, ზოგსაც შენიშნა რა გაესწორებინა.

როდესაც ყველანი დათვალიერა, ბოგესი წავიდა თეიმდასთან, რომელიც, როგორც კამბიზის კანონიერი ცოლი, ცალკე ოთახში იყო. დიდი სანია იგი საჭურისთ-უხუცესს მოელოდა. იგი მეტის-მეტად მდიდრულად იყო ჩაცმული და მრავალნი სამკაულნი საშინლად ამძიმებდენ. როდესაც ბოგესი შევიდა, იგი წინ მიეგება მას, ჯერ სარგეში ჩაიხედა, მერე მას შეხედა და მღელვარე გულით ჰკითხა:

— მოგწონვარ? მასაც მოგეწონები?

ბოგესმა ჩვეულებრივ გაუღიმა და მიუგო:

— შენ მე ყოველთვის მომწონხარ, ჩემო ოქროს თვრმავანგო, მეფესაც ესათუოდ მოეწონები, თუ რომ იგი ისე დაგინახავს, როგორც ეხლა მე გხედავ. როდესაც შენ მითხარ

«მასაც მოგვწონებია», მაშინ მართლაც რომ მოსაწონი იყო: გულის თქმამ თვალები ისე აგიმღვრია, რომ შავს კუნაპეტს დაემსგავსენ, მძულვარებამ კიდევ შენი ბაგენი განაპო და დაგინახე თოგლოგით თეთრი კბილები.

— დროით წავიდეთ მეჯლისში, რადგანაც მე შენ გარწმუნებ, ბოგეს, რომ თვალნი ჩემი უფრო გაშავებიან და კბილნიც სითეთრით ანბრწყინვებენ, როდესაც დაგინახავ ეგვიპტელს ქალს იმ ადგილზედ, რომელიც მე უნდა მეგუთვნოდეს!

— დიდ ხანს არ დარჩება იგი იმ ადგილზედ!

— მაშ შენი განზრახვა ასრულდება? მითხარ, ბოგეს, ნუ-ლარ მიმალავ შენს აზრებს! მე მკვდარსავით გავჩუმდები და დაგეხმარები...

— მე თქმა არ შემიძლიან და არც უნდა ითქვას, მაგრამ შენი გულის დასამშვიდებლად გეუბნები, რომ ყოველისფერი კარგად მიდის და საქმეც გათხრილია, რომელშიაც ეგვიპტელი ქალი უნდა ჩავაგდოთ და მე იმედი მაქვს, რომ ჩემს ოქრის თემიდას თავის ალაგს დავუბრუნებ, ანუ უფრო ადგამილებ, თუ რომ იგი ყველაფერში დამეკვება.

— მითხარ რა გქნა? ყოველისფერისთვის მზად ვარ.

— მაგას კარგად ამბობ, ჩემო მამაცო ლომო! მე გამიგონე და ყოველისფერი გარიგდება... თუ რომ მე შენ საძებარ რამეს მოგთხოვ, მით უფრო საჩუქარი დიდი გექნება. წინა-ალმდეგობას ნუ გამიწევ, რადგანაც ერთი წამის დაკარგვაც შეუძლებელია! ამ წამშივე მოიხსენ ყოველივე საკაუალი და მხოლოდ ის ძეწკვი გაიკეთე, რომელიც საქორწილოდ მეფემ გაჩუქა. ამ მხიარული ტანისამოსის მაგიერად ს

— არ შეძლიან!

— ნუ მეწინააღმდეგები! დროით შეასრულე ყოველისფერი, რაც გითხარ. ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, თუ შენც გამიგონებ. შენს ბრძოლის ველთან თვით თოვლიც შავად გამოჩნდება!

— მაგრამ...

— როდესაც შენი რიგი მოვა სიხოტეზე რამე მეფეს, უთხარ რომ შენი გული ალარას ნდომობს მას აქეთ, რაც შენმა მზემ თავისი სხივები მოგვაკლო.

— კარგი.

— როდესაც მამა შენმა გკითხოს, როგორა ხარო, მაშინვე ტირილი დაიწყე.

— ვიტირებ.

— ისე კი უნდა იტირო, რომ ყველა ახვმენიდებმა დაგინახონ.

— რა ნაირი დამცირებაა!

— დამცირება კი არა, საშუალებაა შენის ამაღლებისა!

— შენ საშინელს რამეებს თხოულობ ჩემგან, ბოგის; მაგრამ მე შენ ყველაფერს დაგიჯერებ, თუ შენს აზრს გამაგებინებ...

— მოახლე! დროით მოუტანე შენს ქალ-ბატონს უბრალო ტანისამოსი!

— მოახლე გოგოს ვეგვანები.

— სიტურფე ძონძებშიაც არ დაიმალება.

— მაშ როგორ გავაფასო ეგვიპტელი ქალი!

— ყველამ უნდა დაინახოს, რომ შენ მასთან შედარება არ გინდა. მაშინ ყველანი ასე იტყვიან: «თუმიდაც ხომ ასე ლამაზი იქნებოდა ეგვიპტელი ქალისაგით რომ ეცვასო?»

— მაგრამ მე არ შემიძლიან მას თავი დავუგრა!

— აუცილებლად უნდა დაუგრა!

— შენ ჩემი დამცინებელ და დალუპვა გინდა!

— უგუნურო არსებავ! გაიგე მიზეზები და ისე დამემორჩილე. ჩვენ ამას უნდა ვეცადოთ, რომ ახალგაზრდები ეგვიპტელი ქალის წინააღმდეგნი გავხადოთ, რა ნაირად გაბრაზდება პაპა შენი ინტერესი, რა ნაირად გაცოფდებიან მამა შენი ოთხნესი, როდესაც შენ ეგვიპტელი ქალის წინაშე დამცირებულს გნახავენ! სიამპარტავნე მათ მოგვაშორებდა; თუ რომ ოგინი თვითონ არ იკადრებენ ეგვიპტელი ქალის წინააღმდეგობას, გაჭირებაში მაინც დაგვეხმარებიან. როდესაც ეგვიპტელს ქალს დალუპავთ, მეფე მაშინვე მოიგონებს შენს მშვიდობას, წყენარსა და უანგარო ქცევას. ახალგაზრდები და მოგვები სთხოვენ მეფეს, რომ დედოფლად თავის გვარეულობის ქალი გახადოს; და რომელს ქალს ერგება სპარსეთში დედოფლობა, თუ არ ჩემს სამოთხის ჩიტს, ჩემს მშვენიერს გარდს თეიდას. ცხენიდან ჩამოგარდნისა არ უნდა გეშინოდეს, თუ ცხენოსნობა გინდა ისწავლო.

— მე შენ ყველაფერში მოგეგები! უთხრა ახალგაზრდების ქალმა.

— და კიდეც ჩვენ გავიმარჯვებთ! მიუგო ბოგესმა.—ეხლა შენი თვალები კვლავ შავად ანათებენ. ეგრეთი მიუკარსარ, ჩემო დედოფალო, ეგრეთიგე უნდა გნახოს კაბაზმა, როდესაც ოთხ-ფეხნი და ფრინველნი გაძღებიან ეგვიპტელის ქალის ნაზის ხოტბით და როდესაც რამდენიმე თვის შემდეგ პირველად გავუღებ მეფეს შენი ოთახის კარებს. არმოგეს, უბძანე ქალებს ეტლში ჩასხდენ; მე წინ წავალ და ყველას თავ-თავის ადგილს ვუჩვენებ.

სამეჯლისო დარბაზი ბრწყინვალედ იყო გაჩაღებული სანთლებით, რომლთა ალიც ოქროთი გადაკრულს კედლებს აბჟუკრიალებდა. მეტის-მეტად გრძელი სტოლი იდგა შუა ჩადაში და ზედ ისეთი მდიდრული ჭურჭელი ელაგა, რომ საკვლად გაძღომებლად.

— მეფე მალე მობრძანდება! უთხრა სუფრის უფროსმა მეღვინეს, რომელიც მეფის ნათესავი იყო.— ყველა თასები ხომ დვინით ავსე?

— დიახ, მიუგო მეღვინემ. ხიოსური დვინო ყველა სხვა დვინოებს სჯობიან. აბა ნახე!

ამ სიტყვების შემდეგ, მან ერთი სელით ოქროს თასი აიღო, მეორეთი ამოსთანავე საღვინე და დაასხა დვინო, რომელიც სუფრის გამშველს შესთავაზა, ამანაც დვინის გემო ნახა და უთხრა მეღვინეს:

— ეს დვინო უფრო მაშინ გემრიელდება, როდესაც შენ ეგრე მოხდენილად სთავაზობ ხოლმე.

— გმადლობთ, უთხრა მეღვინემ და თავის მეგობარს შუბლზედ აკოცა; მე ჩემის თანამდებობით კამპარტავნობ. მაგრამ ამ სიცხიანს ბაბილონში კი მაძწყინდა, ნეტა როდის წავალთ ექბატანის ანუ პასარგადეს საზაფხულო სასახლეებში?

— მე დღეს მაგაზედ მეფეს მოველაპარაკე. მასაგეთებთან ომის გამო არსად უნდოდა წასვლა, პირდაპირ ბაბილონიდამ სურდა ბრძოლის ველზედ წასვლა, მაგრამ თუ დღეს მოსული მასაგეთელი ელჩები ომს თავიდამ აიცილებ, მაშინ, ქორწილის შემდეგ, ოთხი დღე რომ გავა, სუზაში წავალთ.

— სუზაში? ჰკითხა მეღვინემ. მერე იქ ხომ ამაზედ ბევრით ნაკლებად ალარა ცხელა, ამასთანავე იქაურს სასახლესაც განახლებას უპირობენ.

— სუეზის სტრაბმა აუწყა მეფეს, რომ ახალი სასახლე უკვე მზად არის და ყველა სხვა სასახლეებს სჯობიან. როგორც კი ეს გაიგო, კამბიზმა თქვა: „ამაშ ქორწილის შემდეგ სამდლის უკან იქ წავალთო. მე მინდა დავანახო ეგვიპტის მეფის ქალს, რომ ჩვენ, სპარსელები, ისეთივე მცოდნენი ვართ არქიტექტურისა, როგორც მისი წინა-პარნი. აგი, რაგორც ნილოსის ნაპირის მცხოვრები, ჩვეულია სიცხეებს და ამისათვის მხარეულად განსტარებს დროს მშვენიერს სუეზში». ეტყობა მეფეს ეგვიპტელი ტურფა ძალიან შეუყვარდა.

— დიახ. მან მისი გულისათვის ყველა სხვა ცოლები დასტოვა და ძალე დედოფალადაც გახდის.

— ეგ უსამართლობა იქნებოდა. თვალიმს, როგორც ახალგაზრდების ჩაძოძალვას, უფრო აქვს უფლება დედოფლობისა.

— ეგ მართალია, მაგრამ როგორც მეფეს ჭსურს, ისე უნდა მოხდეს.

— მეფის ნება დვთის ნებაა.

— აი ეგ კარგად თქვი. ყველა ჩვენგანს, ვინც კი ნამდვილი სპარსელია, უნდა უხარიოდეს, რიდესაც მეფეს სულებზედ ჭოცნის, თუ გინდ რომ ის სულები ჩვენი შვილების სიასლითა იყვეს შესვრილი.

— კამბიზმა უბრძანა ჩემი ძმის მოკვლა, მაგრამ მე მაინც უკმაყოფილოდ არა ვარ. თქვენ კი, მოსამსახურენო, გადასწყვეთ ყარდებს. სტუმრები მოდიან. მიიძარ-მოიძარით, თქვენ ალდუებო და ყველაზედ თვალი გეჭიროთ. კარგად იყავ არტაბაზოს; ჩვენ ამალამ დიდი შრომა მოგვალის!

VI

სუეტონის უეტონი სტუმრებს წინ მიეგება და ყველას თავ-თავის ადგილი უჩვენა. როდესაც ყველანი დასხდენ, საყვირის ხმამ აუწყა მეფის მოახლოებაზე. როგორც კი შემოგიდა, სტუმრები ფეხზედ წამოდგნენ და მიესალმნენ მეფეს ხმა-მაღლა ძახილით: «გაამრავლებს მეფეს!»

უძვირფასესი ხალი, რომელზედაც შეეძლოთ გაეკლა მხოლოდ მეფეს და კასანდასს, მეფის დასაჯდომად ადგილისკენ იყო გაფენილი. მეფეზედ წინ კრეზმა უსინათლო დედოფალი შემოიყვანა და სტოლის თავზედ დასვა სელზედ, რომელიც კაბაზის ოქროს სელზედ მაღალი იყო. მეფის მარცხნივ მისი კანონიერი ცოლები დასხდენ; ნატალისი მეფის გვერდით იჯდა, გვერდით ალოსა უჯდა, ალოსს უბრალოდ ჩაცმული ფერ-მკრთალად უმარილო წასმული თევდის და ამ უკანასკნელის გვერდით საკურისთ-უხუცესი ბოგესი; ბოგესის გვერდით უმალესი ქურუმი ოროპასტი იჯდა, შემდეგ დანარჩენი მაგები, რამდენიმე მაზრის საერისპები, რომელთა ძორის ებრაელი ყველანი იყო, და მრავალნი სპარსელნი, მიდიელნი და საკურისთ-უხუცესნი, რომელთაც სახელმწიფოში დიდი ადგილები ეჭირათ.

მეფის მარჯვნივ ბარტია იჯდა. შემდეგ ასხდენ: კრეზი, ჰასტასპი, გობრიასი, არასპი და სხვა ახემენიდები. ხასები ან სტოლის ბოლოს ასხდენ, ან არა და ზეზედ ადგნენ და მლერდენ სტუმართა გასამხიარულებლად. მათ უკან უდგნენ მრავალნი საკურისთ-უხუცესნი, რომელთაც თავდ-ყური უნდა დაეჭირათ, რომ კაცებისათვის არ შეეხედნათ.

კაბიზმა პირველად ნიტეტისს შესვლა, რომელიც გვერდით უჯდა დედოფლურის ბრწყინვალებით, ფერ-მკრთალი მაგრამ გაძლოუთქმელის სიტურფის მექონი. მეფისა და ნიტეტისის თვალები კრთმსნეთს შესვლეს. კაბიზმა შენიშნა, რომ მის სალოდოს თვალებში სიყვარულის ნაბეწვლამ გაიელვა. მაგრამ მახვდა კი, რომ თავის სყვარელი ადგილი თითქოს ულაპოვნოდ იყო. «მე შემდეგ ვკითხავ, რა ძალადობა მას, ფიქრობდა მეფე; ჩემთა ქვეშევრდომთა არ უნდა შეიტყონ, თუ რა ძვირფასია ჩემთვის ეს ქალი.»

შემდეგ მან აბზორეს უყო თავის დედას, ძმებს, დებს და ახლო ნათესავთ; მოგვე ლოცვა წარმოსთქვა, რომელითაც მადლობას სწირავდა ღმერთებს მათის მოწყალებისათვის და სთხოვდა მოვლინა ბედნიერი წელიწადი, რაგორც მასთვის ისე ყველა სპარსელებისათვის; გამოაცხადა რაოდენობა ფულისა, რომელსაც აქ დღეს საჩუქრად აძლევდა თავის ქვეშევრდომთ და ბრძანა მოეყვანათ ოგინი, რომელნიც აქ დღეს რაქმე მცირე სურვილის აღსრულებას მოელოდენ.

არც ერთი მთხოვნელი დაუკმაყოფილებელი არ წამოსულა; ყველა მთხოვნელმა წინადღითვე გამოუცხადა კვერთხის მტარებელთ უფროსთ თავის შეკრებვა და გაიგო შეიძლებოდა მეფის წინაშე მისი წარდგენა თუ არა. ქალების სათხოვარიც წინ და წინ საჭურისთ-უხუცესთაგან ისინჯებოდა და მერე მეფეს ხსენდებოდა.

კაცების შემდეგ ბოგესმა წარადგინა მეფის წინაშე ქალები (მხოლოდ ერთი კასანდანა ისევ თავის ადგილას იჯდა). ქალებს წინ ატოსა და ნიტეტისი მიუძღოდენ.

რაგორც ბოგესმა იწინასწარმეტყველა, ინტაფერნი და ოთანესი დაღვრემილის სახით უცქერდენ თავიანთ ქალს თე-

დიმას, რომელსაც ყველაზედ უბრალოდ ეცვა და ფერ-მკრთალიც იყო.

კამბიზს ძალიან გაუკვირდა თემიდას სადა ჩაცმულობა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ უწინ ძალიან ძვირფასად ჩაცმა უყვარდა, ამისათვის უკმაყოფილოდ და გაკვირვებით დაუწყო ცქერა ახალგაზრდა ქალს. კამბიზმა შუბლი შეიკრა და გაკვირებით ჩაეთხა თავის ფერხთა წინაშე დაცემულს ქალს:

— რას ნიშნავს ეგეთი ლარიბული ჩაცმულობა ამისთანა დიდებულს მეჯლისში? განა შენ არ იცი ჩვენი ხალხის ჩვეულება, რომ თავის ბატონთან ყველა კარგად მოწთული უნდა მივიდეს? ბეფიცები, რომ თუ დღევანდელი დღე განსაკუთრებული დღე არ იყოს და თუ პატივს არა გცემდე. როგორც ჩემი ძვირფასი ნათესავების ქალს, უსათუოდ გუბრძანებდი საკუთრისთ ულუფას ოკანვა ჭარეში წაყვანეთ, რომ იქ მარტოობაში გეფიქრა მაზედ, თუ რასა იხოულობს ზრდილობა.

ამ სიტყვების შემდეგ თემიდას უფრო გაუანდვილდა თავის დარდების წარმოთქმა. მან მწარედ მტირალმა შეხედა განრისხებულს მეფეს და გაანყრა მისდამი ხელები ისეთის ვედრებით, რომ მისი მრისხანება სიბრალულად შეიცვალა. მეფემ თემიდა ზეზედ წამოაყენა და ჩეითხა:

— გაქვს რაიმე სათხოვარი?

— რალა შემიძლიან გთხოვოთ მას ვქნა, რაც ჩემმა მზემ თავის ხელები მოამარადა? მიუგო ქვითინით თემიდამ.

კამბიზმა მხრები აიწია და კვალად ჩეითხა:

— განა შენ არა გინდა-რა? წინად შენს ცრემლებს საჩუქრებით გაკვაშრობდი ხოლმე; ახლაც ითხოვე ჩემგან ნუგეშის ცემა, რომელიც ძვირფასს საუნჯეთა ჩუქებაში მდგომარეობს.

— თემიდას ალარა უნდა რა! და ან რიგისთვის უნდა სამკაულები მას აქვთ, რაც მისი მეფე და მეუღლე არიდებს მას თავის თვალთა სხივებს?

— რასაკვირველია, მე შენი შეკვლა არ შემიძლიან! უთხრა კამბიზმა თემიდას მრისხანედ.

ბოგესის რჩევამ გასწრა იმის შესახებ, რომ თემიდას უმარილი ბოლამდე წასვლა, რადგანაც უმარილის ქვეშ მისი ლოგიკა სირცხვილისა და სიბრაზისაგან ლაპლაპებდენ. ამასთანავე თვალთაგან მდუღარე ცრემლებს ადენდა ასკენიდების შესახებ. ოთანესი და ინტაფერნი ძლივს იწყრიდენ სიბრაზეს, რადგანაც თავიანთი ქალის თემიდას დაცინებას ხედავდენ და კეგეპტელი ქალისას გი—პატივის-ცემის და განდიდებას.

მეჯლისი დაიწყო. მეფის წინაშე იდგა ოქრის კვლათი, რომელშიაც სხვათა ხილეულთა შორის ბავშვის თავის ოდენა ბრილიანტი იდო.

კამბიზმა მხიარულად ესლა დაათვალიერა ეს ბრილიანტი და იკითხა:

— ვინ გაზარდა ასეთი საოცარი ბრილიანტი?

— შენმა მონამ ოროპასტმა. მიუგო მაგების უფროსმა; რამდენიმე წელიწადია რაც მებალობას ძიგდებ და გაკვალნიერდი მრავალთაგან თქვენთვის ეს ნაყოფი, რომელიც ნაყოფი ჩემის შრომისა და მცოდნეობისა.

— გმადლობთ, მიუგო მეფემ:—ამისათვის, ჩემო მეგობარნო, რომ ეს ბრილიანტი გამიადვილებს ჩემის მოადგილის ამორჩევას, თუ რომ ომში წასვლა მიმიხდება. გეფიცებით მიჩტას, რომ ის, ვინც ასე კარგად უვლის პატარა ხეს, დიდს საქმეებს უფრო კარგად მოუვლის. რა ბრილიანტია! ვის უნახავს ამის მსგავსი? კვლავ გმადლობ, ოროპასტ, და, რადგანაც მე-

ფის მადლობა ცარიელის სიტყვით არ იქნება, ამისათვის მე ეხლავე გნიშნავ ჩემს მოადგილედ მთელს სამეფოში, თუ რომ ომიანობა დაიწყობა. დაიღ, ჩემო მეგობარნო, მშვიდობიანობით დიდ ხანს ალარ დაკეკებებით. სპარსელი მხიარული ალარ არის, თუ რომ ომიანობას მოელებულია!

ყველა ახმეინიდებ შორის მადლობის ხმა გაისმა: «გაუმარჯოს მეფეს!» ყველად გაისმა ყოველის კეთილდამ.

თედიმს გამო უკმაყოფილებას ყველამ დაიწყეს; ომიანობაზედ კ გამარჯვების დიდებაზედ ფიქრობდენ ყველანი კ ალტაცებაში მოდიოდენ. მეფეს ასაძოვნებდა მათი გმირული ალტაცება კ განსაკუთრებით უეცრო ეგვიპტელი ქალის სიტურფე. ნიტეტისი მეფის გვერდით იჯდა კ ისეთი ბედნიერება არას დროს ან უგრძნია, როგორიც დღეს იგრძნო! ან კი რა აკლდა მას? კამბაზი მას ბედნიერებას კ საყვარელს ანიჭებდა. ბოლოსმეფემ ბარტიას უთხრა:

— ახა, ძმაო, შენ მგონია ჩემი ალთქმა კიდეც დაგავიწყდა. განა არ იცი, რომ დღეს ყოველივე სურვილი შეგასრულდება, რასაც კი ისურვებ. აბა ითხოვე, რაც გინდა. უბრალო რამ კი არ ითხოვო. დღეს მე მზადა ვარ ყოველივე სურვილი ალგასრულო! როგორც გატყობ შენი სურვილი ჩუმად გინდა მითხრა, მაშ მოიახლოვადი! მე ძალიან მინდა გავიგო, რა ჯურის ჩემს სახელმწიფოში ყველაზედ ბედნიერს ყმაწვილს კაცს, რომელიც ყურებამდის წითლდება, როდესაც მის სურვილზედ ჩამოვრდება ლაპარაკი.

ბარტია, რომელსაც მართლა რომ სიწითლით ლოყები ულვარებდა, მიეიდა ახლო თავის ძმასთან და ყურში უჩურჩულა თავის საყვარულის ამბავი.

საფოს მამა მონაწილეობას იღებდა თავის საძმობლო ქალაქის ფოკეის დაცვაში, როდესაც კარს მისი ალება უნდო-

და. ბარტიამ უთხრა მეფეს, რომ ჩემი საყვარელი ქალი ელინელი მხედრის ქალია და ის კი ალარ უთხრა, რომ მან დიდი საუნჯე ვაჭრობით შეიძინა. მან აუწერა თავის ძმას თავის დანიშნულის სიტურფე, მაღალი განათლება და საყვარული და ის იყო კრეზისთვის დახმარება უნდა ეთხოვნა, რომ კამბიზმა სიტყვა გაწყვეტინა, შუბლში აკოცა და უთხრა:

— მაგდენს სიტყვებს ტყუილად ნუ ხარჯავ, ჩემო ძმაო, და, რასაც გული გეუბნება, ის შეასრულე, მე კარგად ვიცი ძალა საყვარულისა და ვიცდები დედა-ჩვენიც დავითანხმო.

— ბარტია მეტის-მეტის სიხარულისაგან თავის ძმის წინაშე დაემხო; მაგრამ მან ალერსიანად წამოაყენა იგი, მერე მიუბრუნდა ნიტეტისს და კასანდანს და უთხრა:

— ყურადღება მიაქციეთ, ჩემო საყვარელნო! ახალი შტო გამოდის ვინის გვარეულობის ხეზედ, რადგანაც ბარტიას ცოდ შეიდობის მოკიდება განუზრახავს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბარტია გაემგზავრება შენს სამშობლოში, ნიტეტის, და ნადოსის ნაბრძანებიდამ მოიტანს ჩვენს მთავარს ქეუანაში ძვირფასს თავლს.

— რა დაგემართა, დაო! შეეკითხა ალტოსამ, სანამ კამბიზი ლაპარაკს დაათავებდა და ეგვიპტელს ქალს ლეინოს უსაკმდა შუბლზედ, რადგანაც იგი გრძნობა-მიხდილი გადასულიყო მას.

— ეგ რა დაგემართა? ჰკითხა უსინათლო კასანდანამ, რადესაც მეფის დანიშნული გონზედ მოვიდა.

— ტასოტს გაეხარდება, ბედნიერება მიენიჭება, მიუგო ჩუმის ხმით ნიტეტისმა.

კამბიზიც თავის დასავით მივარდა გონება მიხდილს ქალს. რადესაც იგი სრულიად გონზედ მოვიდა, სთხოვა ცოტა

ლვინო დაეღლია და თვითონ მიუტანა აზარფეშა, შემდეგ კვლავ განაგრძო:

— ბარტია წავა შენს საშობლოში და ნაუკრატისადმი მოიყვანს ოდესაბისის ქალს, რომელიც კეთილშობილი მეომრის შვილია და თეკეის მცხოვრები.

— ეგ რა იყო! უთხრა უსიამოვნოდ დედაფალმა.

— რა დაგემართა? ჩვითხა ცოლქმა ატოსამ შეშინებულის ხმით.

— ნიტოკის! დაუძახა გრეზმა თავის საყვარელს ქალს. გრეზისგან გათხოვილება გვიანდა, რადგანც ნიტოკისს გრეზისგან მიცემული აზარფეშა ხელიდან გაგვარდა და ატასკზედ გაგორდა.

ყველამ მეფეს დაუწყო ცქერა, რომელიც საშინლად გაყვითლებული და აღელვებული კვლავ წამოდგა ზეზედ.

ნიტოკისი თავის საყვარელს კაცს დაუშტერდა და თითქოს შებრალებას ეჩვენებოდა; მაგრამ კამბიზი, ეშინოდა რა მისი მოამხიბლავის თვალებისა, განშორდა და ხრინწიანის ხმით წარმოსთქვა:

— ქალები თავიანთ ოთახებში წაიყვანე, ბოგეს! მე მათი ნახვა აღარ შეძიძლიან... მიეყოთ სმას ხელი... ღამე მშვიდობისა, დედა ჩემო. შენც ღამე მშვიდობისა, ეგვიპტელო ქალო; სთხოვე ღმერთებს, რომ თვალთმაქცობა უფრო კარგად გასწავლონ. ჩვენ კი, მეგობარნო, ხვალ სანადირობოდ წავიდეთ! მერიქიფეებ, ღვინო დამასხი! დიდი თეალა ამიკეთ! მაგრამ ჯერ შენ თვითონ კარგად გასინჯე ჭაშნიკი, რადგანაც დღეს მოწამლისა მეშინიან, ყველა ნაირი შხამი და წამალი, ხა, ხა, ხა! ხომ ეგვიპტიდამ მოდის, ეს ყველა ბავშვმაც კი იცის.

ნიტეტისი ბარბარეთ გაკვიდა ზანდიდან და მუხლთ ეკვეთებოდა, ბოგესი აცილებდა მას.

როდესაც დაკიდებულ ბალებამდის მივიდა, ბოგესმა ნიტეტისი ჩაბარა საკურთხეთ უხუცესთ, რომელთაც მისი სახლისთვის უნდა ეყარაულნათ. განშორების დროს თავი დაუკრა და უთხრა:

— გისურვებ, ჩემო ნიდოსის მტრედო, რომ საზმარში ნახო მშვენიერი ბარტია და მისი ეგვიპტელი საყვარელი. ხომ არაფერს მიბრძანებთ გადავცე მშვენიერს ახალგაზდას, რომლის საყვარულმაც აგრე ძალიან შეგაშინა? კარგად თქვიქრე; საწყალი ბოგესი სიამოვნებით გახდება შენი შუამავალი, მას შენთვის ეთიოპი უნდა; მშვიდს ბოგესს ძალიან ეწყინება, როდესაც საისის ამბარტავანს ბზას წაქცეულს ნახავს; ბოგესი წინადვე გაუწყებს ეგვიპტეში მალე დაბრუნებას, ან ბაბილონში მშვიდობიანად ცხოვრებას; ეთიოპს ბოგესს ეულითა ესურს, რომ ტაბილად დაიძინოს. კარგად იყავ, ჩემო მოწყალეტილო ვარდო, ჩემო ჭრელო გველო, შენ თვითონ გაგვარდა ჩემი ხიდან მოწყვეტილი ვაშლი.

— ესვინიდისო! უთხრა მეფის მსახურს განრისხებულმა ქალმა.

— გმადლობთ, მიუგო ცბიერად მოძღვარმა ბოგესმა.

— მე შენს საცქცეელზედ ვიჩივლებ, დაემუქრა ნიტეტისი.

— რა ალერსიანი ხარ! უთხრა ბოგესმა.

— დაიკარგე აქედან! დაუძახა ეგვიპტელმა ქალმა.

— მე შენს მოძღვიბლავს ბძანებას ვემორჩილები, წაიბუტბუტა საკურთხეთ უხუცესმა, თითქოს ყურში სიყვარულის რაღაც საიდუმლოებას ეჩურჩულებოდა.

ნიტეტისი ზიზღით განშორდა ბოგესის დაცინვას, რომ-

ლის აზრისაც იგი კარგად მიხვდა და თავის სახლისაკენ წავიდა; მიმავალს ბოგესმა დაუძახა:

— გახსოვდეს, მშვენიერო დედოფალო, გახსოვდეს! ყოველივე რაც ამას იქით მოგახდება, შენგან მოძულებული ბოგესის ბრალი იქნება.

ბოგესიც კი ქალი თავის ოთახში შევიდა, საკუთარით უხუცესმა ხმის კილო გაძოიცვალა და ყარაულებს უბრძანა სასტიკად ეყარაულნათ დაკიდებული ბალებისათვის.

— ვინც კი თქვენგანი ჩემს კარდა სხვას ვისმეს შეუშვებს ეგვიპტელ ქალთან, — საკვლილით დაიკვლება! არავინ არ შეუშვათ, — გესმით, — არავინ არ შეუშვათ. განსაკუთრებით არ შეუშვათ მეფის დედის, ატოსას და სხვა დიდებულთა პირთა გამოგზავნილი კაცები. თუ რომ კრეზი, ან ოროპასტი ეგვიპტელ ქალთან დაპარავს მოისურვებენ, — თქვენ ამის ნება არ უნდა მისცეთ. გესმით? კიდევ გიმეორებთ, რომ საკვლილით დაიკვლებით, თუ რომ ვასგანმე მიღებული სიჩუქარი ჩემს ბრძანებას გადაგიყვანთ. ჩემს დაუკითხავად ამ ბალებში ამოსვლის ნება არავის არ შეუძლიან. იმედი მაქვს რომ ჩემს ბრძანებას არ გადასვალთ! რომ უფრო ერთგულად მემსახურონ, ეს ფული თქვენთვის მიჩუქებია.

ყარაულებმა კმაყოფილების ნიშნად თავი დაუკრეს და ალუთქვეს თავიანთ მოვალეობის სასტიკად აღსრულება. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბოგესს ხუმრობა არ უყვარდა და ბრძანების აუსრულებლობას არავის არ მიუტევებდა, ამის შემდეგ ბოგესი ისევ მეჯლისში წავიდა.

მეფის ცოლები წავიდ-წამოვიდნენ; მხოლოდ ხასები ისევ თავიანთ ადგილზედ იდგნენ და მღერიდენ, თუმცა მათის მღერას კაცები ეურადღებას აღარ აქცევდენ.

მოქალაქეთა ხალხმა დიდის ხნით დაიგიწყეს გრძნობა-მიბდალი ქალი. მათ თან და თან ღვინო ეკიდებოდათ და ყაყანს უმატებდენ. თითქოს ყველას დაგიწყებოდათ, რომ იგინი მეფის წინაშე ისხდენ.

სტოლის თავში მეფალიასავით გაყვითლებული მეფე იჯდა და ღვინით სავსე თასში ჩაიცქირებოდა. როგორც კი თავის ძმა დანახა, ხელები თავისთავად მოეკუმშენ. იგი ერიდებოდა მასთან დაპირისპირებას და მის ჩაგითხვაზედ პასუხს არ აძლევდა. მას ეჭვი თან და თან ეზრდოდა და სწყდა, რომ ეგვიპტელმა ქალმა მოატყუა და პირმოთნეობით უცხადებდა სიყვარულს, მაშინ როდესაც მისი გული ბირტვას ეკუთვნოდა! რა ნაირად ატყუებდენ, რა ღრმად ჭქონია თვისები გადგმული ლაღვატობას ცხოელი ეგვიპტელი ქალის გულში, რომ ერთის ძმის გაჩენამ, ვითომც მის ძმას სხვა ქალი უყვარდეს, სრულიად გრძნობა მოუსპო და ყოველივე საიდუმლოება გამოაშკარაგა.

როდესაც ნიტეტისი ზალიდამ გავიდა, თეძიდას ძმამ ოთხნეზმა სთქვა:

— ეგვიპტელი ქალები სჩანს დიდს მოწყალეობას დებულობენ თავიანთ მაზლების სიყვარულის საქმეში; სპარსელი ქალები ასე ადვილად არ თანტვენ თავის გრძნობას და მხოლოდ ქმრებისათვის ინახავენ!

გულზავამ კამბიზმა ყური მოარიდა ამ სიტყვებს, თითქოს ვერ გაიგონა და ცდილობდა თავის სტუმრების დაპირისპირებაც ალარ გაეგო, რადგანაც მათის დაპირისპირებით უფრო რწმუნდებოდა, რომ მოტყუებული იყო.

ბირტვა თანაზიარი არ იყო ნიტეტისის დანაშაულში; მხოლოდ მარტო ნიტეტის უყვარდა მშვენიერი ყმაწვილი კაცი და იქნება მით უფრო ძალიან უყვარდა, რომ იმის მხრით სა-

ყოვნოულის

ელი არა ჭქონდა. თუ რომ კამბიზს ნამდვილად შეეტანა ეჭვი თავის ძმაზედ, მაშინვე იქმე მოჭკლაკედა. ბარტია დანაშაული არ იყო იმის უბედურებაში, მაგრამ მიზეზი კი ის იყო, სმისათვის ძმისადმი შურის-ძიება მას კვლად ალეგზნო გულში.

იგი ფიქრობდა, ფიქრობდა და ვერ მოიფიქრა, თუ რა საჯელი მიეცა პირმოთნე ქალისათვის. მისი საკვდილით იგი არ დაკმაყოფილდებოდა; მას უფრო საზარელი სატანჯველის მოგონება უნდოდა.

უკეთესი არ იქნებოდა, რომ შერცხვენილი ეგვიპტეში გაეგზავნა? ოხ, არა! მას ხომ თავის საშობლო უყვარს და მშობლებიც საცარიელით მიიღებენ. ან უმჯობესი არ იქნება, რომ იმის შემდეგ, როდესაც თავის დანაშაულს აღიარებს, დაამწყვდიოს განმარტოებულს ციხეში, ანუ გადასცეს ბოგესს, რომ თავის ხასების მოსამსახურედ იყოლიოს?

ეი ეს არა! ამით იგი დასჯის მოლოდინს პირმოთნეს, რომელიც ასე შერცხვენია და თავი მოსჭრა.

შემდეგ მან თავის თავს უთხრა: «ბარტია აქედან უნდა წავიდეს, რადგანაც ცეცხლი და წყალი უფრო ადვილად მოთავსდებიან, ვინაც ეს ბედისგან გალანძღებული და ასეთი საბრალო არსება, როგორიც მე ვარ. მისი ჩამოშორებანი თავის დროზედ ჩემს საუნჯეს გაიყოფენ და ჩემს გვირგვინს დაიდგმენ; მაგრამ ვინ მეფე ვარ, დაუმტკიცებ რომ ცარიელი სიტყვით არა ვარ მეფე!»

გონებაში თავის ძლიერების გულზვარობამ გაუძლვა, გაბრაზებულმა თავის ოქროს თასი ისე დაანთქა შუა ზალაში, რომ აქ მდგომთ ღვინის წინწკლები წვიმასავით დაედინათ; შემდეგ რაბიანის ხმით დაიყვირა:

— ბეჟოფვათ მოგდენი ეზეკდობა და ყოყანი! ეხლა დრო არის ვითათბიროთ ამაზედ, თუ რა პასუხი მივცეთ მასაგეთელებს. შენ, ვასილეს, რადგანაც ჩვენ შორის უფროსი ხარ, პირველად შენ წარმოსთქვი შენი აზრი.

დარბაზს მოხუცემულმა მამამ მიუგო:

— მე მგონია, რომ ჩვენთვის ამ ველური ხალხის წინადადებაზე წასვლა საჭირო არ არის; მაგრამ რადგანაც ჩვენი ჯარები საომრად მზად არიან და ჩვენი ხიდებიც დიდ ხანს არიან ქარქაშებში ყრიანდ, ამისათვის ჩვენთვის ომი უსათუოდ საჭირო. რომ ომის დაწყობა შეგვეძლოს ჩვენთვის მტერია საჭირო და მტრის მოპოვება, ჩემის აზრით, ძალიან ადვილია! ამ სიტყვებით სპარსელები ადგილებში მოვიდენ; რადესაც ხმაურობა მისწყდა, კოზმა დაიწყო:

— შენ, ვასილეს, ისეთივე მოხუცი ხარ, როგორიც მე. მაგრამ, როგორც ნამდვილი სპარსელი, ბედნიერებას ომიანობაში ეძებ. ეგერთხი, რომელიც ერთხელ შენი საბრძოლობის ნაშანი იყო, ეხლა დასაყრდნობად გაგხდომია; მაგრამ შენ მიიც ისე ლაპარაკობ, როგორც ახალგაზდა კაცი. მე ვიცი, რომ მტრის პოვნა ადვილია, მაგრამ მხოლოდ სულელნი დაუწყებენ მას ძებნას. ის, ვინც თავის ყანის დასაკმაყოფილებლად მტერს იჩენს, სულელს კაცსა ჰგავს, რომელიც თავს ძალად ამახინჯებს. რადესაც ჩვენ მტერი გვეყოლება, მაშინ გვიანდა მასთან ბრძოლა. ნუ შეგცოდავთ მეგობარნო და უსამართლოდ ნუ დაგაწყობთ ლმერთებისათვის უსიამოვნო ომს, მოვიცადოთ სანამ უსამართლოდ არ მოგვეძალებიან და მაშინ სამართლიანად დაგაწყოთ ბრძოლა და ან გაგამარჯოთ ან დაგიხოცნეთ.

მოხუცს სიტყვა გაუწყვეტინეს ამ ნაირის ძახილით; «ვასილეს მართალს ამბობს? მტერი უნდა მოვძებნოთ!»

ელჩმა ბრეკსასმა, რომლისა რიგიც იყო ელაპარაკნა, სიცილით სთქვა:

— მოგასმინოთ ორივე მოხუცებულის ლაპარაკი: კრეზისა — იმისაკენ, რომ მოციცდოთ, სიბერემ შეუერცხებს ან მოგვაჯერებენ და ჭისტასმისა — იმისაკენ, რომ გრძნობა უნდა გაკვიცხოვნოთ და კარგად დაკდოთ, რომ ყველა, კინც თავის თავს საძოგნებით ან ჩაინიცხავს დიდი სამეფოს წევრად, სპარსეთის მეფედ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად ჩვენ უნდა დავეკითხოთ ინდოეთის ხალხს: ავმპარტავნებენ იმით, რომ თავიანთი თავი შენს სკიპტრას დაუმორჩილონ? კამბიზ, თუ რომ ეარის გვეტეკვინ, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ იმათ ან ვეეკარკვინთ, და ვისაც ან ეეკარკვინთ, ეგი ჩვენი მეფეა.

— ეგ ეგრე ან არის! დაიძახა ზოპირმა. რაც უნდა იყოს ესათუოდ ომი უნდა დაკიწყოთ!

— მე კრეზის მსარე მიჭირავს, სთქვა გობრიასმა.

— მეცა! სთქვა კეთილშობილმა ირტაბაზმა.

— ჩვენ ჭისტასმისკენ ვართ, დაიძახეს ერთმა ხმამ, მოხუცებულმა ინტაფერნესმა და კირის მოხუცებულ დანარჩენ ამხანაგთა.

— მასაგეთებთან ომი საჭირო ან არის, რადგან მათ თვითონ ან უნდათ, მაგრამ ომიანობა კი ესათუოდ უნდა მოხდეს! დაიდრიალა სარდალმა მეგაბიზმა და სტოლს ისე ღონიერად დაარტყა ხელი, რომ თასები ძირს გადმოტეხეს.

— მასაგეთებთან ომი საჭირო ან არის, რადგანაც იგინი თვით ღმერთებმა დასაჯეს კირის საგვარეულოსთვის, სთქვა უმაღლესმა ქურუმმა ოროპასტმა.

— ომი! ომი! ღრიალებდენ დამთვრალი სპარსელები.

კამბიზი რამდენამე ხანს სრულიად დამშვიდებული უგ-

დებდა ყურს თავის ჯარის კვლების ლრიალს; მერე წამოდგა თავის ადგილიდან და რიხიანის ხმით დაიძახა:

— გაჩუმდით და ყური დაუგდეთ თქვენს მეფეს!

ამ სიტყვებმა დიდი გაკვირვება იქონიეს მთავრებზედ. წრეს გადასული მთავრებიც კი დაემორჩილნენ თავიანთ მეფის ბრძანებას, რომელიც ხმა-მაღლა განაგრძო:

— მე თქვენ იმას რადი გკითხავთ, ომიანობა გინდათ თუ მშვიდობიანობა, რადგანაც ყოველგვე სპარსული ომიანობას ამჯობინებს შინ უსაქმოდ ჯდომას; მე მინდა ვიცოდე, რა პასუხს მისცემდით მასაგეთებს, ჩემს ადგილას რომ იყვეთ? ვითომ გგონიათ, რომ მაძი ჩემის ჯავრი მასაგეთელებზედ თვითონ ლმერთებმა აძოიყარეს?

მეფის აზრი ყველამ მოიწონა და შემდეგ კვლად ჰკითხა: «უნდა მიგიღოთ თუ არა პირობანი, რომელნიც მასაგეთელების ელჩებმა ამ დღეს წარმოგვიდგინეს და მივანიჭოთ მშვიდობა ამ ხალხს, რომელიც ლმერთებმა დასაჯეს?» ყველამ უპასუხეს, რომ პირობანი უნდა მიგიღოთო.

— აი ეგ მინდოდა გამეგო, განაგრძო კამბიზმა. ხვალ, ძველის ჩვეულებისამებრ, გამოთხიზლებულებმა კვლად ვითათბირეთ იმაზედ, რაც სამთავროს დრეს გადავწყვიტეთ. განაგრძეთ მხიარულება; მე გტოვებთ თქვენ, მაგრამ, როგორც კი წმინდა ფრინველი პარეოდარა დაიყივლებს, ბაღლის კარებთან მოგელით სანადირეოდ წასასვლელად.

ამის შემდეგ მეფე დარბაზიდამ გავიდა. «გაუმარჯოს მეფესო!» მიადევნეს უკანიდამ.

საჭურისთ-უხუცესი ბოგესი მეფეზედ ადრე გავიდა დარბაზიდამ. გარეთ დაკიდულის ბაღების პატარა მოსამსახურე ბიჭი ნახა.

— შენ რა გინდა? ჰკითხა ბოგესმა.

— ბარტიას მინდა ზოგიერთი რამ შევკუბინო.

— ბარტიას? შენს ბარტიას უფრიქს მებაღეს თესლეულობა ან ნაძეური ხომ არა სთხოვა?

ბიჭმა თავი გააქნია და ეშმაკურად გაიცინა.

— კაცმა ხომ არ გამოგზავნა?

— არა, ქალმა.

— მაშ ეგვიპტელს ქალს დაუბარებია რამ თავის მაზლთან.

— მერე შენ ვინ გითხრა?

— ნიტეტისმა მითხრა, მიჩვენე რა გამოგატანა; ესლავე გადავცემ ბარტიას.

— ნება არა მაქვს მივცე კისმე, თუ არ თვითონ ბარტიას.

— მამეც აქ, იმის თხოვნას შენზედ უკეთესად ავასრულებ.

— ნაბრძანები არა მაქვს.

— გამიგონე, თორემ —

ამ დროს მეფე მათ მიუახლოვდა. ბოგესი ერთს წამს დაფიქრდა და მერე უბრძანა ყარაულებს ბიჭი დაეჭირათ.

— რა ამბავია? ჰკითხა კამბიზმა.

— ეს თავხედი, მიუგო ბოგესმა, სასახლეში შემოპარულა, რომ თქვენი მეუღლის ნიტეტისის შემონათვალი ბარტიას გადასცეს.

მეფის დანახვაზედ ბიჭი დედა-მიწაზედ დაემხო.

კამბიზი თითქმის მოკვდა, უყურებდა-რა გამოგზავნილს ბიჭს. მერე მიუბრუნდა საჭურისთ უხუცესს და ჰკითხა:

— რა საურს ეგვიპტელს ქალს ჩემის ძმისაგან?

— ეს ბიჭი ამბობს, რომ ნაბძანები მაქვს მხოლოდ ბარტიას გადავცე ის, რაც გამოამტანესო.

ამ სიტყვების შემდეგ ბაკშვმა მეფეს კამოტანებული ბა-

რათი მისცა. კამბიზმა დახედა ბარათს და თვეები დაუბრახუნა, როდესაც ბერძნული ნაწერი დაინახა, რომლის კითხვაც არ იცოდა.

მეფე მრისხანედ დააშტერდა ბიჭს და ჰკითხა:

— ეს შენ ვინ მოგცა?

— ეგვიპტელი ქალის მოახლემ, მაგის ქალმა, მანდანამ.

— მერე, ჩემი ძმისათვის უნდა გადაგეცა?

— მან მითხრა, რომ ეს ბარათი მშვენიერი ბარტიასათვის გადამეცა მეჯლისის დაწყობამდის და ამასთანავე მეცნობებინა...

საბრალით დაუბრახუნა მეფემ თვეები და ბიჭი ისე ძლიან შეშინდა, რომ ხმა წაერთვა და ძლივს განაგრძო:

— ბარტია თქვენს გვერდით მოდიოდა; მაშინ ვერ დავლაპარაკე მას. ეხლა იმას აქ მოველი, რადგანაც მანდანა ოქრომს მანათს დამპირდა, თუ რომ ამ საქმეს ხერხიანად შეკასრულებ.

— მაგრამ ვერ შეასრულე, უთხრა მრისხანედ კამბიზმა. შენ ეგ ვერ შეასრულე! თქვენ, ყარაულებო, ეს ბიჭი დაიჭირეთ!

ბიჭი ვედრების თვალით უყურებდა მეფეს და რაღასაც თქმა უნდოდა, მაგრამ ამად: ყარაულებმა იგი საჩქაროდ დაიჭირეს და მეფემ მისი განწირულების ხმით ვედრება ვეღარ გაიგო, რადგან საჩქაროდ წაიყვანეს.

ბოგესი მეფეს თვეს და თვეს მისდევდა, ხელებს იფშვნეტდა და გულში იცინოდა.

როდესაც ტანისამოსის გამზდელთ მეფისთვის ტანთ უნდა გაესადინათ, მან უბრძანა, ყველანი გარეგან გასულიყვნენ.

როგორც კი იგინი გავიდნენ, მან დაუძახა ბოგესს და ჩუმად უთხრა:

— ამ დღიდგან შენ უნდა უგდო ყური დაკიდებულს ბალებს და ეგვიპტელს ქალს. ვინძლო კარგად ყარაულო! თუ

რომ მასთან ვინმე შევა და წერილს ვისგანმე მიიღებს, იცოდე სიკვდილით დაისჯები.

— კასანდანამ ან ატოსამ რომ გამოუგზავნონ!

— გამოგზავნილს ნუ შეუშვებ; კასანდანას და ატოსას უთხარი, რომ ძალიან მეწყინება, თუ თქვენ ნიტეტისთან კავშირი გექნებათ თქო.

— შემიძლიან ერთი მოწყალება გთხოვოთ.

— სათხოვრად ცუდი დრო ამოგირჩევია.

— ძალიან უქმეიფოდ გახლავარ. მხოლოდ ხვალინდელს დღეს სხვას ვისმეს უბრძანე დაკიდებული ბალების ყურის გდება.

— არა! თავი დამანებე!

— საშინელი სიცხე მაქვს. დღეს სამ ჯერ წამივიდა გული. — ამისთანა დროს რომ ვინმე,..

— მერე ვის შეუძლიან შენოდნობა გასწიოს?

— ლიდიელ საჯურისთ უსუცესს, ყანდავლს. იგი ერთგული და სასტიკი. ერთი დღე დასვენება სრულიად მოამარჩენს. გთხოვთ მოიღოთ მოწყალება!

— ისე ცუდად არავის ემსახურებიან, როგორც მე—მეფეს. და ყანდავლი დადგეს შენს მაგივრად ხვალინდელ დღეს; მაგრამ უბრძანე, რომ თუ ფხიზლად არ მოიქცევა, სიკვდილით დაისჯება.—ახლა კი თავი დამანებე!

— ერთი რამის თქმის ნებაც მიბრძეთ მეფეო! თქვენ უწყით, რომ ხვალინდელი დღიდან დაკიდებულს ბალებში მტრედის ფერი ია გაიშლება. ჭისტასპს, ინტაფერნესს, გობარიასს, კრეზს და ოროპასტს იმის ნახვა უნდათ. შეიძლება იგინი რამდენიმე წამით ავიდენ დაკიდებულ ბალებში? ყანდავლი უგდებს ყურს, რომ მათ ეგვიპტელი ქალი ვერა ნახონ.

— ყანდაკლი ძალიან გათბრთხილდება, თუ რომ სიცოცხლე ძვირად უღირს. გამეცალე!

— პოგესმა მდაბლად თავი დაუკრა და მეფის ოთახიდამ გამოვიდა. მონებს, რომელნიც წინ თვრნებით მიუძღოდენ, რამდენიმე მანათი გადუგდო. იგი ძალიან მხიარულად იყო, განზრახვა უეცრად კარგად უსრულდებოდა, სინამ როგორც მოელოდა, რადგანაც ნიტეტისის ბედი უკვე გადწყვეტილი იყო და თავის ამხანაგი ყანდაკლიც ხელში ეჭირა, რომელიც ძალიან ეჯავრებოდა.

კამბიზი თავის ოთახებში გათენებამდის ბოლთასა სცემდა. როდესაც მაძღებმა იყივლეს, მან მტკიცედ განიზრახა ნიტეტისისთვის დანაშაული ეთქმევინებინა და შემდეგ დიდი ჯარების მოახლედ დაეუნებინა.

მისი ბედნიერების დამრღვევი ბარტია საჩქაროდ ეგვიპტეში უნდა წასულიყო და შემდეგ მოშორებულის ქვეყნის მოვარმარეებლად უნდა ყოფილიყო. — კამბიზს ეშინოდა ძმის მკვლელი არ გამხდარიყო, ამისთვის თავის ძმას შორს ქვეყანაში ასტუმრებდა.

მზის ამოსვლის შემდეგ ორი საათის უკან კამბიზი მიაქროლებდა თავის ქურანს ცხენს და უკან ამალა მისდევდა; იგი სანადოროდ მიდიოდა.

(შემდეგი იქნება)

რძალ-მუღლი

(სურათი ჩვენის ცხოვრებიდამ).

ერთ კვირა დილას ან—ის უბნის ვიწრო ქუჩაში ალაყაფის კარი ეურაბედის ლია იყო და აქიდამ მოჩანდა ორი-სამი პატარა-პატარა სწორე ბანიანი სახლები. ეზოს ერთს კუთხეში იდგა თუთის ხე და ეს თუთის ხე ანდამატივით მიიზიდავდა ყოველ უქმე დღეებში მთელ მეზობლობას. ამ ერთობას არ გამოეპარებოდა არა თუ ვისმე დანახვნა და დაქოქწილება, შინაური საოჯახო საქმეც კი. კვლავინდელივით, ამ დღესაც, ერთბაშად, რაღაც მანქანებით, თავი მოიყარა ათიოდ ქალმა,—სამოცდა-ათი წლის მოხუციდამ დაწყებული ახალ პატარძლამდის. ზოგნი ბანებზედ გადმოძმდგარიყვნენ. ერთმანეთის სალამის შემდეგ, ავანე დურგლის ცოლმა, თეკლემ, რომელსაც ჩიხტი ალისფერის თავსაკრავით გვერდზედ მოჭქცევოდა და უცხოდ უხდებოდა იმის დაკენკილ პირის სახეს, დაიწყო ლაპარაკი და თან კვეის ღეჭით თავ-მომწონედ წამ და უწუმ ისწორებდა თავის მოდაზედ ათეხუწულ კაბას.

— დახეთ, რა ამბავში არიან ანისანი, დიდი შესვლა-გასვლა აქვთ, ჩემმა ავანემაც გაგზავნა თავისი შაგირდი სახლის პატრონისთვის. თურმე მდგმურს აყენებენ თავიანთ გვერდით, ორ ოთახში.

— გაინა არა, მეცა ვინახე, რომ სახლის დალალი ეს რამ-დენიმე დღეა მიდის და მოდის, სთქვა ივანე დურგლის ასალ-გაზდა დამ, სოფიკომ, რომლისთვისაც ამ ცოტა ხანში დაე-ხურათ თავი და სიხარით სულ დაფოთლილ ლეჩაქის გასწო-რებას უნდებოდა. ამ ლეჩაქს სითეთრით არ ჩამოჩრებოდა იმისი ძალზედ უმარილ წასმული პირის სახე.

მერე წინ წამოდგა მოხუცი დედა-კაცი გახუნებული, ბანო-ში ფერი გაქუცული ძალიან ქითიბით, ჩამოიხსნა პირზედ მი-ფარებული ყურთმაჯის ყოში; მიმართა მკაცრად თავისი მოსა-ხანე ლ გამსმარი პირი ანასაანთ დიდ ბალკონს, რომელიც ამათ პირდაპირ იყო და გაშფოთებულმა ხელების ქნეით წამოიძახა:

— ქალ, ქალ! ნეტა გინდა გადმოახედა ცხონებულ ბარბარეს: ერთი დაინახოს იმის ნადგომ ოთახებში ვინ უნდა იფარფა-ფოს! მაგას ვილა მოიფიქრებდა, რომ უცხო დგმურს პირის ფლიტესავით ჩაიუნებდენ. ჩემის თვალით შეიყვარეს ეხლანდელ დროში ყველამ რძალი.

ამ დროს მოისმა ახალი ბანიდამ ახალგაზდა ქალების ხანგრძლივი კასკასი. ამაკე დროს დაფაქიანი მიხეს ახალგაზ-და ცოლმა სთქვა დამშვიდებით:

— ბატონო, ამობენ უცოდო კაცია, მუდისთვის საქმრად უნდა.

— ნუ დაიჯერებ, შვილო, ეგ რძლის თვალთმაქცობა.... მოხუცს ალარ დასრულებინეს დაბარვა.

ანასაანთ ბალკონზედ გამოჩნდნენ დაბარგული მუშები, რძალ-მული იმათ დასტრიალებდენ.

— ჩადეგი, რა ერთობა აქეთ რძალ-მულს, რა ტკბილად არიან. სხვას რა საქმეა! სთქვა თვალემ.

— ვაი ჩემს თვალებს! წამოიძახა ხელახლად მოხუცმა, რო-

გოლრც კი ლაპარაკის დრო იხილთა,— კარი კართან ულა ჭქონდეთ უცოლლო კაცთან!

— კარგი ბატონო, კარგი, ხომ ხედავთ რომ ესლა სხვა დრო დაგვიდგა, სთქვა ერთმა ქალთაგანმა და, როდესაც მოხუცმა კიდევ დაიპირა ხმის ამოღება, ქალმა სრულიად სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

მოხუცს დიდ ხანს თვალები ვერ მოეშორებინა ანიასანთ ბალკონისათვის.

* * *

ორი თვე იქნებოდა, რაც ამ სახლის ბუერჯი, ოჯახის თავი ბარბარე კარდაეცვალა. თუმცა ბარბარე ადრე დაქვრივდა, მაგრამ თავის ხელ-გამომუდობით და თავმოსწონებით, აწყვიდა-დაწყვიდა მამულებსაც ყური უგდო და თავის ობლებიც გამოზარდა. იმის ქმარს, ნიკოლოზს, მართალია, ფეკლანი პატივს სცემდნენ, მაგრამ ისეთი აწყალი და სატლადაგი ხასიათისა იყო, რომ ბევრნი იმის კეთილშობილურ თვისებას თავანთ ბოროტ საქმეებში იყენებდნენ და პატარა რომ დასცვლებოდა, უეჭველია, შვილებს ულუკმა-პურად დასტოვებდა, რადგან ყველანი ადვილად შეაბრალებდენ თავს და გაამდენ სხვა და სხვა დასლარითული საქმეებში. ბარბარე, დაქვრივდა თუ არა, ტირილის და წუწუნის მაგივრად თავისი უფროსი შვილის, დარიკოს, შემწეობით შეუდგა ოჯახის ფეხზედ წამოყენებას. მამულები ქალაქის ახლო-მახლო მდებარეობდა და ეს გარემოება ადვილებდა თვალის დაჭერას; ქალაქშიაც შეუდგა დიდ ყიდვა-თობას, თავისი საკუთარი დიდი სახლი, თითქმის სულ გაქირავა და თითონ, ოთხი შვილით, ორ ოთახში მოთავსდა. დარიკო გაზრდილი, ნასწავლი, ამასთანავე ბევრის მომთმენი იყო და დედას ყველაფერში ხელს უწყობდა. ბარბარე კი იმ დედათაგანი იყო, რომელთაც მიაჩნიათ შვილათ მსოლოდ კაცი-

შვილები და ქალებს კი ისე უყურებენ, როგორც გასასყიდებელ საქონელს; ამიტომაც დედა, თუმცა პირად არას ამბობდა, გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არა თუ თავის თავს, თავის ქალს დარიგოსაც კი, თუ საჭიროება მოითხოვდა, ანაცვალებდა თავის სამ ვაჟიშვილს. ეს ვაჟები ერთი მეორეს მომდევნონი იყვნენ. ჩვიდმეტის წლის დარიგ გახდა მასწავლებელი და ხელთ-ძძღვანელი თავის ძმებისა. ნიგოლოზის სიკვდილი ოჯახში ისე არავისთვის არ იყო დასაკლისი, როგორც დარიგოსთვის. გაზიზებულს დარიგოს მამის დროს თვალში ისე არა მოუვიდოდა-რა, ისე არას ინატრებდა, რომ ყველაფერი არ ასრულებოდა, ახლა იმის დამშვიდებულ თვალებს და დაწყნარებულ პირის-სახის გამომეტყველობას მწუხარების ახრდილი გარდაფარებოდა. მართალია, დარიგოს ლამაზებში არავინ არ ჩასთვლიდა, მაგრამ არც გონჯი იყო. თუმცა არც ერთი ასო იმის პირის სახისა არ იყო შესანიშნავი, ერთობ კი ლაზათიანი და მიმზიდავი რამ იყო. მეტადრე როდესაც შინაურად მეგობრებში ხუმრობდა. უცხოებთან აწითლდებოდა, კრძალვით, ენის მოკიდებით, თითქმის უგულოთაც იწყობდა ლაპარაკს, მაგრამ, რაკი საქმე გაუჩნდებოდა, მაშინ კი ალარავის ალარ დასდევდა, მხნედ შეუდგებოდა საქმის შესრულებას. დარიგოს მამის დროს დიდ მზითვიან ქალად სთვლიდნენ, მაგრამ, სწავლის გათავების შემდეგ, მხოლოდ ერთი წელიწადი დასცალდა მამის ხელში ნებივრობა და აზიზობა და, რასაკვირველია, ადვილად ვერ აიტანდა ამ ნაირად დატრიალებულ ცხოვრების ჩარხს. სულ გულში იმარხავდა თავის ნაღვლებს. დედა, მართალია, ანუგეშებდა და კუბნებოდა, რომ მხოლოდ დროებით არიან შეკიწროებულნი და ორიოდ წლის შემდეგ დარიგოს ადრინდელსავით არა მოაკლდებოდა-რა. დარიგომ დიდი

მოთმინებით მოამზადა და გაასტუმრა რუსეთში ჯერ ერთი ძმა, მერე მეორე და მესამე, ამ უნტრფესებს ხომ სწავლითაც სულ თითონ ასწავლა. უმცროსი ძმის გასტუმრების შემდეგ წელიწადი არ გავიდა, რომ ბარბარეს ათვიცერი შვილი მოუვიდა. ესენი მხოლოდ ესლა მოცოცხლდენ, სახლ-კარი ადრინდელსავით მოიწყეს და დარიგოსაც სწორედ კაი დრო დაუდგა. ახალგაზდა ქალი ამპარტავნობდა ამ ბედნიერებით უფრო იმიტომ, რომ დიდი შრომა გასწია თავის ძმა კოლაზედ, და ამ შრომამ ტყუილად არ ჩაუარა. კოლა სწორედ პირიდამ წავარდნილი ძაძა იყო, რაგორც ტანით, სახით, ისე გულ-კეთილობით ს უხასიათობით. დარიგოს მეუღლემ ძმაზედ დიდხანს არ გასტანა, ამისთანა საცოლო ვაჟები, მოამტებულად კარგი შეძლებისანი მოსულიერებულნი დედისა და დის დიდ ხნის თავდარიგობით, თითით ჩამოითვლებიან. ბევრი ქალი შეუდგა კოლას მახეში გაბმასა.

კოლა ცოტ-ცოტობით აწყვა დროს გატარებას, გადაეჩვია შინ ჯდომას, ბოლოს ამის შედეგიც გამოჩნდა, გამოუტყდა დარიგოს, რომ ერთი ობოლი და ღარიბი ქალი ძალიან მომწონს, მიყვარს და მინდა იმისი შერთვა. რასაკვირველია, თავდაპირველად, ბარბარეს არა შეატყობინეს-რა, ჯერ უნდა დარიგოს გაეცნო. დარიგომ და იმის მოწონებულმა ქალმა პირველ ნახვაზედ მტრულის თვალით შეხედეს ერთმანეთს. დარიგოს ისეთი მძულვარება გამოეხატა ძმის წამრთმევის დანახვაზედ, რომ პირი მოარიდა. ამის სარძლო, თავლიგო კი, იმ ქალთაგანი არ იყო, რომ შეეძრნიებინა თავისი გულის მოძრაობა; ამან თავისი ყუყუნა თვალებით მოწიწებით გადახედა და თითქოს ბოდიშს სთხოვდა. თავლიგოს მოსწრაფებულმა ლაპარაკმა, საცოცხლით საკუკ პატარა სახის მოძრაობამ და

მოსახდენ ემაწვილურ კეკლუცობამ დარიკო სრულებით გაანცა და მოიმხრო, თითქოს ამაყობდა კიდეც თავისი მომაკვლი რძლითა, მაგრამ მხოლოდ, სანამ თვლიკო თვალ-წინ უდგა ხოლმე, მერე კი, როდესაც ჩაფიქრდებოდა, შიში შეეპყრობდა. განა ამის ძმის მშვიდ ხასიათის მოუხდებოდა ამისთანა კეკლუცი ქმნილება! თავისი აზრები ეკვლა კოლას გაუზიარა, მაგრამ შეეკვრებულს ამ ქვეყნისა ალარა გაეგებოდა-რა და ხვეწა-კოცნით ეხვეწებოდა დას: «დედა ჩემი მოიმხრეთო.»

კოლა, სიყვარულით გატაცებული, სამსახურიდამ დაბრუნდებოდა თუ არა, თვლიკოს დასტრიალებდა თავს, ისიც განგებ თავს ამითი აბრალებდა, რომ დედა ჩემის ლუკმა მწარეა; ისე რომ კოლა, შინ შესვლის უმალვე, დაუწყობდა დარიკოს ხვეწნას, ჩქარა მიშველე რამეო. დარიკო სწორედ ორწყალ შუა იყო: ანგარიშიმ ნაცნობები ყველანი ერთ ხმად აფეთხილებდენ; მაგ ქალს ეფერთხილებითო, თავს იგლეჯენს, თავლითმაქცია და თანაც შეყვარებული ძმა ეცოდებოდა, რადგან ითითონაც გამოცდილნა სიყვარულის სიმწარე. ბარბარემ რომ ცა შეიტყო, პირველად ბევრი ხელები შალა, თავს იგლეჯდა, არ უნდოდა საქმის დაბოლოება, ეფერო ქალის ემზითევობის გამო, მაგრამ ბოლოს რას გააწყობდა, დასთანხმდა. ჯერის წერის შემდეგ სულ ცოტა ხანმა გასავარა და თვლიკომ დედამთილისა და მეულის ხასიათები მისხალიგით ასწონა; ისე ხერხიანად და ოსტატურად იქცეოდა, რომ შინაურებიც კი წუნს ვერას სდებდენ და, თუნდ ოჯახის შეუსაბამოდ მოქცეულიყო, შეჩვეული, დედამთილი და მეული ერთხმად იმის ბავშობას მიაწერდნენ. შეყვარებული ქმარი კი თავდებ ახვეული იყო.

კოლას კაჟიშვილებმა ბარბარე ისე სრულიად დააკმაყოფილეს, რომ დარიკოს გათხოვებას გუნებაშიაც ალარ ეკლებდა.

უამისოდაც ეგოისტურმა გრძნობამ კაეშანი ალბათ ერთ სრულიად შეიპყრო. კოლა ხშირად საძსახურის გამო სტოუებდა დროებით ქალაქს, თავიგო კი თავისუფლად, უქმრობაც დაიარებოდა ჭედ-იქით, ირთოებოდა, ვრა შეძლებისამებრ, დედამთილი კი პირ-მოკუმული იჯდა და ვრას ეუბნებოდა, პირიქით მოწყალებით თავს ეკლებოდა რძალს და თავისუფალს დროს სულ შვილი-შვილების მოგლაში ატარებდა. დარიგო უქმრობა ამ ამბავს და ეკარა ეწამებინა-რა, ხმა-ამოუღებლივ მთელი დღე ნაღვლიანად იჯდა ფანჯარასთან და, ვინ იცის, რა შავი ფიქრები უტრიალებდა თავში. ამის გამო ხასითი საშინლად გამოეცვალა და დღითი-დღე ბერდებოდა. ბარბარე ვრას ატყობდა, ეკალას უამბობდა თავის კოლას ბედნიერებას, თავის მეორე კაქების მალე ათვიცრებად დაბრუნებას და, როდესაც დარიგოზედ ჩამოუგდებდენ ლაპარაკს და ეტყოდენ, რატომ არ ითხოვებო, მიუგებდა: ჩემი დარიგო ვრა თხოვდება, ან რა უქნია სახლშიაც. დარიგო პირ-მოკუმული ტუჩების კვნეტით ისმენდა დედის განაჩენს.

ერთხელ მოუღოდნელად პეტერბურგიდამ მოუვიდათ ერთ ნათესავისგან ზედი-ზედ ორი ტელეგრამა, რომ კოლას მოამდვინო ძმა ზაქარია ანოებით ვრის ავადო და მერე სიკვდილიც შეატყეს. ამ ნაღველზედ ბარბარე ერთბაშად მოუძღურდა, ავად შეექნა და ამ ავად-მყოფობამ თანაც გადიტანა. სიკვდილის წინედ, როდესაც რძალი რასმეს აწყვეინებდა, მაში შეიბრალებდა თავის დარიგოს, მოიგონებდა იმას ოჯახის ამაგს და ეტყოდა ხოლმე: „შვილო, რას გემრთველები, უნდა ანდერძი დავწერო, ათას თუმანზედ მეტსაც მოგცემ, მაგრამ მეორე წუთს, როდესაც რძალი თვალ-ცრემლიანი გადუგოცნიდა ხელებს და ეტყოდა: „დედა-ჯან, შენი სიკვდილი შეუძლებელია, სამაგისო

რა გიჭირთ! მაშინ ანდერძიც და დარიგოც დაავიწყდებოდა.

ორ თვეზედ, შვილის უბედურობის შემდეგ, ბარბარეს სული გაუტეხა და დარიგო ეხლა სრულიად ობოლი დარჩა.

***

რძალ-მული, თალიგო და დარიგო, მუშებს თავს დასტრიალებდენ, როდესაც ყველა ბარგი ამოზიდეს და შორიდან გამოჩნდა თითონ მდგმური.

— დარიგო, სთქვა თალიგომ — ეხლა კი შეიდეთ, თავი დაგანებოთ, დეე დალაგდეს, და ორივენი სწრაფად შეიდენ სახლში. დარიგომ ბირდაბირ თავის ოთახში გასწია, მიიხურა მაგრად კარები და ალეწილებული ბოლოთასა სცემდა. მერე ერთბაშად შედგა, დაჭერა მუშტი სტოლს და წამოიძახა: «როგორც უნდა იყოს, ჩემს თავს კი უნდა ვუშველო, ჩვენ ერთად ვერ მოვთავსდებით.» ბოლოს ჩამოჯდა დივანზედ, ჩაღუნა თავი და მიეცა თავის გაგლილ ცხოვრების მოგონებას; თავისი ახალგაზდობა ცხადად წარმოუდგა თვალ-წინ: მოაგონდა, რა ბავშვი იყო მაშინ, როგორ მოიწონა ერთი მშვენიერის სახის ბოლიაკი, აფიცერი, რომელიც ამათ ბირდაბირ, ყაყაჩაანთ სახლში იდგა, რა ნაირად მალავდა, რომ მამას არ გაეგო ამის საიდუმლო საყვარული; რამდენჯერ თავის მეგობარ კოტოსთან ერთად გამოკვრდნილა ბალკონზედ ამიცრის გაკლის დროს, ისიც როგორ თავმოწონედ მოჭყვებოდა ხოლმე ულვაშის გრეხას.

— საწყალი, გაიგლო გულში დარიგომ — სულ გადირია, არ იცოდა, რომელს ჩვენგანს მოსწონდა, ისე რომ ჩვენ მიწერილ ბარათებზედ პასუხსაც ვერ ახერხებდა. ოხ, ღმერთო, რა ყმაწვილები ვიყავით! ამ ამიცრის შერთვას ხომ გუნებაშიაც ვერ გავიტარებდი, აბა, დედ-მამა რას მოიტანდა ნებას. ერთ დღეს უბედურს უკრეს საიდლაც თავი, დავრჩი მარტო და მხოლოდ

მაშინ ვიგრძენ, რა ნაირად მიყვარდა, მაშინ შევიქენ გულ-დამწყვარი. სად არი კაცო? ან სხვა ჩემი მეგობრები. სულ გათხოვდენ, ვინც მოხვდათ, შეირთეს, ეხლა შვილების მოვლაში არიან. დარიგოს მოაგონდა ის საქრმოები, რომელნიც მაძის დროს გამოუჩნდენ და, რაკი ნახეს, რომ მზითევი საკმაო გახდა, ფეხი უკუდგეს. განა ამათი დაკარგვა ამისთვის დასანანი არ იყო!

დარიგომ მძიმედ ამოიოხრა და უნებლიედ შეახედა თვალები კედელს, სადაც ბევრი პორტრეტები კიდია, ამათ შორის ერთ მხარეზე რეკვლათ ადგილი იყო დარჩენილი, ზედ მხოლოდ პატარა ლუსმანი მოჩანდა, ეტყობოდა აქედან ვილაც პორტრეტი ჩამოეღოთ. დარიგოს სახე ამ მოგონებაზედ მთლად მოიკუმუხვნა, აწითლდა, ჩვეულებრივმა დამშვიდებულმა თვალებმა განსხვავებულად ბრწყინვა დაიწყეს: «რა ლირსების კაცი იყო, რომ ჩემი ახალგაზდობის ხეთი წელიწადი მაგას შევწირე! რამ ამიხვია თვალები, რამ შეიპყრა ასე ჩემი ჭკვა, რომ გულს ვერ დასძლია. ტყუილად კი არ ამბობენ, სიყვარული არას არჩევსო, ბრმაა. განა არ ჩამძახოდენ ყურში, რომ ბოროტი კაცია, არავის არ დაინდობსო, მაგან რა იცის შენი ყადრი. რად მეგონა, რომ მაგას შორით მეუბნებიან! მერე ვიზედ გამცვალა, ვის წინ ამიგდო მასხარად! ეგ კი გამოცდილება იყო ჩემთვის, მომინდა ჭკვის დახმარება, მასუკან გამოვესალმე ჩემ პირად ბედნიერებას. მაგრამ რა კარგი ვქენ? ვითომ რა არი ეხლა ჩემი ცხოვრება? დარიგო სწრაფად წამოხტა, გაირა-გამოირა ოთახში და წამოიძახა: «არა, უნდა ჩემ თავს როგორმე ვუშველო, მე და თავიგოს ერთად ვერარ გვედგომება; მაინც ამბობენ, სულ ბედი და ბედია, იქნება და მართლა მაგ დგრეულის თვეხის შემოდგომა ჩვენ სახლში ჩემი ბედი იყოს!» ამაზედ უცნაურად გადაბარბაცდა, ჩაიხედა სარკეში და გაკვირდა ოთახიდამ.

ამაკე დრეს თალიკო ძალიან გმაყოფილი იყო დალალ ბერუასი, რომ ამისთანა დარბაისელი, კაი საქმესურის და უცოლო კაცი უშოკა მდგმურად. ამ საძაგელი შაკების გამო ხომ საბრანაში და კრუყოკში კერ იკლიდა; ქმარიც მუდამ აქ არა ჭყაკდა და ეს მდგმური ამას კაი კაკალრობას გაუწეკდა და, იქნება, ბოლოს, მუდიც მოეშორებინა თაკიდამ.

ივან ივანიჩი ბ. ძალე დაუახლოკდა სახლის პატრონებს; თუმცა ძნელად იცოდა კაცისაკე გაცნობა თაკის ძაიმე ხასიათის გამო, მაგრამ ამათ კი ძალე დაუშიხაურდა. ივან ივანიჩი ძალზედ მელოტი და ბეცი იყო და ისე ჩასუქებული, რომ ტანდაბალი სჩანდა. მაგრამ ამ წუნთან, ივან ივანიჩს დიერსებაცა ჭქონდა. იგი ისეთი ტკბილი მოსაუბრე იყო, იმის სათკალებიდამ ისეთი ჭკვიანი შაკი თკალები გამოიყურებოდა, რომ ყველას უნებლიედ მიიზიდაკდა.

ორმოცი წლის ივან ივანიჩმა დიდი სიღარიბე და ბევრი წკა და დაგკა გამოიარა, სანამ გკარიან ადგილს იშოკიდა და გასაკვირკელი არ იყო, რომ აქამდის ცოლი არა ჭყანდა; თითქმის ყველა ქალს თაკს არიდებდა, რადგან ამბობდა, რომ ამათ ყინების ამსრულებელს კაი შეძლება უნდა ჭქონდესო, რაღაც მანქანებით მიიზიდეს ეს კაცი რძალ-მულმა და თითქმის სამი თკის განმაკლობაში ესენი შინაურულად ატარებდენ დროს. თალიკო უკრაკდა და მღერიდა, დარიკოს უყვარდა წიგნების კითხვა და საკერაკი, ხანდისხან, როდესაც ქალაქში ჩამოკიდოდა, კოლაც ემატებოდა ამათ საზოგადოებას. მართალია, თალიკოს უნებლიები კეკლუცობა დარიკოს არ ეჯაშნიკებოდა, მაგრამ კერა ეწამებინა რა და თითონაც ყოკელ ღონისძიებით ცდილობდა, თაკი მოეწონებინა ივან ივანიჩისათკის. ამ კაცისთკის კი ეს ორი ქალი შეადგენდა ერთ არსებას, ერთი უმეო-

რეოთ არ თავსდებოდნენ იმის გულში, რადგან რა ლირსებაც ერთს აკლდა—უეჭველად მეორეში ჭეოუღლობდა. როდესაც მარტო თალიკოს ხედავდა, სულ დარიკოს იგონებდა და, როდესაც მსოფლიოდ დარიკო უდგა წინ, წამ და უწუმ კითხულობდა, თალიკო სადღაა. ასე რომ იმის უნებურად ორ ქალთა შუა ატუდა კინკლაობა, დაცინვა ერთმანეთისა და ბოლოს ხშირად ჩხუბიც ხდებოდა. ერთ ღამეს, როდესაც თალიკოს ქმარი ქალაქში არა ჭეკანდა და ივან ივანიჩსაც რაღაც საქმე გამოუჩნდა, რძალ-მული შეებნენ ლაპარაკს, ლაპარაკი ჩხუბით გარდაექცათ, დარიკომ თავის გულის ბუხარი ამოიყარა, არა თუ კეკლუცობას, ქმრის ალალტობასაც კი სწამობდა რძალს. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ თალიკომ საღეთკი სტეორცნა შიგ პირში მულს, ისიც, რასაკვირველია, უკან არ ჩამორჩა. ატუდა საშინელი ღრიანცელი და ხმაურობა, ამ ხმაურობაში კერა შეიტეს-რა, კარს რომ ივან ივანიჩი მოადგა და შესვლას აპირებდა, მაგრამ ნახა თუ არა ეს ამბავი, სწრაფად უკანვე გაბრუნდა. პატარა სანს უკან მოისმა ხანგრძლივი კასკასი მეზობლის ბანიდამ, რომელიც სწორედ ამათ ბალკონის პირდაპირ იყო. იმ წამსვე ორივე მეტოქენი შედგნენ. თალიკო კბილების კრაჭუნით მიეარდა სტავნებს დასაკეტად, დარიკოც ჯერ გაქვავებული შედგა, მერე კარების ჯახუნით ოთახიდამ გავარდა.

*
* *

დადგა კვირა დღე, თუთის ხის ქვეშ კვლავინდელზედ მომეტებული ხალხი მოგროგდა.

— გეთაყვანებით, ეს რა ამბავი მოხდა. ასე ანაზდეულად როგორ გაუფრინდათ ანასანთ მდგმური, უთხრა თეკლემ, იკანე დურგლის ცოლმა, ბანოშისფერ ქათიბანი მოხუცს.—მაგას რაღას მოვითვიქრებდით, ბატონო!

— კეი ჩემ თვალებს! მე არ ვამბობდი, რომ რძალი კი წყლისა არ არი მეთქი. ისე როგორ გაკვესდა, რომ შუალამისას გასათხოვარი ქალი შინიდამ გაგდო. აბა, არ ვამბობდი, რომ ბარბარეს ძალიან ჯეკუა წაგო მეთქი, თორემ ქალს უპატრონოდ როგორ გაუშვებდა.

— თურმე თალიკო სამი დღე ჩაკეტილ ოთახში ყოფილა, განაგრძო თეკლემ, არავის ინახულებდა, ვკად კარო და ბედ-შაკი მდგმური იმის უნახავად გასულა სახლიდამ.

— იცით, რა გითხრათ, თალიკოს ქმარი მოსულია... წამოიძახა ერთმა ქალმა, მაგრამ სოფიკომ სიტყვა გაწყვეტინა:

— დამაცა, დამაცა, შენ იყავ განა ბანზედ, რომ გასკას მოჭყვე; რა გრჯოდა, თამაშას ვუყურებდით.

— გეთაყვანეთ, მითხარით, დარიკო სადაა, წამოიძახა დაქალთ მისმა ცოლმა.

— ძალუასთან მისულა და ეხლა ძმებს მზითევს ედავება. უკასუხა თეკლემ.

— გენაცვალე, ნეტავი დათიკლეანოს მაგ თალიკოს და სხვა არა მინდა-რა, სთქვა ბანოშისთვერ ქათიბანმა მოხუცმა, — ეგ ქალი კი არა, სწორედ გვეალია! ტუალად კი არ არის ნათქვამი, გველი რაც მიწაში დაძვრება, იმოდენას ზეით დასისინებსო.

— მაგან რა ქნას, რომ მდგმურმა დარიკო არ მოიწონა, ვერარ ეოითმინა და წამოიძახა გრძალვით იმისმა რძალმა.

— დაჩუმდი, შე არ დასაცალებელო, როგორ თუ არ მოიწონა... ეგ იქნებოდა თუ სხვა, მული უნდა გათხოვოს.

ამ დღეს მეზობლები მეტად გვიან დაიშალნენ.

*
* *

მართალა დარიკო ისე ალეკვებული იყო იმ ღამეს, რომ

ოთახიდან გავარდა თუ არა, მაშინვე გაექანა თავის ძალუა მართასთან და აქ ბევრი ტირილის და ჩივილის შემდეგ დაწყნარდა და დგომითაც ამასთან დარჩა. მეორე დღეს ცოტათი დამშვიდებულმა დარიგომ, ზოგიერთი ნათესავების რჩევით, გადასწყვიტა, სთხოვოს ძმებს თავისი მზითეი და ბინადრობა დრეებით ძალუა მართასთან ჰქონდეს. უმეტესობამ ამ ქალის მსარე დაიჭირა, რადგანაც დაჩაგრული და უპატრონო იყო. სხვათა შორის ძალუას ჰყავდა ერთი შორეული ნათესავი კასილი გიგრიაშვილი, კოჭლი, დაკენკილი სახისა, მაგრამ ძალიან პატიოსანი და ჭკვიანი კაცი. ეს კაცი ქვრივი იყო, ძალუა მართას მიეცა თავის ეზოში ორი ოთახი და იქ სცხოვრობდა თავის ორი ობლით; ძალუა მართა არც ერთ თავის საქმეს ისე არ დაიჭერდა, რომ ამას არ დაჰკითხებოდა. ესლაც ამათი მრჩეველი და გზის მაჩვენებელი კასილი იყო. დარიგომ მაშინვე ამის რჩევით აფრიანა ერთი წერილი კოლასთან, მეორე უნცრის ძმასთან, სვიმონთან, სადაც თავის გაჭირებულ მდგომარეობას აუწყობდა, უჩიოდა რძალს, ცუდად ეხსენებდა ამას და სთხოვდა ჩემი წილი ფული თუ მამული მომეცითო, მაგრამ თვლიგოს დასწრო ამისთვის და ოსტატურად აუწერა მეულის სახლიდამ გასვლა. ორივეს თვლიგო უფრო შეებრალათ. სვიმონი იმდენი ხნის მოშორებული იყო თავის ოჯახს, რომ ალარც დის ამაგი ახსოვდა და ალარც რაიმე სიყვარული გრძნობდა და მაშინვე უპასუხა დარიგოს: «შენ და კოლამ იცითო, ამისთვის მიმინდვია ყველაფერი, იმედი მაქვს არ დაგჩაგრავს და თვლიგოსთან მოგარიგებს. მე არც კი მოვიცდები ამ ორსამ წელიწადს მანდ მოსვლა.» სვიმონს საფერავიც ჰქონდა ძმასთან, რადგან პეტერბურგში მდგომს და ქეიფის მოყვარულს სვიმონს ბევრი ხარჯი უნდებოდა და წამ და უწუმ

სთხოვდა კოლას ფულს. თალიკომ მისწერა თავის ქმარს თავისებურად ყოველივე ამბავი, ისიც ჩამოიწერა ქალაქს, ჯერ ცდილობდა ცოლის და დის შერიგებას, თალიკომაც მოიკითხა თავი, ვითომ თითონაც ძალიან უნდოდა შერიგება და თან ეი საზარელ ხმებს ავრცელებდა მუდზედ; ქვეშ-ქვეშად, რასაკვირველია, დარიგოსთან მიგვიჭირდით ყველა იმის ნალაპარაკევი და ამისა გამო გაშფოთებულმა დარიგომ გადაწერით შეუთვალა შერიგებაზედ უარი. ამაზედ კოლა ძალიან გაჯავრდა და ცოლის წაქეზებით შეუთვალა დას: «გათხოვდი და მზითევს მაშინ მოგცემო, თორემ ვერას მიიღებ ჩემგანო.

დარიგო შესჩვეოდა იმ აზრს, რომ იცან ეიანიჩი შეირთავდა, და დღე და ღამ სულ ის ელანდებოდა, მაგრამ რას გაუწყობდა, ანც კი იცოდა იმისი ბიანა, რომ შეეტყობინებინა თავისი გარემოება. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა, მაცდურმა დასძლია დარიგოს და მისწერა იცან ეიანიჩს სახლის დატოვების მიზეზი, რომ ვითომ მე და ჩემს რძალს ხასიათები სხვა და სხვა ნაირი გვქონდა, ერთად ვერ ვთანხმდებოდითო. ესლა ძალუასთან ვარ და, თუ ისურვებთ და მნახავთ, ძალიან დამაკლებთ, რადგან ესლა ჩემთვის ძვირფასი არიან მეგობარნი და მრჩეველნიო. გაკვირდა ერთი თვე და იცან ეიანიჩი არსად იყო, დარიგოს ეგონა, უთუოდ ჩემი ბარათი არ მისულიაო და ერთხელ, როდესაც შორიდან დანახა, ის იყო ენდა მიგვებებოდა, მაგრამ იცან ეიანიჩმა გზა აუქცია. საქმე ცუდად იყო, ენდა გამოსალმებოდა ამ უკანასკნელ ამბავსაც. რაღა თქმა უნდა, რომ თალიკოს გაიძვერობამ მიაწერა იცან ეიანიჩის პირის მოშიდება. თუმცა თალიკოს ზირგულმა ენდოდა მუდის მითხოვებას, მაგრამ მაშინ სულ სხვა საქმე იყო: ჯერ ერთი, რომ დაკვლებდა მუდს, მერე საძეს ბევრს დაკარგებოდა და მცირეთი დაიყოლიებდა და გაჩდა მაგისა,

ეკეღლას ბატიოს დაამსახურებდა მუღლის დასახღების გამო. ეხ-ღა კი, ჩხუბის შემდეგ, საქმე სხვა ნაირად წავიდა. თუ იკან ივანიჩი შეირთავდა დარიგოს, ხომ ჯობრით მთლად დაპირებულ მზითვს დაკთვლეინებდენ. ამიტომაც ამ დღიდამ, რა დღიდამაც ამით ჩხუბი მოუვიდათ, თავდიგო ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ივან ივანიჩს გულშიაც ალარ გაეტარებინა დარიგოს შერთვა; იმდენი ეშმაკობა ისმარა, რომ დაიახლოვა ერთი ქალი, რომელიც დადიოდა ამ სახლში, სადაც ივან ივანიჩი შინაური იყო და იმის შემწეობით დარიგოზედ გული აყრევინა ყოველისაც ქალების მოძულე ივან ივანიჩს.

ამის შემდეგ დარიგომ გათხოვება სრულებით გულიდამ ამოიღო, ნაღვ�s გონებაც დაკარგვინა, ისე გაშმაგებული იყო, რომ თითონაც არ ესმოდა, რას სჩადიოდა და, წამ და უწუმ ლანძღვის წიგნებს სწერდა თავდიგოს და უშვერი სიტყვებით ეხსენებოდა რძალს. თავდიგო ხმა ამოუღებლივ ამ წერილებს გარდასცემდა კოლას და ისიც გაბრაზებული უთვლიდა თავის დას, რომ ღმეის იქით იმასაც ალარ მოგცემ, რასაც ნებით გაძლევდიო, ს

უნდა განიარაღებულიყო კაჟი და ქალი? თუ არა ქალს ხომ უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს? შესაბამოდ დარიგო ყველა ნაცნობს და უცნობს.

ჯავრმა და ნაღვლმა სრულიად შეიპყრა, ბოლოს გაზეთით უნდოდა გამოეცხადებინა თავისი მდგომარეობა, მაგრამ ყველა იშორებდა იმას თავიდამ, ზოგი ამბობდა: «ეგ შინაური საქმეაო» ზოგი კი ეუბნებოდა: ღმერთს ძალლობა უთხარი, რომ თავის თავად მეთოთხმეტედი მოგცეონო, თორემ დიდ ხანს გასწვესო და კვქილს გარდა, თითონ სასამართლოშიაც ბევრი ხარჯი მოგინდებაო. მწარედ დაეიქრდა დარიგო, შერიგება შეუძლებელი იყო; ის კაცი, რომელიც ჰქონდის იმედით ეგულებოდა—ესლა შეიზიზღა, თანაც საამაყით ძალუას ლუკმა ყელზედ აღგებოდა. ერთი გზა-ღა იყო, რომ ძალუას სამუდამოდ ტკბილთად არ გამხდარიყო, ამიტომაც ერთს უცნაურს გადაწყვეტილებას დაადგა. ამ გადაწყვეტილებამ, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა დარიგო. ამის შემდეგ სულ ორ-სამ დღეს არ გაეკვლო, რომ ერთ დილით ძალუა მართამ არა ჩვეულებრივად მორთულმა და მხიარულმა გასწია კოლასაკენ. თავიდგან არ მოელოდა იმას, რადგან იშვიათად დაიარებოდა ამითთან და, რაც ოჯახიდამ დარიგო გასულიყო, ხომ სულ არ გაეკვლო.

— ბევრი ლაპარაკით თავს არ მოგაწყენთ, სთქვა ძალუა მართამ შესვლის უმალვე,—დრეა ბოლო მოუღოთ თქვენ განხეთქილებას, დარიგომ საქრმოდ იშოვა და ბა, რასაც სვინიდისით ამლევი და რასაც იმეტებთ, მითხარით.

— ივან ივანიჩს ერთავს? წამოიძახა მოუთმენლად თავიგომ.

— ვისაც ერთავს, მერე შეიტყობთ! სთქვა მკაცრად ძალუამ.

— მე მინდა შეგიტყო თქვენგან, ამლეგთ იმ მზითევს, რასაც განსვენებული დედ-მამა დაპირებული იყო?

— რას ვერჩი, რატომ არ მიგცემ თავისას, ოღონდ კი გათხოვდეს და კარ და კარ ნუ იკლიის. მე იმიტომ კიუკვ უარზედ ვქამდაის, რომ ვშიშობდი, დარიგომ მზითევი არ დასარჯოს და მეორედ ჩემი შესანახავი არ გახდეს მეთქი—სთქვა თავ-ჩალუნულმა კოლამ.

ამან სრულიადაც ვერ შეამჩნია, ცოლი როგორ იბრიცებოდა და ანიშნებდა რაღასაც.

— მაშ ათას თუმანს აძლევ შენ დას?

— ფულად არა მაქვს, მაგრამ თამასუქს კი მიგცემ.

— მსოლოთდ თუ გათხოვდება, განა, კოლა!

მართამ ყური არ ათხოვა თავლიგოს სიტყვებს, ჯიბიდამ ამოიღო ქაღალდი და ისე ოსტატურად მისცა კოლას, რომ თავლიგოს ვერ მოესწრებინა იმის შინაარსის შეტყობა.

— წაიკითხე და თუ ყაბულსა ხარ, მოაწერე ხელი. სთქვა ღიმილით ძალუა მართამ და ერთი თვალით გადახედა თავლიგოს. კოლამ გადიკითხა და კალამი აიღო ხელის მოსაწერად. თავლიგომ ვეღარ მოითმინა, წამოხტა, მიკიდა ქმარიან, კითომ და ხუმრობით მოსტაცა კალამი და უთხრა: განა მე მეწყინება დარიგოს გათხოვება, რომ არ მეუბნები, კის ერთავს? და თვალ-ცრემლიანმა გაიშვირა ხელი ქაღალდისკენ, მაგრამ გადაავლო თვალი თუ არა იმ ორიოდე სიტყვას, გაკვირებისაგან ქაღალდი ხელიდამ გავარდა. იმაზედ ეწერა მხოლოდ შემდეგი: მოვალე ვარ მიგცე ჩემ დას დარიგოს მზითვად ათასი თუმანი, ჯვარის წერის შემდეგ, საყდრიდამ დაბრუნების დროს. ცოლქმარნი ისე გაშტერებული იყვნენ ამ სახელის გამოუცხადებლობით, რომ ვერ მოახერხეს ვერც უარის თქმა და ვერც გა-

მოკითხვა. კოლამ მოაწერა თუ არა ქალაქდს ხელი, ძალუა მართამ მაშინვე ჩაიდო ჯიბეში და ლიმილით გასწია შინისკენ.

სულ არ გაკვიდა ორი დღე, რომ კოლას მოუკვიდა შემდეგი ბარათი: ალმალამ შვიდ საათზედ დარიგო ჯვარს აწერს, თქვენც უნდა უეჭველად დასწროთ და ან თუ, ან თამასუქი მზითვისა თან მოიტანოთ. ძალუა თქვენი მართა.» ეხლა კი ხუმრობას ადგილი ალარ ჰქონდა. ესენი ბარათის წაკითხვის შემდეგ გაოცებულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ. ძალუა მართას წასვლის შემდეგ თალიგოს ერთ წუთსაც არ მოუსვენია, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ამ საქმის დასაშლელად. ჯერ კოლას ჩამოუგდო სიტყვა თამასუქის მიცემაზედ, მაგრამ რაკი ქმარმა უთხრა რომ არას დროს სვინიდისს არ გადავა და მისცემს დაპირებულს, მერე შეუდგა გამოძიებას თუ დარიგო ვის ერთვოდა, თუმცა ამაზედ კი ბევრი მოსვენებით ჰქონდა, რომ ვინ იცინი არ იქნებოდა ამითი სიძე და თუ თალიგოსთან არ დაიარებოდა, ხომ დარიგოსაც სრულებით არა ხედავდა. ამაში დარწმუნებული იყო, მაგრამ ვინ იქნებოდა დარიგოს საქმრო? ყველას ჰკითხავდა, ბოლოს კოჭლ ვასილთანაც მიგზავნა საკითხავათ, მაგრამ თურმე არც სხვებს და არც ვასილს არა სცოდნოდა. წარმოიდგინეთ მკითხველო, ქმრის დაბრუნებამდის, რა ლამეს გაატარებდა თალიგო; ოაკი არ დაიმდაბლა, თორემ საყდარში მიეჭრებოდა.

***

თუთის ხესთან, დარიგოს ქორწილის მეორე ღამეს, მთვარეს კაშკაში გაჭენდა, მეზობლობას აქ თავი მოეყარათ და გაცხარებული განგაშობდნენ.

— ჯიბრის საქმეა, მაშ რა არი, თორემ ამ კოჭლს, მახინჯს, ორი ობლით დარიგო როგორ შეირთავდა. მერე

ათასი თუმნით! ამბობდა თეკლე, დურგლის ცოლი.

— ფერი ფერისაო და მადლი ლმერთისაო, თითონ დარიგო ნასლა, ოცდა ათი წლისა და მეტისაც იქნება. საცოდავად დამჯენარა, ოსრად დადიოდა, სთქვა დალაქიანთ მახსს ცოლმა.

— კითოამ უკეთეს კი ვერ იშოვიდა ის დალოცვილი, ოღონდ კი შეეტყოთ, რომ ათასი თუმანი ჭქონდა, თორემ ათასი მოინდომებდა. წამოაძახა თეკლემ.

— ვინაცვალე გამჩენს, დაიძახა ბანოშამ ფერ ქათიბიანმა მოსუცმა,—დამრჩა რძალი ბერში ჩალა-გაკლებული. საბრალო დარიგო! აბა ასეა უპატრონობა, ერთი მოსწრებოდა ცხონებული ბარბარე!

— ვინც რა უნდა სთქვას, ქალებო, დარიგო კი გმაყოთეილია! ბანა მაინც იშოვა თავისთვის, სთქვა ხარხარით სოფეგომ.

დარიგო სრულიად დამშვიდებული იყო; ბუნებით დაჩაგრულს ვასილს მხარში ამოუდგა და ამას ობლებს ნამდვილ დედობას უწევდა. ვასილი ისე სიყვარულით და მოწიწებით შესცქეროდა თვალებში, რომ დარიგოს საგრძნობელადაც არ ჭქონდა, რომ თავი ვასილს უმსხვერპლა.

ან. თუმანიშვილისა.

კოლუმბი

და

მისი ღვაწლი.

(დასასრული *).

V

1493 წ. კოლუმბი ხელახლა გამოეწყო სახელმწიფოს ხარჯით და წავიდა სამგზავრობად, რომ უწინდელი ნაპოვნი ქვეყნები დაეთვალიერებია და ახლების პოვნასაც შესდგომოდა. მგრამ ეხლა მისი მოგზაურობა სულ სხვა ნაირი იყო, ვიდრე პირველად. მაშინ მისი წაყოლა არავის არ უნდოდა, ეხლა კი ძლიერ ბევრი ეხვეწებოდნენ კოლუმბს, წაგვიყვანე ჩვენი ხარჯითაო. კოლუმბი იძულებული იყო ბევრისთვის უარი ეთქვა, მაგრამ მაინც კიდევ ათას-ხუთას კაცამდის შეიკრიბა. 25-ს ენკენისთვეს გამოვიდა ის კადიკსიდამ. მის ფლოტს შეადგენდა სამი დიდი და თოთხმეტი პატარა გემი. კოლუმბმა და მისმა თანამოგზაურებმა ერთი თვე მეტი იარეს ოკეანეში. გზაზე ბევრი გაჭირვება გამოსცადეს ცუდი ტარიფისა და ლელვისაგან. 2-ს ნოემბერს მოგზაურები მიადგნენ ერთ უცხო კუნძულს, რომელსაც კოლუმბმა დომინიკო დაარქვა. მეორე დღეს

---

*) «ივერია» №№ 4 და 5, 1885 წ.

ჯიდევ სხვა შვიდი ასსლი კუნძული იპოვა კოლუმბმა. ეს კუნძულები იგუთვნოდნენ ანტილიის მშვენიერ კუნძულებს. 4-ს ნოემბერსაც ერთი სხვა კუნძული იპოვა და წმ. მარიამ გვადელუპელის სახელი უწოდა. ამ კუნძულის მცხოვრებლები ნამდვილ კაცის მჭამლები იყვნენ. როგორც ალმოჩნდა, ისინი სშირად დადიოდნენ თავიანთ პატარა ნავებით სხვა კუნძულებზე, იტაცებდნენ ადამიანებს და სჭამდნენ. ისინი, თუმცა, ომაწყვიტებლების ჭამას უფრო ეწყობოდნენ. ამით ქოსებში ევროპიელებმა ბევრი ადამიანის ძვლები იპოვეს. როცა აქედან წავიდა კოლუმბი, გზაზე ბევრი კუნძული შეხვდა, რომლებიც მოცულნი იყვნენ მშვენიერი ტყიანი მთებით. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ის კუნძული, რომელსაც ეხლა პორტო-რიკოს ეძახიან. ამ კუნძულებზე კოლუმბი დიდხანს არსად არ დარჩენილა, რადგანაც სან-დომინგოს კუნძულზედ მიეშურებოდა, სადაც მან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, პირველ მოგზაურობის დროს ციხე აშენა და ოცდა ათი ესპანიელი დასტოვა. 22-ს ნოემბერს კოლუმბი მიადგა ალმოსავლეთის მხრით ამ კუნძულს და საჩქაროდ წაიღა, რომ გაეგო, რა მდგომარეობაში იყო მისგან დატოვებული ციხე და ხალხი, მაგრამ, მისდა საძოსაროდ, არც ციხე დახვდა და არც ერთი კაცი ცოცხალი; ისინი ყველანი გაეწყვიტათ იქაურ მცხოვრებლებს. ამის მიზეზი აი რა იყო. როცა კოლუმბი იქადამ წამოვიდა, იქ დატოვებულმა ესპანიელებმა დაუწყეს ხალხს უსამართლოდ მოპყრობა; ისინი ართმევდნენ მათ ძალით ქალებსა და საცხოვრებელს. ამ გვარი უსამართლო მოქმედებით მკვიდრნი მოთმინებიდამ გამოიყვანეს, და ამიტომ ციხეც დასწვეს და ისინიც ამოსწყვიტეს სრულიად.

გაჯავრებულმა კოლუმბმა თავი დანება იმ ადგილს, სა-

დაც უწინ ცოხე ააშენა, სსვა მშენიერი ადგილი ამოარჩია და აქ დაიწყო ქალაქის გაშენება, რომელსაც სახელად იხაბელა უწოდა. აქ მან დასცალა თვისი კემები და ზოგნი მათგანი გაგზავნა უკან ესპანიაშია. თან მისწერა წერილი მეფესა და დედოფალს, რომლითაც აუწყა თვისი მეორე მოგზაურობის გარემოება და ახალი ქვეყნების პოვნა. ესპანიელებს ასე ეგონათ, რომ კემები ახალი ქვეყნებიდამ ოქრო და ვერცხლით დატვირთული დაბრუნდებოდნენ, მაგრამ მოსტყუვდნენ. ოქრო და ვერცხლის ნაცვლად კოლუმბმა ბევრი ინდიელები გაგზავნა და ურჩია ხელმწიფეს, რომ ისინი გაეცვალათ, როგორც მონები, პირუტყვებში და სხვა ნივთებში, რომლებიც საჭირო იყო კოლონიელებისთვის. მომავალშიაც აღუთქვა მათ კოლუმბმა მრავალი დატყვეებული ინდიელების გამოგზავნა გასასყიდლად, მაგრამ ეს საზარელი წინადადება და რჩევა კოლუმბისა სამართლიანად ურჩ-ყო ესპანიის ხელმწიფეს, თუმცა კი კოლუმბი კიდევ თავისას არ იშლიდა.

ქალაქი «იზაბელა» მალე გაშენდა და გადიდდა. მაგრამ ამ ხალხს, რომელიც კოლუმბს წაყვა, ასე ეგონა, ახალ ქვეყნებში ოქრო და ძვირფასი ქვები ხელით მოსაბოლნი იქნებოდენ, ეს კი არა და; მათ იქაც ისეთი შრომა მოუნდათ, როგორიც თვის საშობლოში ეჭირვებოდათ. ამ მიზეზისა გამო ძლიერ უკმაყოფილო დარჩნენ და ზოგიერთებმა მასცეს ჩუმად პირობა ერთმანეთს, რომ ცილის-წამებით დაემცირებათ კოლუმბი ესპანიის მთავრობის წინაშე. ამას გარდა მათ შეადგინეს შეთქმულობა მეტოებათ კოლუმბი და ჩუმათ წასულიყვნენ ესპანიაში ამ ოთხი გემით, რომლებიც კოლუმბმა თან დაიტოვა. შემთქმელების თავ კაცად იყო ექსპედიციის კანტროლერი კიდეც ბერნარდ დიაკი. მაგრამ ამბოხება გამო-

ამკარავდა, და დამნაშავენი, თუმცა ადვილად, დასაჯა კოლუმბმა.

როცა კოლუმბი ამ საქმეს მორჩა, შაუდგა ნაბოვან კუნძულებზე მოგზაურობას, რათა უფრო კარგად გაეცნო მცხოვრებლები, მათი ხასიათი, ზნე და ჩვეულება. აღმოჩნდა, რომ იქაური ხალხები არ იყვნენ მოგლეჯულნი საწყმუნოებას: მათ სწამდათ მაღალი, უხილავი და ყოველის შემძლებელი არსება, რომელსაც ეკედრებოდნენ ზემეს ანუ სულების შუამდგომლობით. ყოველ ხალხს, ყოველ ოჯახს, ყველა თავისი მფარველი ზემე, როგორც ჩვენ მფარველი ანგელოზი. იმათ ჭქონდათ თავისებური სწავლა და წარმოდგენა ქვეყნის გაჩენაზე, წარღვნაზე, ადამიანის სულზე და მის მდგომარეობაზე ხორცთან გაყრის შემდეგ. 24-ს აპრილს კოლუმბი კუბის კუნძულის დასათვალიერებლად წავიდა. მაგრამ ის კიდევ იმ აზრისა იყო, რომ კუბა ჩინეთის ნაწილია. იქაურმა მცხოვრებლებმა პატივ-ცემით მიიღეს კოლუმბი. შემდეგ ამასა კოლუმბმა იპოვა ერთი ყოველის მხრით მშვენიერი კუნძული, რომელსაც, იამაიკის კუნძულს ეძახიან. ეს კუნძული იყო შემკული მშვენიერი ტყეებით და ნაყოფიერი ველებით, რომლებშიაც მოფენილი იყო კარგად გაშენებული სოფლები. აქაურმა ბუნებამ ალტაცებაში მოიყვანა კოლუმბი და მისი თანამხლებელნი, მაგრამ მცხოვრებლები კი მტრულად დახვდნენ და დაუწყეს ისრების სროლა. ესპანიელები გაიდნენ კუნძულის ნაპირზე და შემდეგ რამდენიმე სროლით გაიქცეს ისინი. მეორე დღეს მოვიდა კოლუმბთან ექვსი კაცი, რომლებიც გამოგზავნა იქაურმა კაციგამ მორჩილების გამოსაცხადებლად. კოლუმბმა პატივის-ცემით მიიღო მოციქულები და კაციგს საჩუქრები გაუგზავნა. იამაიკის მცხოვრებლები უფრო მაღლა იდგნენ გონების

განგითარებითა და ცოდნით, გიდრე სხვა კუნძულების ველური სალხები. ამათ ჭქონდათ დიდრონი ნაგები, შემკული ნახატებითა და ქანდაკით. იამაიკის კუნძულს გარდა, სხვაც ბევრი პატარა კუნძული იპოვა კოლუმბმა ამ დროს და შემდეგ ისევ იზაბელას ქალაქს დაბრუნდა, სადაც მისი ძმა ბართოლომე დახვდა, რომელიც ის იყო ესპანიიდამ მოვიდა. მაგრამ კოლუმბის დაბრუნებამდე კალონიელებსა და ინდიელთ შორის დიდი ბრძოლა გაემართა, რადგანაც პირველები ძლიერ სასტიკად და უსამართლოდ ეპყრობოდნენ უკანასკნელებს. კოლუმბი იძულებული იყო ომი გაემართა ინდიელებთან; მან რასაკვირველია ძალა და დიმორჩილა ისინი, დიდი გადასახადი დაადო და ამას გარდა, ერთი კაციც შაიპყრა თავისი სახლობით და ესპანაში გაგზავნა ტყვედ. შემდეგ ამისა ინდიელები შეშინდნენ და დიდ ხანს ველარ ბედავდნენ წინააღმდეგობას, თუმცა ეგრეპეელნი საშინლად ავიწროებდნენ მათ.

ცოტა ხნის შემდეგ კოლუმბს მოუვიდა ესპანიიდამ ოთხი გემი, დატვირთული სასმელ-საჭმელით და სხვა საჭირო ნივთებით. ამას გარდა მან მიიღო წერილი, რომლითაც ესპანიის ხელმწიფე მადლობას უცხადებდა და სთხოვდა მალე დაბრუნებულიყო ესპანიაში. მაგრამ მაშინ კოლუმბი ავად-მყოფობდა და ამიტომ თვითონ ვერ წავიდა; თავის ნაცვლად მან გაგზავნა თავისი ძმა და გაუგზავნა ხელმწიფეს რაც კი ახალ ნაპოვნ ქვეყნებში იქრა და ვერცხლი მოაგროვა. ამას გარდა გემები, რომლებიც მან ესპანაში გაგზავნა, დატვირთული იყვნენ უცხო და ძვირფასი მცენარეებით და სხვა და სხვა ნაირი ხილით. ამასთანავე გაგზავნა მან ესპანაში ხუთასი დატყვევებული ინდიელი, როგორც მონები, გასასყიდლად.

თვითონ ესპანაშიც კოლუმბს ბევრი მოშურნე მტრები

ჭეშვედა, რომელთაც შეერდათ მისი მოულოდნელი ამბღლება. ასანი სცდილობდნენ ცუდი ხმები გაეგრცელებინათ კოლუმბზე და მის უსამართლოებაზე ხალხში და ხელმწიფესთანაც დაუწყეს მას დაბეზღება. ასალი ქვეყნებიდამაც ბევრი დაბეზღების სიტყვები მოსდიოდა მთავრობას კოლუმბის მტრებისაგან. ამას ისიც ზედ დაემატა, რომ კოლუმბი არ იშლიდა ინდოელების გზავნას ისპანიაში გასასყიდად, რაც არ მოსწონდა, როგორც ეცოთ, განსაკუთრებით ღვთის შოყვარე დედოფალ იზაბელას. ეკელა ამ მიზეზების გამო ხელმწიფემ ცოტად გული აიყარა კოლუმბზე, ეწყინა მის მოქმედებაზე და ამიტომ გადასწყვიტეს გაეგზავნათ სანდო პირი საქმის გამოსაძიებლად. ამ საქმისთვის ამოირჩიეს მათ საკუთარი სალი-ხუცესი ანუ ეკურატპალატი (კამერგერი) ხუან-აგუადო.

როცა ის იზაბელას ქალაქში მივიდა, გამოაცხადა, რისთვის და რა მინდობილობით იყო გაგზავნილი. ამას გარდა მან თვითონ მიიღო ქალაქის მმართველობა და შაუდგა საქმის გამოძიებას. ამ დროს კოლუმბი თვითონ სხვაგან იყო წასული და ქალაქის მმართველად მისი ძმა ბართოლომე იყო. ხუან-აგუადომ გაგზავნა გემი კოლუმბის საპოვნელად და მოსაყვანად. კოლუმბის მტრებმა, რაკი გაიგეს, რომ ხელმწიფის გამოგზავნილი კაცი მოვიდა საქმის გამოსაძიებლადო, მაშინათვე ყველამ საჩივარი შეიტანა მაზედ. მაგრამ ყველა საჩივრებზე უფრო სამართლიანი თვითონ საბრალო ინდოელების საჩივარი იყო, რომელთაც განაცხადეს უკმაყოფილება თავიანთ საშინელ მონებრივ მდგომარეობაზე. ხუან-აგუადომ, როცა მოისმინა საჩივრები და გაათავა საქმის გამოძიება, მოინდომა ეკან დაბრუნება. კოლუმბმა კარგად იცოდა, რომ ამ საქმით ესარგებლებდნენ ისპანიაში მყოფნი მისნი მტერნი და ამიტომ

თვითონაც წასვიდა იქ. ეს ამბავი იყო 10 მარტს 1496 წ. ქალაქის და კალთიის მმართველად ისევ კოლუმბის ძმა ბართოლომე დასტოვეს. როცა კოლუმბი ესპანიაში მივიდა და მეფე-დედოფალმა იხილეს ეს გათეთრებული, მშვენიერი და შრომისგან დაუძლურებული მოხუცი, რომელმაც ამდენი დვაწლი დასდო, როგორც ესპანიას, ისე მთელ კაცობრიობას, დაიკოწეს ყველაფერი და ისევ დიდის პატივისცემით მიიღეს. კოლუმბმა დაწერილებით უამბო მათ ყოველივე განცემული მეორე თავისი მოგზაურობისა და ახალი ქვეყნების პოვნისა. ხუან-აგუადოს მოხსენებას კოლუმბზე სიჩაგრების შესახებ ხელმწიფემ ყურადღებაც არ მიაქცია.

VI

კოლუმბმა, რაკი დარწმუნდა, რომ მეფე და დედოფალი ისევ უწინდებურად სწყალობდა, ხელახლა მოინდომა წასვლა ახალ ქვეყნების საძებნელად და ამისთვის სთხოვა მათ ახალი ექსპედიციის მოწყობა. ისინი თანახმა გახდნენ და დაუნიშნეს ამ საქმისთვის ათას ას ოთხმოცდა ათი თუმანი. მაგრამ ესპანიის პოლიტიკური მდგომარეობა მაშინ ისეთი იყო, რომ კოლუმბმა ხაზინიდამ დანიშნული ფული დიდ ხანს ვერ მიიღო და ამიტომ ორი წელიწადი დაიგვიანა ესპანიაში. ის მხოლოდ 1498 წლის 30 მაისს გაძოვიდა ესპანიიდამ ექვსი გემით და საკმარო ხალხით. სწორედ ერთი თვის შემდეგ კოლუმბი, რომელმაც გზაზე ძრიელ ბევრი გაჭირვება გამოცადა, მიადგა ერთ მშვენიერს, ფერად ნაყოფიერს და გაშენებულ კუნძულს, რომელსაც მან სამების კუნძული დაარქვა

(ტრინიდადი). პირველად მარიამბის თვეს იპოვა მან სხვა ახალი ხმელეთი, რომელზედაც ერთი დიდი და მშვენიერი მდინარე ჩამოდიოდა თავისი მრავალი ნაკადებით. ეს ხმელეთი, რომელიც კოლუმბს კუნძული ეგონა, იყო სწორედ ახალი მატერიკის (ამერიკის) სამხრეთის ნაწილი. მდინარეც ის იყო, რომელსაც ეხლა ორინოკოს უწოდებენ. ამ გვარად გამოჩენილმა ზღვათ მოგზაურმა იპოვა მესუთე ახალი ნაწილი დედამიწისა, რომლის არსებობაზე არა იცოდა-რა კაცობრიობამ, და მით დაამტკიცა თავისი დაუვიწყარი და უებრო ღვაწლი, თუმცა კი თვითონ ისე ჩავიდა სამუდამოდ, არ იცოდა, რომ ამერიკა იპოვა. ის კიდევ ამ აზრისა იყო, რომ მის მიერ ნაპოვნი ადგილები ინდოეთის სხვა და სხვა ნაწილები იყო. ამ შემცდარი აზრის გამო ე�da იჭაურ მცხოვრებლებს შემცდომით ევროპიელებსაც ინდიოელები დარქვეს.

როცა მოგზაურები სამხრეთის ამერიკის ნაპირებს მიუახლოვდნენ დაინახეს კარგად შემუშავებული მიწები, ქოხები და დანთებული ცეცხლი. იქაური მცხოვრებლები უეფრო ახოვანი, ყოჩაღი და ნიჭიერი ხალხი იყო. ისინი იყვნენ დაირავებული მშვიდად-ისარით. ქალები ეკვდა ტიტოლები იყვნენ, მამა-კაცებს კი რალაც ქალალდის მზგავსი ნაშალები ჩაქონდათ წელზე და წელ-ქვეით შამოფარული. პირველად იმათ შეუშინდათ, როცა ევროპიელები დაინახეს, მაგრამ მერმე შეგრძნეს და ალარ ეშინოდნენ! ისინი მოდიოდნენ მათთან და მოჰქონდათ საჭმელ-სასმელი. უკანასკნელი ლუდისა და არაყის მზგავსი იყო. ისინი თავის ქვეყანას უწოდებდნენ „პარიას“ (ეხლანდელი გუნესუელა).

როცა კოლუმბი ცოტა წინ წავიდა. მივდგა ერთ კონცხს (აგუხას), სადაც ნახა მშვენიერი ბუნება, შემკული ვაზებით,

ყვავილებით, სხვა და სხვა ფერის ფრინველებით, მშვენიერი ნაკარა მდინარეებით და სუბუქი ჰაერით და სხვ. კოლუმბმა ამ მშვენიერ ადგილს ბალები დაარქვა. მცხოვრებლები მიეგებენ მათ კარგა გაკეთებული ნავებით. ზოგნი მათგანნი იყვნენ შემკულნი ოქროთი და მარგალიტებით. ეს ამბავი ძლიერ ანძათ ესპანიელებს და გამოკითხეს, სად ბოულოდნენ ესენი ოქროსა და მარგალიტებს. იმათაც სიამოვნებით შეატყობინეს. მაშინ კოლუმბმა გაგზავნა რამდენიმე კაცი დაწერილებით ცნობის შესაკრებად, რომ ესპანიელები ზღვიდამ ნაპირზე გავიდნენ, მათ მოეგება ამ ქვეყნის კაცი თავისი მემკვიდრით და ამალით. დაპატიჟა კოლუმბი და მასთან მყოფნი თავის სასახლეში (დიდი დარბაზი იყო) და გაუმასპინძლდა. ნადიმობის დროს ერთი მხრით ჩამწერიებული მამა-კაცები ადგენენ თავს ესპანიელებს, მეორე მხრით—დედა-კაცნი. შემდეგ კოლუმბი დაპატიჟა მემკვიდრემ და, მანაც ისეთივე პატივი სცა. ეს ხალხი, თუმცა ტროპიკების წრეში სცხოვრებდა, მაგრამ უფრო თეთრები იყვნენ, ვიდრე იქაური სხვა ხალხები. სტუმრით მოყვარე მასპინძლებმა მიანიშნეს თავიანთ უცხო სტუმრებს ყველაფერი, რაც კი მათ მოსწონდათ: ოქროები, მარგალიტები, მშვენიერი ბაიუშები და სხვ. ამ დროს კოლუმბი ფქიანოდ შეაქმნა და ამიტომ მან დასტოვა ბალები (პარია) და 10-ს მარიამობისთვეს ოზაბელას ქალაქში წავიდა. მას სურდა ცოტა დესვენა შემდეგ დიდი ხნისა და ძნელ მოგზაურობისა. მაგრამ ვერ ელირსა საბრალო: კალთანა საშინელ ცუდ მდგომარეობაში დაუხვდა. — კალთანიელნი, რომლებიც აქ დესახლნენ, გაზარმაცდნენ, გაიროვნენ და განცხრომას მიეცნენ. ენდოდათ ყველაფერი ინდოელებისათვის გაკეთებინებათ, რომლების დამონავებაც მოინდომეს. ამას გარდა თვითონ მათ

შორის ტუდა მტრობა, უთანხმოება, ურჩობა და ბრძოლა. ინდოელებმაც ვერარ გაუძლეს ამდენ უსამართლობას, დაუწყეს ბრძოლა თავიანთ მტარვალებს, და ამ ბრძოლაში ბევრი მათგანი ამოწყდა. ვინც გარდარჩა, ტყეებში, მთებში და გამოქვაბულ ადგილებში იმალებოდნენ. ამ გვარად მუშობა შეწყდა, კოლონია დაეცა და ამას სიმშიერეც თან მოჰყვა. როცა კოლუმბი კოლონიაში მივიდა, ზოგიერთი კოლონიელები აჯანყდნენ, დაანებეს კოლონიას თავი და სხვაგან წავიდნენ. კოლუმბმა ბევრი ეცადა შეერიგებია ისინი, მაგრამ მათ ეარი განაცხადეს. ეს ამბავი კოლუმბმა მისწერა ისპანიის ხელმწიფეს.

იმ დროს, როცა კოლუმბი ესეთ ცუდსა და გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მისი მოშურნე მტრები ისპანიაში არ ისვენებდნენ. ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ და ყოველ გარემოებით სარგებლობდნენ, რომ, როგორმე, ცუდი აზრები შთაეგონებინათ ხელმწიფისთვის კოლუმბის მოქმედების შესახებ, და კიდეც მიაღწიეს თავიანთ წადილს. თვითონ კარლოს ფერდინანდს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბევრ საუნჯეს მიიღებდა ახალ ნაპოვნ ქვეყნებიდან და გამდიდრდებოდა მისი ხაზინა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ ჯერ-ჯერობით, ხარჯის მეტი არაფერი გამოდიოდა კოლუმბის მოგზაურობისაგან, მან გული აიყარა მასზე. მეორე მხრით მაშინ დედოფალი იზაბელაც უკმაყოფილო იყო კოლუმბის მოქმედებით, რადგანაც მან არ მოიშალა ინდოელების მონებად გაგზავნა ისპანიაში. ყველა ამ მიზეზების გამო, ფერდინანდმა და იზაბელამ გადასწყვიტეს ჩამოეხადათ კოლუმბისთვის ის უფლები, რომლებიც მას ჰქონდა მინიჭებული პირობის ძალით. მართალია ამ საქმის აღსრულება ადვილი არ იყო, მაგრამ მათ ისარგებლეს კოლუმბის წერილით, რომლითაც ის

თვითონ სთხოვდა ხელმწიფეს, რომ მათ დაენიშნათ და გაეგზავნათ ერთი კეთილ-სამეფო პირი, რომელსაც უნდა გამოეძიებია და განეხილა ის საქმე, რომელიც კოლუმბსა და მის მოწინააღმდეგეთ შორის იტყდა. ამ საქმისთვის მათ ადრიჩიეს და გაგზავნეს ერთი დაახლოებული პირი, რომელსაც ბობადილია ერქვა. ამ კაცს ზოგიერთი მწერლები აქებენ, სხვებს კი გამოუტყვიათ იგი თავ-მოყვარედ, უსამართლო და პირმოთნე კაცად. მაგრამ ჩვენ თვითონ მისი მოქმედებიდამ ადვილად დავინახავთ, რაც კაცი ბრძანდებოდა.

ხელმწიფეს გაგზავნილი კამისარი ბობადილია მიეიდა სან-დამინგოში მარიამობის თვის გასრულს, 1500 წ. როცა ის იზამელას ქალაქის ნავთ-საყდურში გაჩერდა, დაინახა ნავპირზე ასპანიელი, ჩამოკიდებული სახრჩობელაზე. მან შაიტყო აგრეთვე, რომ იმავე კვირაში დასაჯათ საკვდილით შვიდი კაცი მეამბოხეთაგანი, და ხუთსაც გადაწყვეტილი ჰქონდა დასჯა. ამ ამბავმა ძალიან გაარისხა ბობადილია და დაარწმუნა, რომ კოლუმბი და მისი ძმები ძალიან სასტიკად ეპყრობოდნენ კოლონიელებს. მეორე დღეს, როცა ის ეკლესიიდამ გამობრძანდა, წაუკითხა ხალხს ხელმწიფის ფერდინანდის ბრძანება, რომლითაც ის ინიშნებოდა უმთავრეს მსაჯულად და გენერალ-გუბერნატორად კოლონიაში. ხალხმა, რომელიც, მართლადაც ძალიან უკმაყოფილო იყო კოლუმბისა, ალტაცებით მოისმინა ეს უწყება. შემდეგ ამისა კამისარმა ბრძანა გაეღოთ საპყრობილეს კარები და გამოეშვათ ყველა ტუსაღები. ამას გარდა მან გამოსცა ბრძანება, რომ ოცი წლის განმავლობაში ყველას თავისუფლად შეეძლო ახალ ნაპოვნ ქვეყნებში ოქროს ძებნა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მეთერთმეტე ნაწილი სახელმწიფო ხაზინისთვის უნდა ეძლიათ. შემდეგ ამისა მან, სრულიად უმიზეზოდ და

საქმის გამოუძიებლად, შეიპყრა კოლუმბი და ორივე მისი ძმა-ბი, დაეგო და ბორთლომე და გაუყარა ბორკილი. კოლუმბი მაშინ სამოცდა ათი წლის მოხუცი იყო. ამიტომ ბობადილას ესეთმა სასტიკმა და უსამართლოდ მოქმედებამ კოლუმბის მოსასხარი მტრებიც კი ძლიერ გააკვირვა. როცა ბორკილი მოიტანეს, ვერა ვინ ვერ გაბედა, რომ ხელი ეხლო კოლუმბისათვის. მხოლოდ ერთმა საკუთარმა მასმა ოგუნუერმა და უსიტყვოდ მოსამსახურემ, ესპინოზმა აღსრულა ეს შემაძრწუნებელი და საზიზღარი ბრძანება. ფერდინანდი და იზაბელა, რაც უნდა მომხდარიყო, თავის დღეში ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ასე უსამართლოდ და უსიტყვოდ მოეპყრობოდნენ იმ ყოვლად შესანიშნავს და საკვირველ კაცს, რომელმაც ამდენი ღვაწლი დასდო მათ და მათ სახელმწიფოს.

ამ გვარად კოლუმბი და მისი ძმები გაგზავნა უსიტყვოდ ბობადილამ ბორკილებით ესპანაში. გზაზე კოლუმბს ბევრის ეხვეწენ წამყვანელები, ბორკილს შეგხსნითო, მაგრამ მან უარი განაცხადა. მას უნდოდა ბორკილით წარსდგენოდა ესპანეთის ხელმწიფეს.

როცა კოლუმბი ესპანაში მიიყვანეს, მან მაშინათვე მიწერა წერილი კარლოს და შეატყობინა თვისი მდგომარეობა. ფერდინანდმა და იზაბელამ დაუყოვნებლივ ბრძანეს კოლუმბის განთავისუფლება, თან სიმწუხარე და თანაგრძნობა გამოუცხადეს და მიიპატიჟეს სასახლეში, რომ რითაც კი შეძლებოდა, ნუგეში ეცათ მისთვის. როცა ესპანეთის ხალხმა გაიგო, რომ ის შესანიშნავი მოხუცი, რომელმაც ამდენი ღვაწა მათ მამულის დიდებისათვის, შებორკილი მოიყვანეს, საშინლად აღელდა და წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ უსიტყვოდ ბობადილას. ხელმწიფენი უწინდულად პატივცემით მიეგებენ კო-

ლუმბს, როცა ის სასახლეში მიგიდა, და დიდად ანუგეშეს და დაასაჩუქრეს. დედოფალმა ცრემლები ვერარ შეიკავა, როცა დაინახა გათეთრებული შესანიშნავი მოხუცი. კოლუმბსაც ცრემლები მოერია, დაიჩოქა დედოფლის წინაშე და დიდ ხანს ხმა ვერარ ამოიღო.

შემდეგ ესეთი მიგებებისა კარლოსმა კითხა კოლუმბს: «რითი შეძლია გასამოგნო და მოგსადო ის შეურაცხ-ყოფა, რომელიც შენ ესამართლად მოგაყენეს?»—სახელმწიფოს სამსჯავროს გადასწყვიტა გაეგზავნათ სან-დომინგოში ახალი გუბერნატორი, რომელსაც უნდა გამოეცხადებია მცხოვრებლებისთვის კოლუმბისა და მისი ძმების უდანაშაულობა და ესამართლად დასჯა, უნდა ებრძანებია ბობადილიასთვის დაებრუნებია კოლუმბისთვის ყველაფერი, რაც კი რამ წაართვა და თან უნდა დაესაჯა მეამბოხენი, რომლებიც მან განთავისუფლა. ამას გარდა კოლუმბს ხელახლად დაუმტკიცეს ყველა მისი უფლებები, ვიცე-კოროლობის გარდა. ახალ გუბერნატორად დაინიშნა ნიკოლოზ-დე-ავანდო.

VII

როცა პორტუგალიაში, ინგლისში და იტალიაში გაკვრა და სმა, თუ რა დიდი მნიშვნელობის შედეგი ჰქონდა კოლუმბის მოგზაურობას ოკეანეში, ბევრმა მიბაძა მას და გაუდგეს მის მიერ გაკაფულ გზას—ახალი ქვეყნების საძებნელად. ზოგიერთმა მათგანმა, მართლაც, ბევრი ახალი ადგილები გამოიკვლია *). კოლუმბი კი თვითონ ისპანიაში იმყოფებოდა და,

*) სხვა მეზღვაურების მოგზაურობაზე და ამერიკის გაშენებაზე ჩვენ მეორე წერილში ვილაპარაკებთ ვრცლად. ავტ.

რასაკვირველია, გული უკვდებოდა, რომ მის მიერ დაწყებულ დიდ საქმეს, სხვები განაგრძობდნენ. მას უნდა თვითონვე დაეგვირგვინებია ეს საქმე, ამიტომ გულმა ალარ მოუთმინა ამ საკვირველსა და დაუღალავ მოხუცს, და გადასწყვიტა ერთხელ კიდევ გამგზავრებულიყო ასალ ქვეყნების საძებნელად. მან თვისი გულითადი წადილი განუცხადა დედოფალს. დედოფალმა შეიწყნარა მისი თხოვნა და მისცა ბრძანება მოემზადებულიყო სამგზავროდ.

კოლუმბი გამოვიდა კადიქსიდამ 9-ს მაისს, 1502 წ. ოთხი გემით. როცა ის მიუახლოვდა სან-დომინგოს კუნძულს და უნდოდა ნავთ-სადგურში შესვლა, მას უარი უთხრეს და არ შეუშვეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლუმბს კიდევ ბევრი მოსასხლე მტრები ჰყვანდა აქ. სხვათა შორის გენერალ-გუბერნატორად ისევ ბობადილია იყო. კოლუმბს მეტი გზა ალარ ჰქონდა, უნდა ზღვაში გაეჩერებია თავისი გემები. ამ დროს ბობადილა სხვაგან ემზადებოდა წასასვლელად. კოლუმბმა რომ ეს შეიტყო, შეუთვალა, რომ დაიცადე, ზღვაში არ შამოხვიდე, თორემ დაიღუპებიო, რადგანაც, როგორც გამოცდილმა მეზღვაურმა, შეატყო, რომ ქარიშხალსა და ღელვარების დრო ახლოვდებოდა. მაგრამ ბობადილამ ყურადღება არ მიაქცია მის გაფრთხილებას და შეაცურა თვისი გემები ზღვაში. ბევრი ხანი ალარ გასულა, რომ საშინელი ქარიშხალი და ღელვა ასტეხა, და, მართალია, ის გემი, რომელზედაც ბობადილა და სხვაც ბევრი კოლუმბის მოსასხლე მტრები იმყოფებოდნენ, დაიღუპა. ყველა ისინი, თითქოს განგების ძალით, ჩანსთქა ოკეანემ. ერთი გემიც თვითონ კოლუმბს დაეღუპა. როცა ზღვა დაწყნარდა, კოლუმბი წავიდა ახალი ქვეყნების საძებნელად. მგზავრობის დროს მან საშინელი განსაცდელი გამოსცადა, ისე რომ

ოთხმოცდა რვა დღის განმავლობაში, ცუდი ამინდების გამო, არც მზე და არც ვარსკვლავები არ დაუნახავს. ამას მისი ავთმყოფობაც ზედ დაერთო და საზრდოც შემოაკლდათ. ამ მოგზაურობის დროს კოლუმბს თან აბლდა თავისი ცამეტი წლის შვილი ფერდინანდი, რომელსაც არათუ ეს საშინელი განსაცდელი აიტანა, არამედ ავთი-მყოფე მამასაც კი უვლიდა. ბოლო დროს, როგორც იქმნა, კოლუმბმა მიაღწია იმ ყურის (перешеекъ) ნაპირს, რომელსაც ეხლა პანამის ყურს ეძახიან და რომელიც ანრთებს ჩრდილოეთის ამერიკას სამხრეთის ამერიკასთან. მას ეგონა, რომ ამ წყლზე გადვიდოდა, მაგრამ, როცა ვერ მოახერხა, უკან დაბრუნება დაიპირა. როცა აქედან წამოვიდა, მან ძლივს მიაღწია თავისი დაქანცული გემებით იამაიკის ნავთ-საადგურში, რომელსაც ეხლა ქრისტეფორეს სახელი ჰქვია. აქ მოგზაურებს ისე გაუჭირდათ საქმე სიმშილისაგან, რომ ზოგიერნი მათგანი ალარ დაემორჩილენ კოლუმბს, აჯანყდნენ, კინალამ არ მოკლეს, მოშორდნენ თავის ამხანაგებს, რომლებმაც კოლუმბს არ უღალატეს, მოიტაცეს გემები და წავიდნენ თავიანთვიან ცალკე.

კოლუმბი და მისი ერთგული ამხანაგები საშინელ მდგომარეობაში იყვნენ. კოლუმბმა, რაკი სხვა საზსარი გადარჩენისა ალარა ჰქონდა, შეატყობინა თვისი გაჭირებული მდგომარეობა სან-დომინგოს გუბერნატორს ავანლოს. მაგრამ ერთი წელიწადი მეტი გავიდა, მინამ გუბერნატორი მიაშველებდა მას გემებს, რადგანაც მას არც კი ესმოდა, რომ კოლუმბი ცოცხალი გადარჩენილიყო. 28-ს აგვისს, 1504 წ. კოლუმბი და მისი ამხანაგები ჩასხდნენ გაგზავნილ ორ გემში და წამოვიდნენ, მაგრამ გზაზე ისეთი პირ-ქარი დაუდგათ, რომ ათს მარიამობისთვეს ძლივს მიაღწიეს სან-დომინგოს ნაპირს. აქ

კოლუმბი ეხლა უფრო კარგად მიიღო, როგორც გუბერნატორმა, ისე ხალხმაც. 12-ს ენკენისთვეს კოლუმბი წამოვიდა ისპანიაში. როცა ის იქ მივიდა, თვისი მფარველი დედოფალი იზაბელა მკვდარი დახვდა. ეს ამბავი ძლიერ ეწყინა კოლუმბს. ფერდინანდმა გულ-გრილად მიიღო და უბრძანა იმ უფლებების ჩამოხდას, რომლებიც მას მინიჭებული ჰქონდა. ამდენმა შრომამ და წვალებამ, ამდენმა უსამართლობამ ბოლო მოუღეს მოხუცებულ კოლუმბის ჯანის სიმრთელეს და გადიცვალა 1506 წ. 20 მაისს.

დამარხვეთ ის დიდი ამბით დამარხეს უმთავრეს სევილიის ეკლესიაში. მეგრამ სიკვდილის დროს კოლუმბმა თავის შვილს ანდერძად დაუგდო, რომ ის ჯაჭვი, რომლითაც ის ერთხელ შეკრული იყო და რომელიც მას შენახული ჰქონდა, საფლავში ჩაეყოლებია. მისი ანდერძი აღასრულა შვილმა. უკანასკნელი მისი სიტყვები ეს იყო: «უფალო! ხელთა შენთა შევავედრებ სულსა ჩემსა.»—ასე გათავდა ამ ყოვლად შესანიშნავი და საკვირველი კაცის ამიერი ცხოვრება.

რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისათვის კოლუმბის ღვაწლს, ჩვენ შემდეგ წერილში დავინახავთ.

ბ. წყალტუბელი.

2 აპრილს 1885 წ.

სახალხო ლექსები.

დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
ძმები ყველას მიჩრჩევნია;
ერთი ვინმე (სსვათა) უცხოს შვილი
მთელ ქვეყანას მიჩრჩევნია.

ოო მეო ქალო ქალთა მზეო,
შენი ძმებისა ლხენასა
წასქვილს ჩამამეო,
წასქვილს უკან ჭალა არის,
ჭალას უკან ტყეო,
თეთრი მგელმა შემიჭამა,
ხბო იმახის «ბეო!»
ხანულები იმახიან, «მოგვიტანე რძეო».
ალარა გვაქვს რძეო,
გადაყარეთ ჭდეო!

ატენს აყვავდა ხიდები
გარდატენს ბუდეშურები
ქალო, ერთი მაკოცნინე,
ბატონთან მიგეშურები.

ქალაქში დიდი სიონი
ბაგრატიონთა აგეს,
ქართველი რო რ—ბს დაუთმეს,
კაი რა ჭკუა წაგეს!

სიმღერა.

ბაჯო, ბეტრიკი, მშვენიერო თინა,
ცის ეთერო, ქვეყნის სარკე მინა.
ვერ ტურფავ ედემს დაგრგო ვინა,
მშვენიერო, შუქი რამ მოგფინა!
შენთვის ხელ-ქმნილს არსად მაქვს ბინა,
თუ არ შენა, შემიბრალებს ვინა.
ტრფობის მონა, შენ მიმიღე შინა
და შენს არეს მცირე მომე ბინა.
ოხრად დარჩეს ფუღი და ხაზინა,
ოღონდ ერთი შენთან მომლხინა;
თუნდა შემდეგ საფლავს ჩამაწვინა.
ბაჯო, ბეტრიკი, ჩემო კოხტა თინა!
ხელ-ქმნილი ვარ, ვერვინ მომარჩინა,
ცის ვარსკვლავო, ჩემო სულის ბინა,
დაბრმავებულს შენ გამიძეხ წინა.
მე შენი ვარ საკვდილამდის, თინა,
გაფიცები, რამაც გამიჩინა!....

ე. ფ.

ქ. ფოთი. 1884 წ.

შინაური მიმოხილვა.

ვეიდეთ კიდევ კალამი ხელში და არ გიცით კი — მოახწევს თქვენამდე, მგითხველო, ამ კალმის ნაწერი, თუ ჩაიდუღის წყალს დაალევინებენ. კაცმა არ იცის, რა ქნას? არ იცის იმიტომ კი არა, რომ თვითონ კაცი ფუჭი იყოს გულითა და სულითა, ან გონება ისე დაჭკვანტოდეს, რომ ვერაფერზედ საკუთრივ ვერ გაეჩერებინოს საფუძვლიანად. გულში რომ ჩაიხედო, თითქო ზღვაა, ისე დუღს და გადმოდის ბალღამი და ბოღმა ყოველ-დღიურის ბოროტებისა, მაგრამ რას იზამ? ამისთანა პაპანაქებაში, როცა მზე ასე უწყალოთ გვწვავს და ჭსდაგვს ქვეყნიერობასა, რასაკვირველია, რომ გამხმარი ენა გამშრალს სასას ძიეკრას, სიტყვას ფრთა მოეკვეთოს, ძალონე წაერთვას, კბილი მოეჭრას ჩვენის ლიტერატურის საბრალო ლამის გადახმეს ამ ახირებულის გოლვისაგან. ახირებულს იმიტომ ვამბობთ, რომ ამ გოლვისაგან დამწვარს საბრალოს ველარც

ნამი შვილის, ვერც წვიმა და ნიავლვრი. დაგოლვილი ნიადაგ გაუამირებულია და რაც უნდა დიდი ნიავლვრი მოვარდეს ისე წარბ-შეუხრელად შეაშრობს ხოლმე, თითქო აქ არავერი ამბავია. გაცუდდნენ ძალნი ბუნებისანი და ლერძმა ქვეყანისამ უკულმა იწყო ტრიალი. დაკდიკართ ესე გულ-ხელ-დაკრეფილნი, გონება დაბშულნი, ენა დაბმულნი. ესლა დაგვიბეჭენია, რომ, ერთად თავი მოვიყარეთ და «დიდებაზედ» ვიარეთ, აგებ ლმერთმა როგორმე გადმოხედოს შეგვიბრალოს და წამალი რამ დაგვდოს, თორემ ეს სიცხე-პაპანაქება, ეს უწყალო გოლვა ერთს რასმეს უბედურებას შეგვამოხვევს.

სხვა გზა არა აქვს მწერალსა, ნამეტნავად ყურნალის მემატიანეს ამისთანა სიცხე-პაპანაქებაში. ცხოვრება, დაუცხრომელად მიმდინარეობს. რაც მაქვს და მოაქვს თვისის მიმდინარეობით ბევრი არავერია, მაგრამ მაინც თვითონ-ორონალ ნაფოტს მაინც მოაგდებს ხოლმე. თვალსაც და ყურსაც ადევნებ ამ ნაფოტებს და რა გამოდის? ის გამოდის, რაც ერთს კაცს დაემართა. ერთმა კაცმა უთხრა მეორეს: კაცო, ვერა ხედავ ძლიერი მიაქვთო?

— მე რა? უპასუხა პირველმა.

— თქვენსა მიაქვთო.

— შენ რა?

სწორედ ასე ემართება ქართველს ყურნალის, თუ გაზეთის მემატიანესაც: ან ეტყვიან, მე რა, ან შენ რა? ორსავე შემთხვევაში შორს მანძილს ვერ გაიგებს, რაც უნდა კარგი მარბენალი იყოს და კაი მუხლის კაცი. რა ქნას ყურნალის მემატიანემ? ჩამოგითვლიან ნუსხურად ყოველი და მოძხდარი ამბები—ეგ ხომ გაზეთებიდამაც გაგონილი გექნებათ. დაგვიანებული განმეორება ყურნალისაგან მეტის-მეტი უგემური ცოხ-

ნა გამოგა. მართალია, შესაძლოა ყოფილიყოს ამბების ჩამოთვლა ზეპირად, მსოფლიოდ ერთის პირობით კი, რომ ყურადღებამ მიმართვის ამბების გამო თავისი ხიბჭი და კაკატი გამოსთქვას, თვითონაც გული მოაფხანოს და სხვასაც გული მოფხანოს. მაგრამ მეტად ცხელია და ენა სასას ეკვრის.

ამაზთანა ყოფას ხშირად ჩაუფიქრებიათ და გულში გვითქვამს: [ამაშ ეს «ივერია» რისთვის არსებობს? მართლაც რისთვის არსებობს? ყოველ-დღე გვესმის საძღურავი ამ ყურნალის არარობაზედ. ჩვენის მხრით ამასაც ვიტყვით, რომ ეგ საძღურავი მეტის-მეტად საძარეთლიანია და საბუთიანი. ტყუილუბრალოდ ჩახჩაფებს, ვაი-ვაგლახით იბეჭდება, დრო და ხარჯი ბევრი მიდის და ეს ყოველივე რომ გაცხრილო, არა გამოდის-რა. ყველაფერიც რომ მზათა ვქონდეს ბეჭდვისა, მაინც წარდგე არ იცის ბეჭდვამ, რიდის და რიგიანი წიგნი გამოვა, შიგ რა იქნება დაბეჭდილი: ის რაც ბეჭდვისა უნდა, თუ ის რაც, არამც თუ უნდა, თვიქრადაც არ გაუტარებია. ბოლოს, რის ყოფით და ამბით ძლივ-ძლიერობით გამოვა ხოლმე ყურნალი სტამბიდამ ულრიოდ გაპარსულ ცხვარივით მქრალი, მაგრთალი, მკვდე, აწეურული, უფერული, უფეხო, ულიანო, უსიცოცხლო. არც ამ ქვეყნისა ხოლმე შიგ, არც იმ ქვეყნისა. ამისთანა ყურნალი რომ არ იყოს, ისა სჯობია. ამაზედ მოიცდარს ხალხს, ამაზედ მოხმარებულს დროსა და ხარჯს ერთი რამე სხვა საქმე ავუჩინოთ და ეს უნებლიედ უხეირო, გულგაკვლეფილი, ცოცხალ-მკვდარი ყურნალი თავიდამ მოვიშოროთ, (თუ საძუდამოდ არა, დროებით მაინც,) ვიდრე ყურნალს დრო და ვითარება შეეწევოდეს.

ამბობენ, რა ვუყოთ, უკეთესს მოვუტანდითო და მინამდე კი «ივერიამ», როგორც იყოს იწოწიალოსო, სათავლაგში მაინც

ჩაგვიკარდებაო. ვერაფერი საბუთია ტყუილ-უბრალოდ მოცდენისა და უსაქმოობისათვის. მარტო სათვალავისათვის ყურნალის ყოფნა და არსებობა ვერაფერი ნუგეშია, ვერაფერი თავხსა არც ჩვენის ლიტერატურისათვის, არც ჩვენის საზოგადოებისათვის. ჩვენი ქართველობა არც ისე მდიდარია, არც ისე ლიხიერია, არც ისე მოცლილია, რომ მარტო სათვალავისათვის ჭეანტოს თუული, ლიხე და მოცალეობა. ოთველი ჩვენი გრიშა, ოთველი ჩვენი ხელთ-მოძრაობა, ოთველი წუთი ჩვენის ცხოვრებისა იმისთანა საქმეს უნდა მოხმარდეს, საიდამაც ჯერავანის საოგებლობის გამოტანას გარეშეობა არ უშლის. თორემ სახელი იყოს და სახარავი კი არა — ეგ მეტის-მეტი ბედოვლათობა იქმნება ჩვენისთანა ლარიბ ხალხისათვის.

ბედმა თუ დროთა ვითარებამ მიგვასწავლოს, რომ ცარიელი სახელი ტყუილი ფარფაფ-ფურთობა შინაცა და გარეგანაც; ჩვენ ეხლა გარგად გვესმის, რომ საქმე საქმეშია. რომ ჩვენი საზოგადოება ესლა საქმესა თხოულობს და მარტო საქმით ლაშის სახელის შოვნასა.—ეს ცხადად დაგვიმტკიცა საქართველოს თავად-აზნაურობამ როგორც ამიერიამ, ისე იმიერიამაც. გუბერნიის მარშალად თბილისის გუბერნიაში ამოირჩიეს თ. ი. კ. მუხრან-ბატონი და ქუთაისისაში—დ. ი. ყიფიანი. ეს ამისთანა არჩევანი იქაც და აქაც ფრიად შესანიშნავია. ამით ამერ-იმერთ საქართველოს თავად-აზნაურობამ თავი და თავი გვაჩვენა, რომ მას გაცი უნდა მოთავედ არა მარტო ცარიელის სახელისათვის, არამედ საქმისათვისა. ამ შემთხვევაში საქართველოს გეთილ-შობილებას მიუძღოდა მარტო ეს მისდა ლირსების შესაფერი საგანი. ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენი თავად-აზნაურობა მიხვდა, რომ მალალი ხარისხი წინამძღვარისა იმისთვის კი

არ არის სასუფეველი, რომ მის მეოხებით ჩვენგან ამოარჩეულმა კაცმა დიდკაცობისაკენ გზა გაიხსნას, არამედ იმისათვის, რომ ყოველს ჩვენგანს ერთად და თვითოეულს ცალკე მოსარჩლე და მფარველი ჰყავდეს; რომ ჩვენს გაჭირებულს ცხოვრებას, ჩვენის ძვეუნის ავსა და კარგს ყური და თვალი ცნობიერად ითხოვოს, ყოველივე გაიგოს, ასწონოს და, რაც ეშველებოდეს, უშველოს. რასაკვირველია, დამშეულს კაცს ბევრი სანატრელი ლანდი წარმოუდგება ხოლმე თვალ-წინ, ბევრი რამ ენატრება, მაგრამ ჩვენ იმისთანა ყოფაში ვართ, რომ ყველას თავისი ლარი და ხაზი უნდა ჰქონდეს. ჩვენ რომ ყველა ჩვენი ნატვრა ამ ასლად ამოარჩეულთ მარშლებს ვალად დავსდოთ და თუ ყოველი ნატვრა არ აგვისდინეს, სამდურავი გამოვაცხადოთ, აბ მეტის-მეტი წინ-დაუხედავობა და უსამართლობა იქნება ჩვენგან, იმიტომ-რომ ყოველს სურვილს ზღუდე და ფარგალი აქვს. ჩვენ მარტო ის უნდა ვინატროთ, რომ შესაძლებელი შესრულდეს. დრო და ვითარება ესეია. ამაზედ მეტის ლოდინი ეხლანდელს დროში ცდომაა და სხვა არაფერი. ყველას თავისი გზა აქვს და თავისი მიჯნა. მარტო ამ გზაზედ და მარტო ამ მიჯნაში უნდა ტრიალებდეს ჩვენი ნატვრაც და ჩვენი იმედიც ნატვრის ახდენისა.

თუმცა ადამიანის ნატვრას და სურვილს ესეთი მიჯნა აქვს დადებული, მაგრამ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ეს ასე უნდა იყოს. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რაც არის. არც იმის გარჩევაში შევალთ, ეს, რაც არის, კარგია თუ ავია, თუმცა კი გარჩევისათვის ენა გვაქვავებს. ჩვენ ამით ის უნდა გვეთქვა, რომ ისიც დიდი საქმე იქმნება, რაც შესაძლებელია, იგი შესძლონ ჩვენთა ასლად ამოარჩეულთა მარშალთა და ჩვენი მათზედ დანდობილი სასოება ამით გაგვამართლონ. ამითაც მადლიერნი

ულდა კოუკნეთ ჯერ ჩვენის თავისა, რომ შესაფერი კაცები მიეუნეთ.

ბევრი რამ არის შემაძრწუნებელი ქვეყნიერობაზედ. აბა შესაწუხარებელია განა ქერიმას გამოსვლა საქვეყნო მოედანზედ? ოცდა ოთხის წლის ყმაწვილი კაცი რეა თუ ცხრა კაცით გამოდის და თვითოეულს ცალკედ და ყველას ერთად გულ და გულ უბედავს ომსა. ერთს დღეს ორ-სტანციათა შუა ასს კაცზედ მეტს ერთს ადგილას აძწყვდევს, მასლაათობს, ლაღობს, ტუვეთ დაჭერილებს ჯეროვანის თავზეთ ეჭცევა, ჭმასპინძლობს და სულგრძელ გმირსავით უვნებლად უშვებს. საკვირველიც არის, საოცარიც და შეუწყნარებელიც. ვინ იცის რა საზლაპრო გმირად გარდიქმნას ხალხის ფანტაზიასაგან ეს თავზედ ხელ-აღებული კაცი. რას მოასწავებს ამისთანა კაცის მოგლეჯა? რას მოასწავებს, რომ ეს ამისთანა კაცი ასე უვნებლად, უშიშრად და თამამად დაიარება ყველგან, საცა კი ისურვებს? მაგრამ... მაგრამ ის არის, რომ არა ნაკლებ ღრმად ჩასაფიქრებელია ერთი სხვა ამბავიც, რომლის გამო კაცს თმა კალუზედ უდგება. ეს ამბავი მჭედლობის საკვდილია. პატიოსანი, საქმის ერთგული, გამრჯელი ყმაწვილი კაცი დღის სინათლეზედ, გუბერნიის ქალაქში, ზედშუა გზაზედ დამბაჩით მოჰკლეს. კაცისაგან კაცის საკვდილი ახალი ამბავი არ არის ქვეყნიერობაზედ. ავაზაკი ქვეყანაზედ არ დაიკარგა, ყოფილა, არის და იქნება. საკვდილი კაცისა საზოგადოდ ყოველთვის შემაძრწუნებელი და საზიზღარი ყოფილა კაცისათვისაც. მაგრამ ეს საწყალის მჭედლობის საკვდილი ერთად ასეთი საძაგლობაა, ასეთი ულვთოობაა, ასეთი საზიზღარია, რომ ყოველს წრეს გარდასრულია. კაცი მოჰკლან იმისთვის, რომ პატიოსანია!... მერე მოჰკლან დღისით შუა ქალაქში, დიდს გზაზედ, სხვათა თანდასწრებით და მკვლელი ხელიდამ

წაუვიდეს სამართლისა!... ეს მაგალითი ჭეშმარიტი სასიქადულო სარგეა იმ საზოგადოებისა, სადაც ეს აგრე მოხდა. ამ სამართლიანი ამბის სიმტკიცე ყველას უნდა მოგვეცხოს. ამ ამბით შეურაცხ-ყოფილია, შეგინებულია მთელი ჩვენი ზნეობა, მთელი ჩვენი საგვეთე, მთელი ჩვენი კაცური კაცობა. ამ სიმტკიცის ასახდელად თვითეული ჩვენგანი ყოველის გზით უნდა ცდილობდეს, მკვლელი იპოვოს, რომ მისგან გაბიაბრუებულს და აღელვებულს სინიდისს ადამიანისას შესაფერი გმაყოფილება მიეცეს.

ამ ამბავმა ისე აღელვა ყოველად-უსამღვდელოესი ეპისკოპოზი გაბრიელ, რომ განიზრახა იმ საზოგადოებას, სადაც ეს მოხდა, გაეცალოს, მოშორდეს და რუსეთში სადმე გადავიდეს. ვინც იცის (და ვინ არ უნდა იცოდეს?), რა ღვაწლი მიუძღვის ამერეთის ეპისკოპოზს ჩვენის ქვეყნის წინაშე, იმას ამ ამბავმა თავ-ზარი დაჰკრა. რაგორ? გაბრიელ ეპისკოპოზი — ეგ ჩვენი სასიქადულო სამღვდელო კაცი, ეგ ღირსებით ადამიანი მღვდელმთავარი, ეგ ჩვენის ერის გულ-მტკივნეული მქადაგებელი, მადლის ზნეობისა, მადლის განათლების მექონი, მღვდელ-მთავარი, რომლის სახელითაც თავს უნდა ვიწონებდეთ ყოველნი ქართველნი ქვეყნის წინაშე, ჩვენგან მიდის, ჩვენ გვეცლება, ჩვენს სავეს, უმადურებას ვერ უძლებს!... მოდი და თავს-ზარი ნუ დაგვცემ!...

ჩვენდა სასიამოვნოდ, ქუთაისის საზოგადოებამ იგრძნო რა საკარგავსაც ჭკარგავს, თუ ვინიცობაა გაბრიელ ეპისკოპოზი თავის განზრახვას ალასრულებდა და თვისთა წარმომადგენელთა პირით გამოუცხადა საყვარელს მღვდელ-მთავარსა გულითადი მწუხარება მისდა განზრახვის გამო და ჭკითხოვა, ნუ აიერას გულს მის საძწყინოზედ, რომელსაც მან შეჭსწირა თა-

ვისი უკეთესი დრო ოცდა ხუთის წლის განმავლობაში, რომელსაც ესეთის ღვაწლით, ესეთის სიყვარულით და თავ-განმეტებით ამოდენა ხანი სახელოვანად ემსახურა. «ნუ დაგვანებებთ თავსაო და თქვენი მშვიდობით-ყოფა, თქვენი კეთილდღეობა ჩვენ დაგვაცალეო, მოახსენეს დასასრულ მღვდელ-მთავარსა. საზოგადოებისაგან მიგზავნილ მოციქულთა შორის ყოველის წოდების წარმომადგენელნი იყვნენ და ამ მოციქულობას მით უფრო მეტი თვისი და ღირსება მიეცა.

ჩვენ ამ ამბავს იმისთვის ვიხსენიებთ აქ, რომ ბიერველ ჩვენი სიხარული გამოგვეცხადებინა მის გამო, რომ ჩვენმა საყვარელმა მღვდელ-მთავარმა, ჩვენმა სამართლიანად თავ-მოსწონებელმა კაცმა ჩვენშივე ინება დარჩენა ჩვენდა სასახელოდ და სასიქადულოდ; მეორე იმისთვის, რომ ჩვენს მატიანეში ერთით მეტი იმისთანა მაგალითი შეგვეტანა, რომელიც ცხადი ნიშანია ჩვენის საზოგადოების ზნეობითად აღმატებისა. ამ მაგალითით ცხადათ ჩანს, რომ ჩვენც ვიცით ღირსეულის კაცის დაფასება, ჩვენც გვესმის ღირსეულის კაცის მნიშვნელობა ერისა და ქვეყნისათვის. რაც გინდათ ჩათქვით და ზნეობითად წარმატების გზაზედ ესეც ერთი წინ-წადგმული ბიჯია.

დასასრულ, ვერ მოგვითმენია, რომ ჩვენი უგულითადესი სიხარული არ გამოვაცხადოთ ამ გრძნობით გამთბარის წერილის გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო «დროებაში» ბათუმის ბეგების სახელითა. თქვენი ძმები ვართო, აწერებიან იგინი. ძმები ყოფილხართ და ძმები ხართ, თუმცა კი აქამომდე ერთმანეთის დაშორებულნი ვიყავით. ქართველის გულს თქვენ,—ჩვენიგვე სი-

სხლი და ხორცი ქართველნი,—თავის დღეში არ დაჭვიწყებიხართ და ეხლა ჩვსჩანს, რომ არც თქვენს გულს ეყოლიკართ ჩვენ დავიწყებულნი. ჩვსჩანს, რომ იმიერიდგან აქამომდე გული გულს შენაწებარი გვქონია. აი ამაზედ არის ნათქვამი:

გული გულს შენაწებარი
გაცმა ვერ გახსნას ვერ რითა.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

1885 წლისათვის

თბილისში — «დროების» რედაქციაში; **ქუთაისში** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; **ბათუმში** — მოსე ნათაძესთან; **თელავში** — ვანო როსტომაშვილთან; **გორში** — ალალო თუთაევთან.

ფასი გაზეთისა მოელის წლით — 9 მან., 6 თვით 5 მან.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის მოწერა ყურნალს

„ივერიაზე“

ვინც ცალკე დაიბარებს მოელის 1885 წლით ყურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) «დროების» რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію «Дроэба» анъ Въ Редакцію журнала «Иверія».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს, შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბარონ და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქცია «ივერიისა» ჩქარობს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საქმე ექმნება რედაქციასთან, მიჭვრეტონ თვითონ რედაქტორს ყოველ-დღე დილის რვა საათიდამ დილისვე ათს საათამდე გარდა კვირა დღეებისა და უქმეებისა — ანაგ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

ჟურნალი «ნობათი»-ს გამოცემა 1885 წელში.
(წელიწადი მეორე)

სამოგზაურო ფორმათ საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიურის საწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—ამავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებით და სიგრძით, რაგორადაც 1884 წ.

ჟურნალზე ხელის-მოწერა. წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავდა-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც—მაისში; ორმელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ჟურნალ «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბალთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7. და შავერდოვის წიგნის საცენტრაში. ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ეგ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала «Нобати».

რედაქტორი გამომცემელი ა. ს. ფულაძე.

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

издаваемый въ г. Тифлисѣ.

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, *на полъ года* 6 р. *полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и чрезъ два мѣсяца еще 3 р.*

Подписавшимся на весь годъ высылаются вышедшіе №№.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года уплачиваютъ за 1881 г. 8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе — по 10 р за каждый годъ. Для гг. студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6).

Иногород. подп. „Юрид. Обоз.“ имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала - въ *Тифлисѣ, Сололаки, Нагорная улица, д. Мерабова,* также въ *Москвѣ и С.-Петербургѣ*—въ книжныхъ магазинахъ *И. П. Анисимова.*

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(II годъ изданія)

выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ,

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой.

На 12 мѣсяцевъ	—	—	—	—	10 р.—к.
„ 11 „	—	—	—	—	9 „ 50 „

„ 10	„	—	—	—	—	—	8	„ 50	„
„ 9	„	—	—	—	—	—	8	„ —	„
„ 8	„	—	—	—	—	—	7	„ 25	„
„ 7	„	—	—	—	—	—	6	„ 50	„
„ 6	„	—	—	—	—	—	6	„ —	„
„ 5	„	—	—	—	—	—	5	„ 25	„
„ 4	„	—	—	—	—	—	4	„ 75	„
„ 3	„	—	—	—	—	—	3	„ 50	„
„ 2	„	—	—	—	—	—	2	„ 75	„
„ 1	„	—	—	—	—	—	1	„ 50	„

Заграницу на годъ 17 руб., на полгода 9 р. 50 коп.

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городскаго на иногородный—1 р.

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

Подписка и объяленія, на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ—въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени.» Иногородные адресуютъ свотребованія въ г. Тифлисъ, въ агентство Шавердова.

მასალა ისტორიისათვის.

სომხეთ მეისტორიე არაქელის წაწერიდან. გვერდი 575—576

(ჟურნალი «კრუნკ». ნათარგმნი).

მეორედ სულთანმა (ხოთქარმა) ბრძანება გამოსცა მხედ- 607
რობათა თვისთა ზედა მოსასვლელათ წითელ თავიანსა ქვეყ-
ნასა ზედა; და გამოვიდა მხედრთ მთავარი ლაღა სახელად
წოდებული მრავლითა მხედრობითა, მოვიდა, მოაწია ქვეყანასა
ვრასტანისასა და დაატყვევა სომეხი და თათრი რიცხვით
60,000. წაიყვანა ქვეყანასა ურუმთა (ბერძენი) და მეორეს წელ-
საც გვალვად აღიძრა ქრისტეანეთა ზედა და მოაწივა ფვიტაკრა-
ნის ქალაქს თბილისს და აღაშენა ციხეები და სიმაგრეები გაა-
კეთა და დაადგინა მუნ კაცი მრავალი მეომარი, და რომელიმე
ბაგრატიონი მეფე ქრისტეანეთა სიმონ წოდებული, რომელიც
ოდესმე უმორჩილობისათვის შეპყრობილ იყო წინათ თქმულის
თამაზ შაჰისაგან, და მოსუსტებულიყო სარწმუნოებისაგან, და
იყო მუნ ხელთა შინა მისსა და გახელმწიფებისა შაჰ ისმაილი-
სა, მიმადლა მამეული უფლება თვისი, რათა წარვიდეს სიმონ
და ჰფლოს მუნ, და დაშთეს სჯულითა მაჰმადისა. და იგი
წარვიდა ადგილსა თვისსა თბილისს და შეურაცხ იქმნა წინა-
მძღვართა და მღვდელთა თვისთაგან და უმეტესად ცოლისა

გულმოდგინეთაგან თვისთა მგმობელად და საკუთის ანა მცნობელად
და უფალობელ უწოდნენ, და ამისა გამო ინანა და სინანულით
უკუ-იქცა თავთა-ნებისაგან და ირწმუნა კვალად კეთილი ქრის-
ტესი თაყვან-ისცემი და კეთილი ქრისტე ღმერთი ყოველისა
და შეესმა კვ ამბავი სპასისა, რომელთა მოიკვლენ იყო შაგ-
ისმენელი და სხვათა გერ რაიმე შეიძლეს ქმნად მისდა, მიიმ-
ლეს ქრისტიანე მეოფად, მხოლოდ ჩყოს ერთგულებით სა-
რწმუნოდ ყოფნა სიხლეისთვის შაგნისა და აწ გინდა ლაღვამ
სიმონი და ალაშენა ქვეყანასა მისსა მრავალი ტიხენი, რომელთ
სასელები ან ეუწყი ალწერვად, რადგან ანა მიხილავს ის ადგი-
ლები, მხოლოდ შეეცვალა რამეთუ თბილისს, დმანისს, გორს,
ლორს, და სხვა ადგილებში ალაშენა ტიხენი და დაუტოვა მუნ
მსედრობანი და თვით გინდოდა ალანი და წარეიყვანა ერთგული
ერისა რეგი-ნისასა და მუნცა ალაშენა ტიხენი და უწოდებენ დამეორლათს,
და დაადგინა მუნ მსედრობა მრავალი და მსედრით მოავალი
ოსმან, ძლიერ სულოვნებისა შემძლებელი და უწყალო, და თვით
უკუ-იქცა თვისს სულმწიფესთან, და წარწყმდა მის მიერ სიტყვი-
სგან ორგულებისა, გინა შორის ებით ლვთისა ანა მისცა
მას ღმერთმა ყოფნა უცოდველთ სისხლისა გამოღვრა აწ უკვე გა-
ვიმეორეთ სიმონ ქართველთ მეფის გამო, თუ რა იქმნა,
რამეთუ სიმონი ოდეს განიგლტო ლაღვასაგან, საფარველსა
სადამე თვისსა ქვეყანასა სცხოვრებდა ტყეთა და იწოდთა ად-
გილთა შინა და გული მისი იყო დაწყლულებულ ალებისთვის
თვისის ქვეყნისა და ღონისძიება ერა რაიმე მოეზებინა
ზედ მიმართვისთვის, ანამედ ელოდა შემოხვევასა თვისსა და
მოწყალებასა ღვთისასა, კაცს უგზავნიდა და ხარკსა ალუთქმი-
და მურად ხონთქრისა, ოდესმე მიცემასა და ოდესმე ან მიცე-
მასა განდეგილობითა თვისითა, ავაზაკთა ტიხეთა მათთა ზედა

მაქსრთოვიდა, და მიზეზსა მსჯდრობასთა ცოხისასსა სდებდა და
ამბავს მურავდს ანცნობებდა და მის მიერ ვნებას მას მაქსდებ-
და, [illegible] და ოდეს გამეფდა სულთან მაჰმადი სიმრავნმა გაბძრასკვა 46
განდგომისა თვისისა გასაცხადა ესრეთ, ანცა ხარგის მიცემა
და აკაზაკთაც ძლიერ გაძრავლება და დაუმატა თვითცა და
შეკრიბა მსჯდრობა და მაქსრთა ცოხესა ზედა გორისასა და
თვესა რვასა შეკვიწრა ო�sი და ალიდო იგი, და დაჰქცევა ქვა-
ნი ცოხისა და ზიდვითა მათ სხვა ნათესავთაგან ბრძანა წარდგე-
ბა და მტკვარში ჩაყრა და შემდგომად კაცნი იგი ალწყვიტა
მახვალდით, ცოდნი, შვილნი და ქონებანი მათი უბრძა თვისსა
ქართველთ მსჯდრობასა, ამის გამო ყოველთა აგარიელთა (ოს-
მანთა) გულნი ძლიერ ლრმათ დაკოლდიდ ექმნენ და გულს ცეცხ
და განრისხებით ალსდგნენ მაჰმად ხანთქართან და დიდის გან-
თვიცხებით ბრძანა ნაცვლად თვაჰრატისა მისცა მისი უფლება სა-
ჯურისსა ჯაფარს, რომელი იყო თავრიზს და წარგზავნა სი-
მრავზედ შურის გებად შეურაცხ-ყოფისათვის ოსმანთა. და ოდეს
მიიღო კადნიერება ესე, ამით მეორეთ უკეთურმან მან ჯაფა-
რამ იწყო ძლიერ განრისხვა და მოემართა მიწვეულსა მას კერ-
ძოსა უფლებასა ძვეშე მყოფსა ზედა და თვით გამოვიდა თავ-
რიზიდამ და მოვიდა ანარატსა და შეჰკრიბნა მუნ ყოველნი
მოწოდებულნი მსჯდრობანი და წარგზავნა მათიერი შორს ად-
გილებში სოფლებში და ქალაქებში, წასაღებათ საჭმლისა თა-
ვიანითვის და ცხენებისათვის და დასამზადებლათ წარსასვლელ-
თა გზათა თვისთა ზედა, აგრეთვე ბარხიოსანნი(?) ოცი ათა-
ი კაცნი მოითხოვა ბეგთაგან, სომეხთაგან, და თათრთაგან
რათა ყოველთა კაცთა აქვნდეს ცული, მოსათხრელათ საბლისა,
საძირკვლითურთ და ხის მოსაჭრელათ და შეაგდო და მოი-
თხოვა ფიცხელი ხარჯი ერისაგან თვინიერ თვისთა საჯულის-

დებისა (განან გარეთ), და მოვიდა და წარვიდა დიდის შეშინებით, რამეთუ უწინარეს მრავალ გზის გამოეცადნათ ვაჟკაცობა სიმონისა და შეძლებელობა მთის ომისა და მათგან ძლეულნი მრავალჯერ სირცხვილეულის პირით უგუქცეულიყვნენ და ეწ რა მიაწივეს ქარაგელთ ქვეყანას ამვე სახით შიშობდნენ და ადგილსა ერთსა დაჴვეს დღე სამი და ჯერ არა იყო დაწყება ომისა, არც ელჩისა და არც საქმის მცნობელობისათვის ურთიერთთან წარგზავნილი. [61] და ქართველნი განძრახვითა, ურთი-ერთს ეტყოდნენ, და ეგრეთვე სიმონს—გვიტევეთ ჩვენ დღეს წარგასხათ სახლობანი ჩვენნი და ქონებანი ჩვენნი მთათა შორის და ჩვენ უკუ-ვიქცეთ ყოველითურთ გულითა და ყოველითა ძლიერებითა ჩვენითა და სისხლისა დაღვრითა და საგვდილითა ვებრძოლოთ თითართა და ვძლიოთ მათ ძალითა ღვთისათა, განა სრულიად დატევებულ ექნდათ განსაზღვრული ლოცვა ქრისტიანთ ნათესავთებრ, ვიდრე რომ ერთს სრულს წელსა შინა, სრულიად ეკლესიის კარს არ მივიდოდნენ, მცირეთაგან ვიდრე დიდ-დიდებთაგანი და ამისათვის სჯულმან ღვთისამან არ მისცა ქართველთ ნების აღსრულება, რამეთუ იტყვის ღმერთი წინასწარმეტყველის პირით, უკეთუ არ მოიქცევის მის მიმართ, მახვილი მისი ლესულ არს და მშვილდი განმზადებულ და აგრეთვე იტყვის, ნუმცა თუ მოეკვეთოს ხე თვინიერ მომკვეთელისა და ხერხვა, თვინიერ გამხერხველისა და კვალადვე იტყვის მე მოვჴკალავ და კვლოცხლებ, მე დავსცემ და მე განვჴკურნებ, და იტყვის რომელი ჴნებამს უფალს წარწყმედა პირველ გაუმეცარებს, რომელიც გაუმეცრებული სიმონი მას ყამს დასჯდა ღვინის სასმელად, მცირითა კაცითა.

[62] გვ. 587. მას მხარეს სადაც იყო სიმონი, თითართ ეჯ-

ვი არ აქვნდათ არავიდეს, თუ სვიმღანი მუნ იქმნებოდა, გარნა დაგლის მიზეზის გამო თავთავრთ გუნდი განიყო და იმ გერძოთ წარვიდა და იხილეს ქართველი როამელიმე და შეიპყრეს და, მცირე რა წინ წარვიდნენ, ნახეს მცირე გუნდი სიმღანისა და მას შეპყრობილს ჴკითხეს — თუ ვინ არიან იგანი, ღ შეესმათ მისგან, რამეთუ თვით იგი არს სვიმღანი. თავთავრნი დიდათ შეშინებულნი უკუდგნენ და სწრაფვაო კაცი ძლიერად მრბენავის ცხენით ბანაგისა წარგზავნეს ჯაფართან და განუცხადეს და მან დიდათ გაიხარა და მრავალნი მამცნი კაცნი სიხარულით წარმოგზავნა, წარვიდნენ და შეიპყრეს სიმღანი და მიიყვანეს მასთან, და მიყვანის დროს წინ მიეგებნა ჯაფარი მისასალმებლად და შემდგომად თვისთა ენითა დიდის მალვლის ხმით ადიდეს ღმერთი და სრულთ ბანაგმა რა შეისმინეს შეპყრობა სიმღანისა, მასვე განმეორებით იტყოდნენ — გურთხეულ არს ღმერთი და უცვალებელი უფლება მისი, რამეთუ ღმერთი მოაგვიანებს და ღმერთი განაცალცხლებს (აცხონებს), შთაგდებს ჯოჯოხეთს და აღმოიყვანს.

ჯაფარმა მუნიდგან შათიერი წარგზავნა ხონთქრთან სამსჯავროებლოთ და სიმღანი თვისთან წარიყვანა თავრიზს და ბრძანა ხონთქარმა, რომ ყოველსავე თვის სახელმწიფოში განამშვენიერონ ბაზარნი ქალაქთა და ყოველთ სრულს სამს დღეს და სამს ღამეს ჰქმნან სიხარული დიდი, და ჰყოს ბრეთ, და სიმღანიც წარგზავნონ ხონთქრთან. ჯაფარმა შეიპყრა სიმღანი თავრიზსა დღეთა შინა ზამთრისა და გაზაფხულსა, და გაზაფხულის დროს წარგზავნა კეისრთან ბიუზანტიას, (ვიზანტიას?) და რა მიიღეს კარნუ ქალაქს (არზრუმს), სცნეს რომელისამე მთავრისა ბრძანების მწიგნობრისა (მწერლისა), რომელსაც თავისთვის ენით უწოდებენ ასზიხს, რომელსაც ჰყავს

თვისთან კაცნი უმეტეს ოცი ათასი, განმდგარ არს თვისზე უმთავრენ ხელმწიფისაგან, ეს ორი წელი არს თვითეულები ხარჯი ერისა, რომელიც არს ასხელმწიფოო, თვით მიუმძღვრებია და ჩვრეთვის. ამან სიმრავლის გამო სიფრთხილით ამცნო თვისთა მსჯდომთა, რომ წარმოვან წამოვიანთა და მასთან მიიყვანონ და ამ მაზეზით დაბრკოლეს სიმრავლე არეულში, და აწ კურთხეულ არს ღმერთი, დასასრული მას ეუწყვის.

1863 წ. მარტის №-ში «კრებულში». გვ. 189. წყობა 79.

1723 წ. მაჭმუდ შაჰის დროს ისპაჰანს ავღანთა ქართველთაგან ძღვენი ეშალოდათ, რაც იქ უწალიანდეს ქართველთ ჯარი ურაბადთ, და ქართველებისთვის უთქვამს (შაჰსა) მასწერეთ თქვენს ქვეყანაში თქვენს ხალხსა, თუ ჩვენ მხარეს არ ეცდებით, სულ გაგწყვეტავთ»... როდესაც ავღანთ ისპაჰანი აიღეს, მაშინ იქ იყვნენ 30 ქართველი, რომელიც ავღანის მაჰმადს ხანს ჯარით ეყოლება, და ის სთხოვს იმათ, რომ საქართველოს მასწერონ, რომ იმის მხარე დაიჭირონ....

გვ. 196. წყობა 103. «საქართველოს კახეთის ვალი მაჰმად-ყული-ხანს მისცეს ერეკლის ხანობა, რომელიც თვითონ კახეთსა ზის და ნაიბი (მოადგილე) ერეკლეს დაუსვამს». ეს ამბავი პეტრე დიდის აქეთ მხარეს მოსვლის დროს არის. წყობა 107. «60,000 სომეხთ ჯარი შეკრებილა, უთხრა ერეკლის ნაიბმა ეჩმიაწინის ქათალიკოზს, და თათრები დაუხოცია თან.»

გვერდი 198—199. «ერეკლის ნაიბს ეჩმიაწინის ქათალიკოზი წაეკანინებინა და ეთქვა—ხანი (მაჰმად-ყული-ხანი) გიბრძანებს, რომ ვახტანგ-ხანთან (ვახტანგ VI) შარიგო, ძალადატანებით გაგზავნათ ხანთან და გზადამ ვახტანგისათვის

წიგნი მიეწერა, რომ მე წარმოვკანგეს მაკმადი ყოლი ხანთან და შენ ადექ და მოდითო. ეს წიგნი გზაში დაეკარგა და მოიტანეს ერეკვის ნაიბთან, მოვიდნენ ჯარით ეჩმიაწინს და დაანბეს ეჩმიაწინი და სომხის სოფლები. ქართველებზი შეიტყობს და მისწერს ნაიბს— რომ ეგ წიგნი გახტანგს მე მივსწერე, რომ მოვიდეს, მე რით მგზავნით, რომ მე ამისთანა წიგნი არ მივსწერო გახტანგს»...

§§. 200. «რამდენისამე დღის შემდგომად წიგნი მოეწერა მამად-ყოლი-ხანს გახეთისასა ერეკვის ნაიბზედ, რომ—ქართველებზი ჩემთან არის, შენ ეჩმიაწინს შეწუხება არ მიაყენო და არ გაცარცვო და ეგ მოანსტერი სოფლით დაიცვა.» ამას სწერს დასრულების ეიდანიანცი, რომელიც ცნობებდა სპარსეთის და ოსმალოს ომებს მინას არსიეპისკოპოსს და სთხოვდა—«შენც ცნობე პეტრე დიდს, როგორც ჯაშუშმა.» იქმე: «პაპუნაშვილი ითამშენა-მამად-ყოლი-ხანის საელჩოტარი (ელჩია იყო გახეთისა და ერეკვნისა) ამბობს: მე მაკმად-ყოლი-ხანმა გამოგზავნა ელჩად სომეხთ ჯარის უფროსთან, თუ «რასა გავს, რასაც ის შერება —მოვიდეს; მე დამმორჩილდეს და ყველა საწადელს მე ავუსრულებ.» ამაზე სომეხთ ჯარის უფროსს ეპასუხნა—»ჩვენთვის არც დიდობა, არც ფული, არც ქვეყანა არ არის საჯარო... ჩვენ დიდი იმპერატორისთვის შეგვიერიბენით და ჩვენ იმისი მსახურნი ვართ... ჩვენ არ დავიშლებით მანამ ისრეთს ამბავს არ მოგვწერს»... ითამშა გახეთს წავა და ეტყვის პასუხს ხანს. მამად-ყოლი-ხანი ძალიან შეწუხდა; მაინც ჯარით მიეიდა ერეკვანს და მიუხდა სომხის ჯარს, მარამ დამარცხდა, ამოიარა გელაქნურის ქვეყანაში, მოარბია სოფლები, ტყვეები წამოასხა და ერეკვანს მობრუნდა.»

§§. 201. წყობა 116. «ხსენებულ ითამშა პაპუნაშვილს

ეოქვა: მამად-ყული-ხანმა ვახტანგს კაცი გაუგზავნა—«რა გწადიან, რატომ არ მაჩიგდებიო? მოდი შეკრიგდეთ, დავიცვათ ჩვენი ძვეყანა და შაჰსაც შეკვეწიენეთო; სწორეთ შემატყობინე რა ფიქრი გაქვს გულში: თუ თურქი ხარ, მეც თურქი ვიქნებიო, თუ ქრისტიანი ხარ, მეც ქრისტიანი ვარო; ან შენი ნება რა არი, მაცნობეო.» ვახტანგს ეს პასუხი შეეთვალა: «მე შენსას არას დავიჯერებ, რაც გონებისა და ფიქრისა ვარ, შენთვის რა საქმეა რომ მკითხავო, და რასაც საქმეზედ ვარ, იმაზედ ძალიან მტკიცედ ვარ, ღვთის შიდავათით შენთვისაც ვიფიქრეფო»....

გვერდი 202, წყობა 117. «ერთდესაც მამად ყული-ხანს ეს პასუხი უთხრეს, მაშინვე ჯარი მოაგროვა და ვახტანგზე წავიდა, მოატყუა და უკანვე გამობრუნდა; ერევანში კი მისწერა—ვახტანგს ძალიან საქმე გავუტარეო: ჯარი მოამაშვალეთ და თან ერევნის დიდი ალა-კაცებიც გამოატანეთო. მარითლაც ერევნელი ალა-კაცები ჯარით ვახეთს მოვიდნენ და მამად-ყული-ხანის ჯარითან ვახტანგს მიუხდნენ, მაგრამ დამარცხებული გამობრუნდნენ. (იქვე წყობა 118) «მამად-ყული-ხანმა თავის ჯარით რო ვერა დაუგლეჯია ვახტანგს, ლეკებს შეუთვალა—ვახტანგი თქვენზე გამოლაშქრებას აპირებს, მოდი შეეერთდეთ და ჩვენ მიგუხდეთო. ლეკებმა დაიჯერეს და ჯარით ჩამოვიდნენ მამად-ყული-ხანთან და ერთად თბილისზე მოვიდნენ»... (წყობა 119). მამად-ყული-ხანმა ტყუილად მისწერა შაჰსა—ვახტანგი ძალიან მაწუხებს, არ მასვენებსო, შემიძლიან ცოცხალი შეგიპყრა და თუ გნებავს—ცოცხალს გამოგიგზავნიო». ამისთანეებს ბევრს სწერდა შაჰსა, მარამ არ იჯერებდა, რა კი იცოდა ცხადი სიცრუეე. მამად-ყული-ხანი თავრიზს სწერდა, აქედან რაც შათარი მიდიოდა შაჰთან, პასუხი ყოველთვის მოქონდა,

მარამ მალაკდა და არ აჩენდა—ვნახოთ ტყუილი გამოდგება, თუ მართალია. მამად-ყული-ხანი კი თავგასებულრათ სწერდა შაჰსა: ვახტანგი შენი მტერია, შენ გლალატობს და რუსს ერთგულობსო და ქრისტიანობაზე ხელს არ იღებსო.»

გვ. 203, წყობა 120. «ვახტანგმა რო გაიგო ეს მამად-ყული-ხანის ოინები, თითონაც ერთი კაცი, გაგზავნა წიგნით შაჰთან—მე შენი მოკეთე ვარ, და არა მტერი და რაც ჩემზე მოუწერია, სულ ტყუილია, იმას უნდა, რომ მე შენ მართლა გაწყეკინო და შენ მე გადამეტრეო; შენ მე საბასკვარად გამხადე და მიბძანე დეკებზედ წადი. მეც მოვაგროვე ჯარი და დეკებზედ წავედი. გზაზედ კაცი დამხვდა თქვენი—დეკზედ რუდარ წახვალ, უკან დაბრუნდიო. მეც დავბრუნდი. დეკებმა რომ ნახეს ჩემი გამობრუნება, გთამამდნენ და მრავალი სოფლები წამიხდინეს, ხალხი დამიხოცეს და მრავალი ტყვე წაიყვანეს, და ჩვენ ესოდენი სასაცილობა (კიცხვა) მოგვივიდა.» რაცა შათი ერეკვნს მიეიდა, ნაიბმა შეაპყრა და წიგნი გამოგზავნა; ყოველი გზა შეკვრა რომ ვახტანგს რაგორმე არ ეცნობებინა შაჰისათვის ყველაფერი სისწორით.

წყობა 121. «მამად-ყული-ხანმა ერეკვნის ნაიბს მისწერა—«ესაა ვახტანგის რაჰვითი (?), ბეზიერგანი, ან სხვა კაცი ნახოთ, შეაპყარით და გაცარცეთო, თუ მოგამარი შეგხვდეთ დახოცეთო. ეს წიგნი მაუვიდა თუ არა ნაიბს, მაშინვე შეაპყრა და დაცარცვა ყველა ვახტანგის კაცნი, ვინც კი ან ერეკვნს, ან ქრმაოწინს, ან სხვაგან იყვნენ. ამ დროს ერთი ვახტანგის თავადი პაპუნა ბეგი აკიდიგაში(?) ოთმოცდა ათის კაცით იყო და ტფილისში მიმავალმა ერეკვნზე გამოიარა და ნაიბმა კარ გაიგო მისი გამოვლა. გაიგო თუ არა, ოთხასი კაცი დაადგინა, და რაკა ადაკი რო გაიარეს, ფამბაკის ხეობაში მოეწივნენ და

ათხ-კუთხაკ გზა შეუკრეს, შეაქნა ომი; ბოლოს პაპუნა ბეგი 31 კაცით შეიპყრეს; 11 კაცი მოუკლეს და 4 კაციც გაუქცათ. ესც რამ ეპალათ, სულ წაართვეს და ეროკვანში დაასტეესალეს.

№. 204, წყობა 122. «ეროკვანის ნაიბი ქართველის შვილი ანრეპ, რომ შაჰი ანრეპ, ოსმალებს ან მეგობრობდა; ამისათვის ეროკვანში ხალხი ცოტა იყო—ისიც შაჰის მდგომელნი და ერთგულნი; ოსმალების მოამხრენი სულ აყრილიყვნენ. თოფეის წამალი ანრა ნქონიათ ეროკვანში. ნაიბს გამოუთქვამს ეროკვანელებისათვის 50 დალარი, რომ წამლის გამკეთებლისთვის მიეცა.

1863 წ. «კრუნკი», ივლისის №. 83. 498.

«თამაზ-ყული-ხანი (შემდეგ შაჰნაზარი) რომ ყარსიდან ომობდა გამარჯვებული, ამ დროს საქართველო ოსმალების ხელში იყო და ქართველებმა ყველაფერი გაიგეს შაჰნაზარის ომებზედ. უმთავრეს ქალაქებში ოსმალების ფაშები ისხდნენ ლ გასაგებდნენ. მათგან ყველანი ერთ ნაირად იყვნენ შეწუხებულნი: ქართველნი და სომეხნი, თავადნი და აზნაურნი. ამ ხმების გამო იგანი საიდუმლოთ შეიკრიბნენ გორიერ ამხარბეგ ბებუთოვთან ახლოში და რჩევა ქქმნეს, თუ როგორ განთავისუფლებულიყვნენ ოსმალების უღლიდან და ნადირშაჰის მფარველობა ეშოვათ. რჩევის შემდეგ ერთ-ხმად გადწყვიტეს საქართველოს თავად-აზნაურთა, რომ წიგნი მიეწერნათ ნადირ-შაჰისთვის და მოეპატიჟნათ. ესრეც ქნეს. დაიწყეს სანდო კაცის ძებნა, რომ წიგნი წაეღო შაჰთან. ამხარბეგის მამის ძმას გიორგის ხვდა წილათ ეს კალდებულება, რადგან რამდენჯერმე ნამყოფი იყო სპარსეთში, სპარსული ენაც კარგად იცოდა. წა-

ჟიდა საიდუმლოთ ეროვნისაკენ და ნადირ-შაჰის ბანაკში მიგიდა.

გვ. 499. რამდენიმე დღის შემდეგ იმ საიდუმლოებაში ერთი მოწაფეთაგანი, ერთი ქართველი, თავადთაგანი, ოდესმე აზრუმს, ანუ ანკარაში გათათრებული, აშურბეგსა და სხვა თავადებთან ბოროის ჭაშის დროს იწყებს ჩხუბს, წაკა და ისაყ-თაშს უამბობს ყველაფერს. თაშ მაშინვე აშურბეგის ცოდა-შვილთან შეეფოთხებს ბრძანებს; მათთანაც შეიპყრეს. სხვა მოწაფენი იმ საიდუმლოებისა შიშისა გამო შეიგრიბნენ და თაშასთან მიაიდნენ და გამოუცხადეს: დამბეზღებელი აშურბეგის პირადი მტერია და ტყუილად გაკაკრებულხართო. თაშამ კარგად იცოდა ის დროება და ეშინოდა ერის განდგომისა. ამისათვის აშურ ბეგის ცოდა-შვილი გაანთავისუფლა და თავადნი დაამშვიდა ამით; თან დაარწმუნა—ხვალ აშურბეგსაც გამოგუშვებო. ამით მოიშორა თავიდამ ის საშიშარი ერისა და იმ დამეს კი უბრძანა აშურბეგის დაჭერილობა და დილით ბაზარში გადაგდება, ე. ი. მისი ქარვასლის წინ; რადგან ფული ასლიან უწერიდათ თითოს ჯარის ჯამაგირისთვის, ამისთვის თაშამ ბრძანა 50,000 მარჩილის გამოართმევა აშურბეგის დამარხვისათვის. ასეც იქნა. ისაყ-თაშამ ნამდვილათ შეიტყო ნადირ-შაჰის თბილისზე წამოსვლა და დაუწყო შურის გება იმ საიდუმლოს ყველა მოზიარეს, ე. ი. უკუ-დგომის გამზრახვთ; ამისათვის მრავალნი განიკვლტნენ თბილისიდამ და მაგარ ადგილებში შეეხიზნენ.

გვ. 300 (500?) ნადირ-შაჰთან წასული გიორგი *) ბებუთოვი დარჩა სპარსეთში და დიდი თანამდებობა მიიღო. ერ-

---

*) პაპა იაკობ ბებუთოვისა. ალამამად-ხანის წინამძღოლი თბილისის ალების დროს.

თი შვილი დარჩა—ალექსეევრდი. ამის შვილი იყო იაკუბ, ანუ ავგან, განდიდებული ალამამადხანის დროს, რომელიც შემდეგ 40 წელი განმარტოებით სცხოვრებდა ერეზის პირზე, ჯულის მახლობლად, წმ. სტეფანეს მონასტრის მთაში. 1842 წ. უამბნია მას შერმაზანოვისთვის ალამამად-ხანის შემოსვლა.

აგვისტოს «ეროენეში», გვ. 619.

«დიდს პეტრეს 1706 წ. უნდოდა სომხეთის და საქართველოს განთავისუფლება სპარსელების უღლისგან».

გვ. 620. «დავით საგნელი თავადმა 60,000 სომეხთ ჯარის შეკრების შემდეგ ყარაბაღში მელიქებისაგან პეტრე დიდის დროს, ბოლოს დროს 1722 წ. გიორგი ანუ შაჰნაზარ-თან(?) (ვახტანგი.) ინება შეერთება, რადგან ეს მეფე თბილი სიდამ ეამოვიდა 40,000 მხედრობით და წავიდნენ საგნელთ თემსა ზედ და სრულიად დაიპყრეს, მტერი სრულებით განსდევნეს.

გვ. 621. «რუსის ჯარი დარბანდის ახლო იყო და 1722 წ. შაჰუსეინი ტასტიდან გადავიდეს ავლაბთა; ამ დროს ლეკები ველარ ბედავდენ მახლობელ სოფლების აკლებას რუსის ჯარის სიახლოვის გამო. სომხებისათვის კი ამის მეტი არა იქნა-რა, რომ ყარაბაღელამ სპარსნი და თათრნი განდევნეს, ე. ი. სარმუსტავა-ფაშა მოსულიყო ყარაბაღის დასაპყრობლად და ამას ებძოლეს.» იქვე: დიდი პეტრეს მოსვლის ხმაზედ დარბანდზე, ყარაბაღის მელიქნი ვახტანგ მეფესთან შეერთდნენ და შეკრიბეს 35, ანუ 40 ათასი ჯარი და მიეიდნენ მტკვრის პირზედ, ეგონათ მტერთაგან განთავისუფლდებითო, მაგრამ დიდად მოტყუვდნენ, რადგან რუსი უკვანვე გაბრუნდა და ქართველები და

სომხები დაუტოვა მტრების ანბანრა; ამ ნაირათ რამდენიმე წლის განმავლობაში სიასხლის დვრის შემდეგ ისევ მტრის ხელში დარჩნენ. სარმუსტავა-თავმამ, განჯის გამგებელმა — ჯერ საქართველოს მიმართა, სადაც შესაძრწუნები ხოცვა მოახდინა; მერე ყარაბაღზე მოაბრუნა თვისი მახვალი, სადაც 35,000 ჭენგიჩრის ბანაკი სრულიად გაწყვიტეს სომხებმა, ხოლო თავმა ერევნის ციხეში გამაგრდა. შემდეგ ორჯერ მიუხდა ყარაბაღს, მარამ დაკოთ საგნელთ თავადმა ორჯერვე დაამარცხა, მერე ნახჩევნის ხანზედ წაიდა და იქაც გაიმარჯვა»...

გვ. 622. 1732 წ. ნადირ-შაჰმა ორჯერ გაიმარჯვა ოსმალზედ, ერთი ეჩმიაწინთან, ერთი ყარსთან, მოვიდა და დაეპატრონა სომხეთს და ივერიას.

გვ. 504—510—511. «ოდესცა იოსებ ქათალოგოზი (ალლუთიანსკი) პეტერბურღს იყო 1779 წ. იანვრის 3. მის ამბავთა შორის ესე ეწერა: 1780 წ. იანვრის 1 ივან პეტროეჩმა გორიჩევანმა ჩვენ გამოგვიცხადა რუსის ჯარის წასვლა სპარსეთისაკენ ზღვის ნაპირ ადგილების დასაპყრობლათ, და მკითხა სპარსთ ქვეყნისთვისა და შეძლებისათვის მათისა და ეგრეთვე ჯარისათვის სომეხთა და თათრთა, დაწყობილი დარბანდიდამ ვიდრე თავრიზამდინ, ერევნიდამ ვიდრე ყარაბაღამდის და შირვანამდის და ჩვენ რაც ვიცოდით, ვთქვათ, იმან დაწერა და წაიღო. იქვე გვ. 512. «გრიგოლ ალექსანდრიან პოტემკინს ეთხოვნა ჩვენი მისვლა თავისთან, მივედით მე და ეზნაურთაგანი ოვანეზ ლაზარეოვი და სხვათა კითხვათა შორის გვკითხა საქართველოს მეფის ირაკლისათვის და მისის შეძლებულობისათვის და, რაც ვსთქვით, დასწერა, რომელიც 6 ნათესავიდამ ჯარს ჭკრეფამს, ე. ი. ოსთაგან, თუშთაგან, ფშავთაგან, ქისტთაგან, ჩეჩქეზთაგან და ლეკთაგან და ირან ამათგა-

ნნი—ზოგნი მოინიდნი, ზოგთ ჯარსგინით იგზენს და ჭეოს თავის სამეფოში სოფლნი და თითონაც და მათგანაც ჭეშეფარმს ჯარსა და ეს ყოველი რუსეთით დასწერა. ეგრეთვე ყარაბაღის 7 მელიქის შეშფოთებულობა ჭეთსა და ეთხრა მეთი ყოველი ეთხრებ და მასთანავე ხაჩენისა ოვანეზ ქათაღაგოზისა ალვანთა (ყარაბაღისა), რომელთა ერი ლანგთეშენს გადასასხლან სპარსეთში, და მათს ადგილს მოვიდნენ სომხები და დასახლნენ და მათი ქათაღაგოზი ანის დღემდე.»

გვ. 622. «ექვსერინე II დარბაზნდს და შარმასიაზედ ჭეფლო, ყირიმის დაპყრობის შემდეგ გალეერია ზუბოვი გამოგზავნა და მათი მოსეფლა სომეხთ და ქართველთ დასაცველთ ეი ანა ეფო, ანავე ენებამდა ამპერატრიცას სპარსეთის ელეფლის საგალეერო თეთრან დაედო ჩვენზე»... და ყარაბაღის მელიქები მოტეუვდნენ რუსთ გამგებელთაგან დიდის დიდების დაპირებით, რადგან 1787 წ. ოვანეზ ალვანის ქათაღაგოზს შეეფიცა მელიქებისათვის...»

თბილისის ეოხრება 1795 წ. რა მიესმა პეველეს, უბძანა მხედრთ მთავარს პოტემკინს «ყარაბაღში და საქართველოში ჯარი გამოგზავნა.»

იქვე სეტერბრის «ჟურნალში», გვ. 685. «საქართველოს ირაკლი ხანი (ირაკლი II.) ნადირ-შაჰთან რამდენიმე ასი ცხენოსნით რომ წასულიყო ინდოეთს და იქ ერთგულ სამსახურისთვის ნადირ-შაჰმა უბრძა ერევანი. შემდეგ მეზობელი ხანები გადგნენ და ხარჯი ალარ მისცეს ირაკლის. ამათი მიხედვით ირაკლის გაუდგა ერევნის ხანი მაჰმადიც და ხარჯს ალარ აძლევდა. ირაკლი ამისათვის რამდენჯერმე მოუხდა ქართველოვლეკის ჯარით და შემუსრა ერევანი, გამოართვა ალნიშნული ხარჯი. მაჰმად-ხანი რასაც ირაკლის აძლევდა, ერთი ორათ

ანთბეულნ სიმსუბს და ამბობდა: გიაურებისა ფუალი, გიაურმა წაიღოსო.»

გვ. 686. «მაჰმადიანი-ხანმა მრავალჯერ მოიწვია შემწედ თავისი მეზობელი ხანები ირაკლისა საწინააღმდეგოდ, მარამ ამათი საქმეც ანეული იყო და მისი ნებისა აღსრულებაც არ შეეძლოთ. ამას სრულიად მარტო ხარჯისათვის კი არა, არამედ სრულიად განთავისუფლება ეწადა, ქართველთაგან განთავისუფლება; ამ მიზეზითვე სთხოვდა შემწეობასა თავრიზისა სარდალსა და ალი-მაჰმადიანსა; თანაც სპარსეთისა შემოსვლისა ეშინოდა, რაკი ბრალის წიგნი მოუწერა მისთვის—მაომადიანისთვის—«ალიმაჰმადიანის გამოგზავნილი კაცი ასგზის ბებუთოვი არ მიიღოო», რომელიც ქრისტიანობასა არ ბრუნდა და ყველასა ეგონა სპარსია. «თუ მიიღებ, მოგვდგ ჯარი და ერთად ავიკვლეთ. ოდესაც ერეკვნის ხანი, ეგრეთვე განჯის ხანი ერეკლეს მოხარჯე იყო—ჯავათ-ხანი და ამასთან მოსისხლე მტერი. ამანაც უმტერა ერეკლეს და სხვა ხანებმაც და მოიყვანეს ალიმაჰმადიანი დიდი ჯარით საქართველოზედ, რომელმაც ანიხრა თბილისი.

«კრუნკი» 1863 წ.

გვ. 624. «ალი-მაჰმადიანი განრისხებული იყო ირაკლემ ყარაბაღის ხანზედ, რომელიც განდგომილი იყო. 1795 წ. და მოემართა ყარაბაღზედ, რომელმაც ორი წლის განმავლობაში დაიჭიცა, აკერხა და თუით შუშაც დაიპყრო, სადაც მოკლეს კიდეც. ერთის წლის წინათ საქართველოს მიუხდა, სადაც მეტად შემუსრა თბილისი სამი დღე და ღამე ცეცხლის ოგანე შეიქნა, 16,000 ტყვე წაასხა ქალი და კაცი,

რომელთაგან 4,000 ქართველი იყო და 12,000 სომეხი, რომელნიც თეატრნის სომხობის გასაძრავებლათ წასხეს.

1863 წ. კრებული № 2, გვ. 93.

1722 წ. აგვისტოს 2, თავრიზის შაჰისაგან ორი ჩაფარი მოვიდა რაშტში და სთქვეს, რომ ვახტანგ ხანი და გახეთის ვალი მამად-ყულა-ხანი შერიგებულან და თავიანთ ჯარებით ერევანში შესულან. ამ დროს ერევნის მახლობლად მოვიდა ოსმან-თაში თავის ჯარით და მათ შუა სასტიკი ომი შეექნა; ვახტანგმა და მამად-ყულა-ხანმა ძალიან დაამარცხეს და გაქცეულ თაშა თავის ჯარითა»... იქვე, «აგვისტოს 3-ს ამბავი მოვიდა, რომ თაში წავიდა და თბილისი აღიღეს და სდგანეს უკან ვახტანგ-ხანსა, რომ შეეპყრათ»... რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მოვიდა ამბავი: ვახტანგ-ხანი ისევ უკან მობრუნდა დიდის ჯარით ოსმალთა ზედ და ძლიერაც დაამარცხა ოსმალები.»

იქვე გვ. 95. „თებერვლის 25 შაჰის ბრძანებით სპარსეთის ასკარი (ჯარი) იწყობენ ბრძოლას ავღანთა ზედ, ესრედ რომ თბილისელი ვახტანგ-ხანის ძმა ცოსტომ მიერზა ღულარალასი მარჯვენა მხარეს დადგა თავის თაბუნით»...

გვ. 96. «ღულარალასი (ოსტომ) მაჰმედთან ისე ძლიერ ფიცსელად იბრძოდა, რომ ავღანნი უკან-უკან გაქცია,.. ღულარს თავის ჯარით შეაშველა [illegible] საკუთებით ებრძოდა მაჰმედთან და ამისი [illegible] გაიქცევ[illegible] ღულარალასი ოსტომ 200 კაცით ავ[illegible] ჯარში დარჩა [illegible]ტოკა იბრძოდა და უნდოდათ, რომ [illegible] და [illegible], ღულარალასი ცხენით განიცლტო და ავღანნი თან გაჰყვნენ და ერთს

განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

თვისი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» ისეთვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მიხეილოვის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისავალი ეზოდამ), ხოლო მეორე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვინ როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ან თვული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ» ანუ *«ДРОЭБА»*

მსურველთ შეუძლიან ერთის წერილით დაიბარონ გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» «დროების» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობონ რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.